4
577/4ლ 1028

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
7
აპრილი
№ 14 (2690)
გამოცემის 57-ე წელი
1989

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო ● «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში

4 აპრილს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. იგი მიეძღვნა აფხაზეთში მომხდარ მეტად მძიმე და სამწუხარო ამბებს. კერძოდ, 1988 წლის 17 აგვისტოს აფხაზი სწავლულებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა ე. წ. „აფხაზური წერილი". მიმდინარე წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში წერილი გამოაქვეყნა გუდაუთის რაიონულმა გაზეთმა „ბზიფმა".

წერილში მოთხრობილია აფხაზეთის ისტორია დასაბამიდან დღემდე (IV ათასწლეულ ჩვ. წ. აღ.). ლაპარაკია „აფხაზეთის სამეფოს" შექმნაზე, რომელიც არასდროს არ არსებულა, ლაპარაკია აგრეთვე ტოპონიმთა წმინდა აფხაზურ წარმოშობაზე, რაც უმთავრეს შემთხვევაში სრულიად არამეცნიერულია.

ყველაზე სავალალო და სამწუხარო ისაა, რომ ამ „მეცნიერულ" ფალსიფიკაციას თან ემატება ყოვლად უსინდისო ცილისწამება, თითქოს ქართველი ხალხი ჩაგრავდეს აფხაზ ხალხს. წერილი ბოლოვდება თხოვნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომლის არსი შემდეგშია: თუ აფხაზეთის ასსრ დროზე არ იქნა გაყვანილი საქართველოს სსრ შემადგენლობიდან და თუ არ დაუმკვიდრდა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი, რაც მას 1921 წელს ჰქონდა, აფხაზი ერი გადაშენდება და გაითქვიფება ქართველებში. წერილს ხელს აწერს 60 კაცი. ამათგან 18 საკავშირო მწერალთა კავშირის წევრია.

1989 წლის 24 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის სახალხო ფრონტის „აიდგილარას" ინიციატივით შედგა ხალხმრავალი კრება, რომელმაც მიმართვა გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოსა და რიგ სამეცნიერო ცენტრებს. კრებას ესწრებოდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მუშაკები. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, აფხაზეთის მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლები.

ლიხნში მიღებული დადგენილებისა და მიმართვის ტექსტები გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში". საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ ყველა მასალა წინასწარ გააცნო პრეზიდიუმის წევრებს.

პრეზიდიუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა. მან მოკლედ ილაპარაკა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და წამოაყენა კონკრეტული წინადადებანიც. კერძოდ, „აფხაზური წერილის" საპასუხოდ შეიქმნას „ქართული წერილი", რომლის შედგენაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა. ამ წერილში „აფხაზური წერილის" თითოეულ პუნქტს უნდა გაეცეს პასუხი და დასაბუთდეს მისი აშკარად მცდარი, ყალბი პათოსი, რომელიც ყოველგვარ გონიერებასაა მოკლებული. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" უნდა გამოქვეყნდეს როგორც „აფხაზური", ისე მისი საპასუხო „ქართული" წერილები ქართულ და რუსულ ენებზე. შემდეგ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდე ცალკე წიგნადაც უნდა გამოიცეს. საქართველოს ტელევიზიამ აქტიურად უნდა გააშუქოს ეს წერილები. ამ წერილების ავტორები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და გამართონ დიალოგი აღნიშნულ საკითხზე, რაც ფართოდ გაშუქდება ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ გურამ გვერდწითელი, გურამ ფანჯიკიძე, რომან მიმინოშვილი, რევაზ ჯაფარიძე, გრიგოლ აბაშიძე, ტარიელ ჭანტურია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მურმან ლებანიძე, ნოდარ წულეისკირი, გიორგი ციციშვილი, ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ინანიშვილი, მედეა კახიძე, ოთარ ჭელიძე, სერგო ჭილაია, სარგის ცაიშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი მერკვილაძე, არჩილ სულაკაური, ენვერ ნიჟარაძე, ელგუჯა მაღრაძე, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, გიორგი ჭიბლაძე, ხუტა ბერულავა, ბესიკ ხარანაული.

პრეზიდიუმის სხდომაზე წაიკითხეს აგრეთვე რეზო ჭეიშვილის წერილი, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა.

გამომსვლელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მუხრან მაჭავარიანის წინადადებებს და წამოაყენეს დამატებითი წინადადებანი, თან ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წერილის ავტორთა მოთხოვნები არის პროვოკაციული და ცილისმწამებლური. არცერთ ერს ალბათ ისეთი შეურაცხყოფა არ მიუყენებია სხვა ერისათვის, როგორიც წერილის ავტორებმა მიაყენეს ქართველებს. გარდა ამისა, წერილი არის აშკარა დასმენა ქართველი ერისა საკავშირო ხელმძღვანელობის წინაშე. წერილში გადმოცემული ცილისმწამებლური ამბების მომხრენი ცდილობენ ქართველებს აუმხედრონ ამიერკავკასიაში მცხოვრები სხვა ეროვნებანი, ამიტომაც სასამართლოს წესით მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ ამ ცილისმწამებლურ პასკვილზე ხელმომწერთ.

აღინიშნა ისიც, რომ რაც აფხაზეთში ხდება, ლოგიკური მოვლენაა ათეული წლების მანძილზე ყოვლად დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ცალმხრივი დათმობის პოლიტიკისა, რასაც ჩვენი მთავრობა ამ მოვლენების დასაბამიდანვე ადგა. იწერებოდა აფხაზი მეცნიერების უსაფუძვლო, ცრუმეცნიერული წერილები, ქართველ მეცნიერებს კი საშუალებას არ აძლევდნენ სათანადო პასუხი გაეცათ მათთვის. სამწუხაროდ ამგვარი რეციდივები დღესაც გრძელდება.

პრეზიდიუმის წევრებმა აღნიშნეს ისიც, რომ ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებები, რომლებიც რატომღაც თავს აფხაზ მწერლებად მიიჩნევენ, ხელს უწყობენ აფხაზთა და ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდებას. ამ სამწუხარო მისიას ემსახურება აგრეთვე ზოგიერთი არააფხაზი მკვლევარის ყოვლად არამეცნიერული „ნაშრომებიც", რომელთა დემაგოგიური, აშკარად შეგნებული ფალსიფიკაციური ხასიათი სასწრაფოდ უნდა იქნას მხილებული. ისინი ვინც ამას შეგნებულად აკეთებენ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის მტრები არიან და მათ საქციელს თავისი სახელი უნდა დაერქვას. დიახ, უნდა გამოქვეყნდეს ქართველ მეცნიერთა წლების მანძილზე სრულიად უსამართლოდ ტაბუდადებული ნაშრომები, რომლებშიც ობიექტურად და პირუთვნელადაა განხილული ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობანი, ეთნოგრაფიის, დემოგრაფიის საკითხები, უნდა გამოქვეყნდეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები, მათ უნდა მიეცეთ ტელევიზიით და რადიოთი გამოსვლის საშუალება. ამასთანავე პრეზიდიუმის წევრებმა იმსჯელეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მიზანშეწონილობის შესახებ.

პრეზიდიუმის წევრებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ არაფრით არ შეიძლება აფხაზი ექსტრემისტების გაიგივება მთელ აფხაზ ხალხთან, და რომ აფხაზეთის საზოგადოება შეძლებს ექსტრემისტების იზოლაციას, ხელს შეუწყობს სეპარატისტული განწყობილებების ლიკვიდაციას.

ნურავის დაავიწყდება, რომ არ არსებობს არავითარი კონსტიტუციური თუ იურიდიული საფუძველი, საქართველოს გამოეყოს თავისი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია. ამიტომაც ვერავის მივცემთ უფლებას, ერთმანეთს გადაამტეროს აფხაზი და ქართველი ხალხები, რომლებმაც ერთად და ძმურად უნდა იცხოვრონ ქართულ მიწაზე.

პრეზიდიუმმა წამოაყენა წინადადება საპასუხო წერილი ქართველ ისტორიკოსებთან და იურისტებთან ერთად დაწერონ მუხრან მაჭავარიანმა, გრიგოლ აბაშიძემ, თენგიზ ბუაჩიძემ, რომან მიმინოშვილმა, გურამ ფანჯიკიძემ და რევაზ ჯაფარიძემ.



გზა მთებისაკენ.

სერგო თევზაძის ფოტო.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში

● როდის, რომელ ისტორიულ ეპოქაში ჩაისახა ქართველური თვითშეგნების საწყისები? — ამ კითხვაზე თავის მოსაზრებას გვთავაზობს **რისმაგ გორდეზიანი** (გვ. 2-3).

● **მუხრან მაჭავარიანის** ლექსი „ფასკუნჯი" (გვ. 3).

● **ნოდარ ლომოური** არკვევს ეთნონიმ „აფხაზის" ისტორიულ შინაარსს (გვ. 4).

● **თამაზ ვახაძე** აანალიზებს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას „ლამბალო და ყაშა" (გვ. 5-6).

● მე-6 გვერდზე გაეცნობით **გია თასოევისა** და **ჯუმბერ ოდიშელის** წერილებს.

● ჩვენი სარედაქციო ფოსტა გთავაზობთ წერილებს სხვადასხვა თემაზე (გვ. მე-7).

● მე-8-9 გვერდებზე: **გუგული ტოგონიძის** მოთხრობა „კაცი სოკო"; **თამაზ ჩხენკელის, რენე კალანდიას** და **გურამ ოდიშარიას** ლექსები.

● კვლავ ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის შესახებ — თავის მოსაზრებებს გვიზიარებს **ელგუჯა ხინთიბიძე** (გვ. 10-11).

● მე-11 გვერდზე — „დავუბრუნოთ თვეებს ქართული სახელწოდებანი".

● ცნობილი ქართველოლოგის **ვახტანგ ჯობაძის** ღვაწლზე მოგვითხრობენ **ელენე მეტრეველი** და **დიმიტრი თუმანიშვილი** (გვ. 12-13).

● **ფრიდონ ხალვაში** — „უბედურებას ვეწინააღმდეგოთ!" (გვ. 14).

● მე-15 გვერდზე: კულტურული ცხოვრების ქრონიკა.

● **პაატა იაკაშვილი** — „ენა და კინო" (გვ. 16).

ქართველური თვითშეგნების ჩამოყალიბების საწყისები

რისმაგ გორდეზიანი

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცხარე დისკუსია მიმდინარეობს ქართველი ერის ფორმირების პრობლემატიკის გარშემო. ის, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ერის ყველასათვის მისაღები დეფინიცია, საკმაოდ ართულებს მდგომარეობას. საქართველოს ისტორიის თანამედროვე სპეციალისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველების ერთიან ხალხად ჩამოყალიბება შუა საუკუნეებში უფრო ზუსტად X საუკუნიდან, უნდა ვივარაუდოთ. ასეთ დროს ხშირად იმოწმებენ გიორგი მერჩულესთან დადასტურებულ ცნობილ გამოთქმას „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ამ გამოთქმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოდ მიიჩნეოდა მთელი ის ქვეყანა, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა. ფაქტობრივად, თუმცა იმ დროისათვის საქართველო ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკურად ერთიანი, მას უკვე აქვს საერთოქართველური თვითშეგნება. ქართველობის ცნება აერთიანებს სამხავე ქართველურ ტომს — ქართებს, ზანებს, სვანებს, ხოლო საქართველოდ მიიჩნევა მთელი ტერიტორია ჩრდილოეთით აფხაზეთიდან, სამხრეთით ვიდრე ტაოკლარჯეთამდე და აღმოსავლეთით კახეთამდე. რითი უნდა აიხსნას ერთიანობის ამგვარი სულის არსებობა ტომობრივად საკმაოდ დიფერენცირებულ ქართველურ სამყაროში. ზოგნი მიზეზს ქართული ეკლესიის ძლიერებაში ხედავენ, ზოგნი კი ქართლისა და ქართული ენის პოზიციის სიმტკიცეში, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ დაწინაურებაში. როგორც ჩანს, ეს ფაქტორები ასრულებენ გარკვეულ როლს, მაგრამ მხოლოდ ისინი ერთიანი ქართული თვითშეგნების ესოდენ მყარად ფორმირებისათვის საკმარისნი ვერ იქნებოდნენ. და მართლაც, ჩვენ. არაერთი შემთხვევა ვიცით, როდესაც ღვთისმსახურების ენა ერთმანეთის მეზობელ რეგიონებში ერთი იყო (მაგალითად, ლათინური), მაგრამ არც ეს მხარეები აღიქმოდნენ ერთ ქვეყნად და არც მათი მკვიდრნი ერთ ხალხად. ასევე მხოლოდ იბერიელთა ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება, ქართული სამწერლობო ენის სწრაფი განვითარება ვერ გახდებოდა საფუძველი ეთნიკურად დიფერენცირებულ ქართველურ სამყაროში ერთიანობის ესოდენ მძლავრი სულის შესაქმნელად და ქართების, ზანებისა და სვანების ერთ ხალხად ესოდენ უმტკივნეულოდ შესაკავშირებლად. ძნელი ასახსნელია, ასეთ დროს რატომ არ იჩინა თავი ეთნიკური სეპარატიზმის მიდრეკილებებმა. ვფიქრობ, რომ ამ ფაქტორთა გარდა აქ ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველურ ტომებში არსებულ ძლიერ ტრადიციას, რომელსაც ხალხში უნდა შემოენახა ისტორიული მახსოვრობა ოდინდელი ერთიანობის შესახებ.

ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ტრადიცია ადრეულ შუა საუკუნეებში შეიქმნებოდა, რადგან ქართლის ცალკეული ინიციატივების მიუხედავად ამის არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური წანამძღვრები თუ საფუძველი აღნიშნულ ეპოქაში არ არსებობდა. უფრო რეალური იქნებოდა დაგვეშვა, რომ ამგვარი ტრადიციის საწყისები ანტიკურ ეპოქაში უნდა ვეძიოთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობების შესწავლას ერთი გარკვეული თვალსაზრისით: გვეუბნებიან თუ არა რაიმეს ეს წყაროები ქართველურ ტომებში ერთიანობისა და თვითმყოფადობის გრძნობის შესახებ უკვე იმ შორეულ წარსულში.

ვიდრე ამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, გავარკვიოთ, რა ნიშანი უნდა ჩაითვალოს ეროვნული თუ ეთნიკური თვითშეგნების უმთავრეს განმაპირობებლად? ვფიქრობ, ეს არის ეთნიკური ერთიანობისა და კულტურული სუვერენიტეტის გრძნობა, რომელიც ამა თუ იმ ხალხში არსებობს. ამ გრძნობას ინახავს ხალხის მეხსიერება და თუნდაც დაირღვეს ეკონომიკური, ტერიტორიული და ენობრივი ერთიანობის პრინციპი, ეროვნული თვითშეგნება მაინც აგრძელებს არსებობას. ამის კარგ მაგალითს იძლევა ებრაელთა, ბერძენთა და ზოგიერთი სხვა ხალხის ისტორია. ხედავდნენ თუ არა ანტიკური წყაროები ამ გრძნობას ქართველურ ტომებში და, თუ ხედავდნენ, რაში გამოიხატებოდა ეს?

როგორც ცნობილია, ინფორმაცია ქართველური სამყაროს შესახებ ჩნდება ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე მნიშვნელოვან ბერძნულ წყაროში — ჰომეროსის ეპოსში (ძვ. წ. ა. VIII ს.). აქედან მოყოლებული თითქმის არ არის ისეთი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ავტორი, რომელთანაც რაღაცნაირად მაინც არ ყოფილიყო არეკლილი საქართველოსთან დაკავშირებული ესა თუ ის ფაქტი. ეს წყაროები შეგვეძლო დაგვეყო ეტაპების მიხედვით, რომლებიც ანტიკური აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ:

1) კლასიკურამდელი ეპოქის ბერძნული წყაროები (უძველესი ხანებიდან ძვ. წ. ა. V საუკუნის დასაწყისამდე), რომლებისათვისაც დამახასიათებელია რეალობების არსებითად მითოპოეტური აზროვნებისათვის ნიშანდობლივი კრიტერიუმებით აღქმა. ამგვარად აღქმულ კოსმოსში ფაქტები და მოვლენები ჯერ კიდევ არ გადასულან ობიექტური „იგი“-ს კატეგორიაში, მათ აღქმაში ჯერ კიდევ არ არის ერთმანეთისაგან გამოკვეთილად გამიჯნული რეალური — გამონაგონისაგან, წარსული — აწმყოსაგან, სულიერი — უსულოსაგან. სწორედ ამიტომ ამ პერიოდის წყაროები არსებითად იმ სამყაროსკენ არიან მიმართულნი, რომელსაც მითოპოეტური აზროვნებით შემონახული ლეგენდარული წარსული ქმნის.

2) კლასიკური პერიოდის ბერძნულ წყაროებს (ძვ. წ. ა. V-IV ს.ს.) ახასიათებს ფაქტებისა და მოვლენების უკვე კრიტიკული და არა მითოპოეტური ანალიზი — მაგრამ ამ ეპოქის ავტორთათვის წარსულიცა და აწმყოც ტყდება ოპოზიციის: ელინი/ბარბაროსი პრიზმაში. რამდენადაც ეს დაპირისპირება მეტწილად გაიაზრებოდა როგორც კარგისა და ცუდის ურთიერთმიმართება, ინტერესი ბარბაროსთადმი ცალმხრივი იყო. ისინი მონაწილეობდნენ წყაროებში იმდენად, რამდენადაც ეს საკუთრივ ელინური სამყაროს წარმოჩენისა და აღწერისათვის იყო აუცილებელი თუ საკმარისი. სწორედ ამიტომ კლასიკური ეპოქის ქართული რეალობების გადმომცემი არც ერთი ავტორის მონაცემები არ ქმნიან რაიმე მწყობრ სისტემას, არ შეიცავენ რამდენადმე შორსმიმავალ ინფორმაციას ჩვენი ისტორიისა და კულტურის შესახებ. და მაინც, ის ფრაგმენტული და არასისტემური ინფორმაცია, რომელიც ამ ეპოქის წყაროებშია მოცემული, უკვე ბევრ მნიშვნელოვან მონაცემს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გასარკვევად.

3) კლასიკურის შემდგომი პერიოდის ბერძნული და რომაული წყაროები (ძვ. წ. ა. III საუკუნე და შემდგომ) თავისუფლდებიან ელინი/ბარბაროსის კრიტერიუმისაგან. მათთვის უკვე მთელი კოსმოსი წვდომისა და შესწავლის ობიექტად იქცევა. სწორედ ამიტომ, ამ ეპოქიდან მოყოლებული ინფორმაცია საქართველოს შესახებ ბევრად უფრო მრავალფეროვანი, სისტემური და ამომწურავი ხდება. ბუნებრივია, სწორედ ამ პერიოდის ცნობები არის ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი.

ბერძნებს სავსებით გარკვეული დამოკიდებულება ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ-კულტურული სუვერენიტეტის განსაზღვრის კრიტერიუმთა მიმართ, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ადრე უნდა ჰქონოდათ ჩამოყალიბებული. ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან საბერძნეთში მაკედონელთა ჰეგემონიის დამყარებამდე (ძვ. წ. ა. IV ს. მეორე ნახევარი) მთელს ხმელთაშუა ზღვისპირეთში განფენილ ბერძნებს არც ერთიანი სახელმწიფო, არც ერთიანი ეკონომიკა და არც ერთიანი სალიტერატურო ენა არ გააჩნდათ, თუმცა საოცრად მძაფრად ჰქონდათ განვითარებული ელინური თვითშეგნება, საკუთარი ეთნიკურ-კულტურული სუვერენიტეტის გრძნობა. ამ მხრივ, საინტერესოა ცნობა, რომელიც ჰეროდოტესთან (ძვ. წ. ა. V ს.) არის დაცული. ათენელები უარს ამბობენ სპარსელებთან ლაკედემონელების წინააღმდეგ შეთანხმებაზე იმიტომ, რომ ისინი ელინები არიან, ხოლო „ელინებს ერთი სისხლი და ერთი ენა აქვთ. საერთო აქვთ ღმერთების ტაძრები, მსხვერპლშეწირვები და წეს-ჩვეულებები“ (VIII, 144). ამგვარად ბერძენთათვის მთავარი იყო ეთნიკურ-გენეტიკური და კულტურული ერთიანობის კრიტერიუმი, როდესაც ამა თუ იმ ხალხის მთლიანობაზე მსჯელობდნენ. რაც უფრო მეტად და ხანგრძლივად ვლინდებოდა ამ პარამეტრებით ერთიანობა, მით უფრო ძლიერი იყო ხალხის თვითმყოფადობისა და ერთიანობის ხარისხი. რასაკვირველია, ამგვარ ერთიანობაზე მსჯელობისას ბერძნებიც და რომაელებიც ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ რამდენად სახელოვანი და შორეული წარსულის მემკვიდრე იყო ესა თუ ის ხალხი. არ არის შემთხვევითი, რომ ბერძნები თავისი უდიდესი აღმავლობის პერიოდშიც კი ასე ამაყობდნენ ლეგენდარული მიკენური ნამყოთი, რომ რომაელები, თვით მანამდე არნახული მასშტაბების იმპერიის შექმნისა და თითქმის მთელი მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს დამორჩილების შემდგომაც კი, ასეთ დიდ ყურადღებას აქცევდნენ საკუთარი გენეალოგიის ტროელ ენეასამდე აყვანას. სწორედ იდენტიფიკაციის ის ძაფი, რომელიც საშუალებას იძლეოდა ამა თუ იმ ხალხის აწმყო დიად ნამყოსთან დაეკავშირებინათ, იყო ამა თუ იმ ტომის კულტურის ადგილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი.

ქართველურ ტომებზე არსებული ბერძნული წყაროების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მთელი ეს ინფორმაცია ჯგუფდება ორი ძირითადი ქართველური ტომისა თუ რეგიონის გარშემო — კოლხებისა და კოლხეთის და იბერიელებისა და იბერიის. ერთი მათგანი თავისი ძირებით უკავშირდება დიად ლეგენდარულ წარსულს, აიეტ მეფის ეპოქას ანუ, მითოლოგიური ქრონოლოგიის თანახმად, ძვ. წ. ა. XIV-XIII საუკუნეებს, მეორე კი, არსებითად, არ გვიჩვენებს ესოდენ გამოკვეთილ კავშირს გმირთა ხანის მოვლენებთან და ძირითადად კლასიკურის შემდგომ დროინდელ ეპოქაში გამოდის ისტორიულ ასპარეზზე. ერთი ცნობილია უკვე კლასიკურამდელი ეპოქის წყაროებიდან, მეორეს ხსენება კი ყველაზე ადრე გვიანელინისტურ წყაროებში იწყება. ამათ გვერდით სხვადასხვა ეპოქაში მოიხსენიება მრავალი სხვა ქართველური ტომი, რომელიც ხან პონტოურ, ხან კი კოლხურ, მოგვიანებით კი იბერიულ ხალხადაც შეიძლება აღინიშნებოდეს. ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან და, მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ თავისი ეგზოტიკურობით ან რაღაც ერთი გამორჩეული უნარით (როგორც მაგალითად ხალიბები — მეტალურგიით) შეიძლება იპყრობდნენ ყურადღებას. კოლხეთის ცნება უფრო მრავლისმომცველია და იგი სხვადასხვა ავტორს ხშირად სხვადასხვაგვარად ესმის — სწორედ ამიტომ ასე მერყეობს მისი საზღვრები, წარმოდგენები მის მდებარეობაზე. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ადრეული წყაროებიდან მოყოლებული თანდათანობით ამ ცნების ფარგლებში წარმოიშობა სულ უფრო და უფრო მეტი ახალი ეთნონიმი. თუკი კლასიკურამდელ ეპოქაში აიეტის ქვეყნის მითოპოეტური ხატი არსებითად მთელ შავიზღვისპირეთს მოიცავდა და კოლხეთს ამ რეგიონში მეტოქე არ უჩანდა, ყოველ შემთხვევისათვის ბერძნული წყაროების მიხედვით, კლასიკურ ეპოქაში ეს რეგიონი უკვე რამდენადმე დიფერენცირებული ჩანს. ჰეროდოტედან მოყოლებული მაინც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას ვღებულობთ ქართველურ ტომთა სიმრავლის შესახებ. დროთა განმავლობაში ცნება კოლხეთი და კოლხი კარგავს თავის კონკრეტულ აღსანიშნს. ერთის მხრივ, ძლიერი ძველი ტრადიცია ლეგენდარული აიას, შემდეგ კი მძლავრი კოლხეთის სამეფოს მასშტაბების შესახებ და, მეორეს მხრივ, ახალი ეთნიკური რეალობები, რომლებიც ელინისტური ეპოქის შემდგომ გამოიკვეთება, სულ უფრო და უფრო ბუნდოვანს ხდის ბერძნული წყაროებისათვის იმას, თუ რა კონკრეტულ გეოგრაფიულ თუ ეთნიკურ რეალობას აღნიშნავს ცნება კოლხიდა. და, მაინც, შეიძლება ითქვას, რომ არის რაღაც მყარი საყრდენი, რომელიც დიფერენცირებულ კოლხურ სამყაროს აერთიანებს. უპირველეს ყოვლისა, ესაა რწმენა, რომ კოლხური ტომები დიადი აიეტ მეფის ეპოქის კოლხთა მემკვიდრეები არიან. ბერძნული წყაროები, რომელნიც ადგილობრივ ტრადიციას ეყრდნობიან, ამ ლეგენდარულ კოლხეთს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმულად მიიჩნევდნენ. ჩრდილოეთით მის ძირითად ქალაქად დიოსკურიას (თანამედროვე სოხუმის მიდამოებში) ასახელებენ, სამხრეთით ყველაზე ცნობილი ქალაქი აფსაროსია (თანამედროვე გონიოს ფარგლებში). მთავარ ქალაქად კუტაიას (თანამედროვე ქუთაისის მიდამოები), ყველაზე ცნობილი მდინარის ფაზისის (რიონი) შესართავში ამავე სახელწოდების ნავსადგურს (თანამედროვე ფოთის მიდამოებში) ასახელებენ. რამდენად შორს მოიაზრებოდა დიდი კოლხეთის საზღვარი აღმოსავლეთით, კონტინენტის სიღრმისაკენ, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევისათვის, როგორც ბერძნები ფიქრობდნენ, აიეტის სიძეს ფრიქსოსს უნდა დაეარსებინა ფრიქსოპოლისი (ისტ. ოძრხე თანამედროვე ადიგენის მიდამოებში) და ამდენად ძველი კოლხეთი ისტორიული იბერიის გარკვეულ ტერიტორიასაც მოიცავდა. ამჟამად ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად რეალური იყო ესოდენ დიდი გაერთიანების არსებობა გვიანბრინჯაოს ხანის საქართველოს ტერიტორიაზე (თუმცა თანამედროვე არქეოლოგიური კვლევა მხარს უჭერს ამგვარ სურათს). ამ შემთხვევაში ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მთელი ამ ტერიტორიის მოსახლეობა თავის თავს სწორედ იმ დიადი გაერთიანების მემკვიდრედ თვლიდა. როგორც ჩანს, მემკვიდრეობითობის ეს ჯაჭვი არ გაწყვეტილა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ კოლხებისაგან მას თავად მოუსმენია მათი ჯერ კიდევ ტროას ომამდელი თავგადასავლის ამბავი. ამასთან ჰეროდოტე მშვენივრად იცნობს აია-კოლხეთიდან მედეას მოტაცების ამბავს. ქსენოფონტი (ძვ. წ. ა. V-IV ს. ს.) გვაუწყებს, რომ ფასიანთა ქვეყანაში ანუ კოლხეთში მის დროს აიეტის შთამომავალნი მეფობდნენ. ამასვე ადასტურებს სტრაბონიც (ძვ. წ. ა. I ს.), როდესაც ამბობს, რომ სახელი აიეტი კოლხეთში ადგილობრივი იყო. ბერძნულ წყაროებში, ასევე ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინების საფუძველზე, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ტენდენცია ძველი ერთიანი კოლხეთის ახალ, დიფერენცირებულ კოლხეთთან დაპირისპირებისა. სტრაბონი გადმოგვცემს, „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე და ამაზე უწინ კი ფრიქსოსის ლაშქრობაზეც. ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (XI, 2, 18). აქ გამოთქმა „ამის შემდეგ“ შეიძლება მხოლოდ აიეტის პერიოდის მოვლენებს გულისხმობდეს. შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით, აიეტის დროინდელი ერთიანი კოლხეთი შემდგომ სკეპტუხიებად ანუ საბრძანებელ რეგიონებად დაჰყვეს მისმა მემკვიდრეებმა. ბუნებრივია, დიფერენციაციის მიუხედავად, ალბათ თითქმის თითოეული სკეპტუხის მმართველს თავისი დინასტიის საწყისები იმ ლეგენდარულ დრომდე და დიდ კოლხეთამდე აჰყავდა.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა — რომელი კავკასიური ტომი თუ ტომები მოიაზრებოდნენ აიეტის კოლხეთის უშუალო მემკვიდრეებად. ანტიკური ცნობების მიხედვით ესაა კოლხეთის ზემოთმოხსენიებული ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები სამი ძირითადი ქართველური ტომი: ა) ისინი, ვინც ფაზისის ქვემო დინებაში და ე. წ. ფასიანთა მხარეში ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ამ რეგიონში ძირითადად ძვ. წ. ა. II ათასწლეულში არსებული ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული ზანური ტომები ბინადრობდნენ. ძველი ავტორები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ ლაზები და ლაზიკის მკვიდრნი თვით გვიანანტიკურ ეპოქამდეც კი ძველი კოლხეთის ამბებს საკუთარი წარსულის ორგანულ ნაწილად თვლიდნენ და კოლხთა ძველი სახელით ამაყობდნენ (გვიანდელი წყაროებიდან შდრ. პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი); ბ) იგივე ითქმის სვანების შესახებაც, რომელნიც, სტრაბონის თქმით, ყველაზე მრავალრიცხოვანნი და ძლიერნი არიან ლაზიკის ჩრდილოეთით მდებარე კოლხეთის ტერიტორიაზე, დაწყებული დიოსკურიის მიდამოებიდან. სტრაბონი სწორედ სვანებში არსებულ ოქროს მოპოვების წესს მიიჩნევს კოლხეთიდან გატაცებული ოქროს საწმისის თქმულების აღმოცენების საფუძვლად. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ აპოლონიოს როდოსელთან (ძვ. წ. ა. III ს.) საკუთრივ აიეტის სამფლობელოს „ტიტენიდური აია“ ეწოდება (IV, 181). ამ ადგილის სქოლიონში ვკითხულობთ: „მდინარე ტიტენოსს, რომლისგანაც მხარეც ტიტენიდურად იწოდება, მოიხსენიებს ერატოსთენე „გეოგრაფიკაში“. ერთადერთი მდინარე, რომელთანაც შეიძლებოდა ფონეტიკურად ტიტენოსის იდენტიფიკაცია კოლხეთში, არის სვანეთში მდებარე ენგურის შენაკადი ტიტა, აქვეა დასახლებაც ტიტა. როგორც ცნობილია, კოლხური ოქროს დიდება სწორედ ენგურის ხეობას უკავშირდებოდა; გ) იმის უარყოფა, რომ კოლხეთის დიდებასთან დაკავშირებული ზოგიერთი რეგიონის (აჭარის, იმერეთის, მესხეთის ცალკეული ნაწილების) მოსახლეობა ანტიკურ ხანაში ქართებისა ანუ იბერიელებისაგან შედგებოდა, დღეს შეუძლებელია. თავისთავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის ერთი ლექსი

მუხრან მაჭავარიანი

ფასკუნჯი

მზისკენ მიმაფრენს ფასკუნჯი, —
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუპი;
მენა საგზალი ვარ მისი,
მაგრამ ვეყოფი?! —
არ ვიცი!

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, —
ისიც ლურჯია, ცაც ლურჯი;
ეჭვისა მახრჩობს მარყუჟი, —
ვერ ჩავხვდი, — უდევს რა გულში, —
ძუნწია სიტყვა-პასუხში.

გავიარენით ჰირანო
(ხორცსა ვეპყრობი მომჰირნედ),
მინდარის ვიამირანო, —
შორიდან შევტრფი კოჰიმელს.

გაჰიანურდა ცორანო
(ფასკუნჯს, ეტყობა, მოშივდა)...
ნეტა, ეს შავი ყორანი
ტატოსია თუ პოსია?!

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, —
მკერდით გამპობი ცეცხლეთის;
მზემდე ჯერ კიდევ ბევრია,
როგორც ეტყობა, მანძილი;
არადა, ახლა მე ჩემი
ჰა და ჰა ვიყო მეცხრედი, —

მოზრდილი უკვე ჩახეთქა
ჩემი ფასკუნჯმა ნაწილი.
მივეახლები კოჰიმელს?! —
თავი მეყოფა მე ჩემი?!
უფრორე სწორად: ამ ოხერს
ვეყოფი თუ არ ვეყოფი?!
თვალებს მიჰრელებს ფასკუნჯის
მთაგრეხილივით ბეჰები...
— ხომ კარგად?! — მკითხა უეცრად, —
ხმა მეცნაური მეგობრის.

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, —
მიქშუის, როგორც ქიბორჯი...
დარდიმანდები ხაშურში
შეექცევიან ციმორსა...
მექაჩებიან მიწისკენ
ძმაბიჭები და სუფრანი;
ხრეითით მესმის მე კრინი,
პატარძეულთით, — სოპრანო...

ვხედავ საკუთარ წინაპრებს;
დღედაღამ ფხიზლობს ბერბიჭა, —
კაცმა, ვინც იტყვის სიმართლეს,
რომ არ გაჰქუსლოს მერნითა.

ძეხორციელის აქ ყოფნა
არ გახლავთ მთლად უხიფათო;
კაცსა, ვინც იჩენს კაცობას, —
ფიქრობენ: რა უხიმანონ!

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, —
ისიც ლურჯია, ცაც ლურჯი;
ეჭვისა მახრჩობს მარყუჟი, —
ვერ ჩავხვდი, უდევს რა გულში, —
ძუნწია სიტყვა-პასუხში.

ამხედრებული ფასკუნჯზე,
მზისაკენ ქარებრ ვისწრაფვი;
ქართველი რათა გაშუქდეს, —
მყოფი მიწაზეც, მიწაშიც.

თვალებს ვაცეცებ გარშემო...
— რაღა ვქნა! — ვფიქრობ მე
ჩემთვის, —
უეცრად ამ უგამჩენომ,
რომ მოინებოს დესერტი?!

ძირს სამშობლოა გაშლილი, —
ორი ვეშაპის შუაში;
ქსელია პირწავარდნილი
რომელიც ბაბაჭუასი, —
გულდასმით ნაგვირისტევი
მტკვრით, ქსნით, ალაზნით,
არაგვით...
მე თავი გამოვგლიჯევი
რომელსაც დავიდარაბით.
გაფრენილს, — მზისკენ
გაფრენილს, —
შემომცქერიან დაბლიდან:
ხცისა, ბელლევი, ავლევი,
თილვა, იკორთა, მთაწმინდა...
ლხენანი ამ ქვეყნისანი,
ფავისუფლების სიტკბონი, —
რაც ვერ დაიცვა კრწანისმა,
რასაც იცავდა დიდგორი.

ლხენანი, — ხმევას რისასაც, —
ფასკუნჯს ვეხმიე, — ვარჩიე;
მე, — სულის დასაწყნარებლად,
სხეული ვინც მოვამშიე.

ერთხელაც, როცა იქნება! —
იქნება კია ეს წუთი?!
(გულს ეჭვი მიღრღნის იმდენი,
უყვარს რამდენსაც ფეხბურთი), —
მზის წინ როდესაც წავდგები
ნატამალიღა მე ჩემი,
ცათა საცერში გაცრილი, —
მე, — ჩემი მცირე ნაწილი
(ფასკუნჯი როცა შემომლლეტს,
ჩემში რაცაა ზედმეტი), —
მე (ჩემთვის უკვე უჩინარს)
მზე მეტყვის, ვიცი, მზე მეტყვის:
— კაცო, ვინა ხარ?! აღარ ხარ! —
ხარ კაცის მეათასედი! —
რა გზები გამოიარე
შე, უბედურო, ასეთი?!

მზისკენ მიმაფრენს ფასკუნჯი, —
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუპი;
მენა საგზალი ვარ მისი,
მაგრამ ვეყოფი?! —
არ ვიცი!

ის ფაქტი, რომ კოლხეთის დედაქალაქის ქართული სახელი ქუთაისი, მსგავსად ფოთისა, ზანურ ნასესხობას კი არ წარმოადგენს, არამედ წმინდად ქართულ წარმოებას გვიჩვენებს, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ამ რეგიონში ქართების ბინადრობას ანტიკურ ეპოქაში უწყვეტი ტრადიცია უნდა ჰქონოდა. იგივე დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემს ჩვენ მიერ შემოსაზღვრული ლეგენდარული კოლხეთის ტერიტორიის ზოგიერთი რეგიონის ტოპონიმიის ანალიზი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური წყაროების მიხედვით, ძველი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამივე ქართველური კომპონენტი თავის მეხსიერებაში ინახავდა იდენტურობის ძაფს აიეტ მეფის კოლხეთთან და თავის ისტორიაში ეს ლეგენდარული პერიოდი ყველაზე უფრო საამაყოდ მიაჩნდა. როგორც ჩანს, სწორედ ქართველურ ტომებში არსებული ერთიანობის ეს გრძნობა განსაზღვრავდა დასავლეთ საქართველოში ბინადარ სხვა ტომთა დაკავშირებასაც აქ შექმნილ კულტურულ კოინესთან. საყურადღებოა, რომ ძველი ავტორები გვაუწყებენ, თუ რამდენი სულ სხვადასხვა წარმომავლობის ტომი ირეოდა კოლხეთის ტერიტორიაზე. მარტო დიოსკურიაში, სტრაბონის თქმით, მრავალი ათეული ტომის წარმომადგენელნი იყრიდნენ ხოლმე თავს. სტრაბონს ყველა მათ აღსანიშნავად ტერმინი კავკასიელიც კი შემოაქვს, როგორც ამ დიფერენცირებული სამყაროს გამაერთიანებელი. როგორც ჩანს, იგი გარკვეულწილად შეესაბამება იმ კულტურულ კოინეს, რომელიც კოლხური ტრადიციების საფუძველზე აგრძელებდა აქ არსებობას. წყაროთა მიხედვით, განსაკუთრებით აქტიურად ფიგურირებდნენ ჩამოთვლილ ქართველურ ტომთა გვერდით აფსილები და აბასგები, თანამედროვე აფხაზთა წინაპრები. ისინი ე. წ. კოლხური კოინეს ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგებიან.

დასავლეთ ქართველური მოსახლეობის ეთნიკურ-კულტურული სუვერენიტეტის გრძნობა მარტო გენეალოგიურ ფაქტორში როდი ჰპოვებდა გამოხატულებას. იგი ბერძენ ავტორთა მიხედვით რეალიზდებოდა ასევე გმირთა ეპოქამდე ამავალ, კოლხეთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ რეწვის უნარსა თუ ხელობაში. ამჯამად ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კოლხური სელის წარმოება. ჰეროდოტედან მოყოლებული ანტიკური ავტორები არაერთგზის აღნიშნავდნენ კოლხური სელის პოპულარობას მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე, მისი დამზადების სპეციფიკურ კოლხურ წესს. სტრაბონი საგანგებოდ გვაუწყებს: „კოლხეთში სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ“ (XI, 2, 17). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართული ტერმინი სელი თავისი წარმომავლობით ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე ადის (ქართ. სელ' —, ზან. სუ—). ანტიკური წყაროები საგანგებოდ აღნიშნავენ კოლხეთის ოქროს დიდებას და მეტალურგიის მაღალ დონეს, რომელიც ასევე აიეტის ლეგენდარულ ეპოქამდე ადის. ანტიკური წყაროები ერთხმად გვიმტკიცებენ, რომ აიეტის მემკვიდრე კოლხეთი არა მარტო ოქროს სიმრავლით, არამედ მისი მთის მდინარეებიდან მოპოვების წესით და ოქროს ნივთების წარმოებითაც იყო გამორჩეული. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხალიბების ტომიც დასავლურ ქართველურ ტომთა კონტექსტში აღიქმოდა და იგი მეტალურგიითა და მჭედლობით იყო განთქმული, შეიძლება გამორჩეული მეტალურგობა ასევე კიდევ ერთ იმ უნარად ჩავთვალოთ, რომელიც ბერძენთა თვალში დასავლურ ქართველური ტომების კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად წარმოგვიდგება.

ძველ კოლხეთამდე, კერძოდ კი მედეამდე და გრძნეულ კირკემდე ადის, ბერძნულ წყაროთა მიხედვით, სხვადასხვა, ხშირად მაგიური ძალის მქონე წამალთა დამზადების მაღალი ხელოვნება. ბერძნული წყაროების ერთხმად აღიარებით ეს ტრადიცია ასევე გამოარჩევს კოლხურ სამყაროს.

კოლხური ცივილიზაციის მემკვიდრეობითობის კიდევ ერთი საყურადღებო მაგალითია არაერთგზის განხილული ცნობა კოლხური დამწერლობის თუ კარტოგრაფიული ნიშნების — კვირბების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, რომ აპოლონიოს როდოსელი მისი დროისათვის ცნობილ კოლხურ კვირბებს ისევ და ისევ ლეგენდარულ კოლხებთან დაკავშირებულ ფაქტად მიიჩნევს.

და ბოლოს. ყურადღებას იქცევს ძველი კოლხეთის ლეგენდარული ისტორიის ფაქტებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი გეოგრაფიული სახელი, რომლებითაც მოფენილი ყოფილა ეს ტერიტორია. ჩვენთვის ძნელია იმის მტკიცება, რომ ყოველი მათგანი რეალურად მართლაც ძველი კოლხური ეპონიმებისაგან მოდის, მაგრამ ის, რომ ასეთი რწმენა არსებობდა ბერძნებშიც და დასავლეთ ქართველურ ტომებშიც, აშკარაა. ასე მაგალითად, აფსაროსი მართლაც აფსირტოსის სახელისაგან მოდის თუ არა, არავის შეუძლია გადაჭრით ამისი თქმა, მაგრამ ამ სახელების ერთმანეთთან და ლეგენდარულ წარსულთან დაკავშირების ძლიერი ადგილობრივი ტრადიცია რომ არსებულა, ეს უეჭველი ფაქტია.

ამგვარად, ბერძნული ცნობების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ანტიკურ ეპოქაში მომხდარა ერთიანობის, საკუთარი ეთნიკური და კულტურული სუვერენიტეტის შეგნების ჩამოყალიბება. შესაძლოა იგი თავისი მასშტაბებით არ იყო ისეთი, როგორიც პანელინური ანდა რომაული თვითშეგნება, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მაინცდამაინც უდებდა ტოლს მას. ამ გამორჩეულობის, სუვერენიტეტის საფუძველს ქმნიდა ხალხის ისტორიული მეხსიერება, რწმენა სისხლით ერთიანობისა და მყარი მემკვიდრეობითობა მხატვრული თუ მატერიალური კულტურის მრავალ სფეროში.

რა ვითარებაა ბერძენ ავტორთა მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში? პირველი, რაც თვალში გვხვდება, ისაა, რომ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბინადარ ქართველურ ტომთა დიდსა და ცვალებად სიმრავლეს, აღმოსავლეთ საქართველოში უპირისპირდება, ფაქტობრივად, ერთადერთი ტერმინი — იბერია. ეს თანხმობაშია იმასთან, რომ ბერძნულ ტრადიციაში იბერები ასპარეზზე მხოლოდ ელინისტური ეპოქიდან ჩნდებიან და ისინი დასავლეთიდან მოსულებად ითვლებიან. შესაბამისად, იბერიელებს ბერძნები აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ აღიქვამენ ცალკეულ ტომებად დიფერენცირებულ ერთიანობად. სტრაბონი გამოჰყოფს მხოლოდ ბარისა და მთის იბერიელებს. თვალში გვხვდება ისიც, რომ ჯერ კიდევ ელინისტური ეპოქის წყაროებში აღმოსავლეთ საქართველოს იბერიელები არ უკავშირდებიან ორგანულად ლეგენდარულ კოლხეთამდე ამავალ ტრადიციას. განსხვავებული ჩანს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის სტრუქტურა — ვფიქრობ, არსად არ არის ხაზგასმული, რომ დასავლეთ საქართველოსა და იბერიის სახელმწიფო სტრუქტურები ერთმანეთის მსგავსნი არიან. სამაგიეროდ, იბერიაში ყალიბდება უკვე ერთიანობის ახალი ელემენტები, რომლებიც საკუთრივ იბერიელთა კულტურულ თვითმყოფადობას განსაზღვრავს. ესაა იბერიელთა საზოგადოების სტრუქტურა თავისი ოთხი გენოსით, კარგად ნაგები ქალაქები და შენობები, გზები და ციხე-სიმაგრეები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული იბერიელები ახალი ერთიანობის ჩამოყალიბებას იწყებენ, რომელიც საფუძველს ურის თავის საკუთარ ტრადიციებს.

და მაინც, ბერძნულ და უფრო მეტად რომაულ წყაროებში გვხვდება არაორაზროვანი მინიშნება იმის თაობაზე, რომ იბერიელები იმ ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ, რომელიც გარკვეულწილად აიეტის კოლხეთის კონტროლს ექვემდებარებოდა. მაგალითად, უკვე სტრაბონთან გვხვდება ცნობა იბერიის ტერიტორიაზე კოლხეთის საზღვართან ფრიქსოპოლისის ანუ ფრიქსეს ქალაქის არსებობის შესახებ. საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც იბერიის შესახებ ინფორმაცია რეალურად მატულობს ანტიკურ სამყაროში, ჩნდება ცნობები, რომელთა მიხედვითაც იბერიელები და ალბანები „თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი იმ დროს, როცა იასონი მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიეტის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ (უმეფო) კოლხებში“ (ტაციტუსი, ანალები, VI, 84).

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ თვით იბერიისა და ალბანიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებსაც კი, ყოველშემთხვევისათვის გარკვეული პერიოდიდან მაინც, თავისი წარმომავლობა ლეგენდარული კოლხეთის რეალობებამდე შეეძლოთ აეყვანათ. როგორც ჩანს, თვით დამოუკიდებელი იბერიული დინასტიების ფორმირების პროცესშიც კი იდეა ძველ კოლხეთთან აღმოსავლეთ საქართველოს კავშირის შესახებ, არამც თუ არ ქრებოდა, არამედ, პირიქით, ძლიერდებოდა კიდეც.

თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბერძნული წყაროების მიხედვით საერთო წარსულითა და წინაპრებით ურთიერთდაკავშირებულ დასავლეთქართველურ ტომებს საკუთარი კულტურის სუვერენიტეტის შეგნება გარკვეულწილად უკვე ანტიკურ ეპოქაში ჰქონიათ გამომუშავებული. იგი ეყრდნობოდა რწმენას დიადი, ერთიანი კოლხეთის არსებობის შესახებ, რომელსამდეც შემდგომ დიფერენცირებულ მრავალრიცხოვან ტომებს აჰყავდათ თავისი ისტორია. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა მატერიალურ კულტურაშიც. თანდათანობით, ქართველურ ტომთა დიფერენციაციის, ურთიერთშერევისა და მიგრაციების შედეგად, ცალკეულ ტომებში ამგვარი ისტორიული მეხსიერება თანდათან გაფერმკრთალდა. აღმოსავლეთ საქართველოში ხდება პროცესები, რომლებიც საფუძველს უყრიან საკუთრივ იბერიული თვითშეგნების გამომუშავებას. იბერიული ელემენტების კონსოლიდაციის ინტენსივობა, როგორც ჩანს, საკმაოდ ძლიერი იყო. დაპირისპირებაში: ეთნიკურად საოცრად დიფერენცირებული დასავლეთ საქართველო/ეთნიკურად კონსოლიდირებული და ერთიანი იბერია თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად განისაზღვრა ქართველურ ტომთა ხელახალი, უფრო მაღალ დონეზე ახალი შეკავშირების პროცესი, რომელიც საკუთრივ იბერიელთაგან მომავალი იმპულსებით საზრდოობდა. ამან მალე დაუკავშირა ერთმანეთს ქართველურ ტომთა ბედი უკვე ერთიანი სახელმწიფოსა და ქრისტიანული კულტურის ფარგლებში.

ის ფაქტი, რომ X საუკუნეში დაგვირგვინებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი სწორედ დასავლეთ საქართველოდან დაიწყო, როგორც ჩანს, ბევრად განსაზღვრა აქ ბინადარ ტომებში შემონახულმა ერთიანობის იმ გრძნობამ, რომელზედაც ასე გარკვევით მიგვითითებენ ბერძენი ავტორები. შესაბამისად, ქართველური თვითშეგნების ჩამოყალიბების საწყისები შუა საუკუნეებში კი არა, გაცილებით უფრო ადრე უნდა ვეძიოთ.

კრიტიკის სექციაში

29 მარტს შედგა კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის სექციის მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა მიხეილ ანთაძის მოთხრობების წიგნის „უსიამოვნებების“ განხილვას. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის სექციის თავმჯდომარემ თეიმურაზ დოიაშვილმა. მოხსენებით გამოვიდა ამირან გომართელი. მან ვრცლად მიმოიხილა კრებულში შესული მოთხრობები, ილაპარაკა ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითი მანერის თავისებურებებზე, მისი მოთხრობების ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე.

კამათში მონაწილეობდნენ: ნუგზარ შატაიძე, კახა ლორია, გიორგი კობახიძე. განხილვა შეაჯამა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გურამ ფანჯიკიძემ.

როგორ უნდა გვესმოდეს ეთნონიმი „აფხაზი“?

ნოდარ ლომოური

შესაძლებელია, ნოდარ ლომოურის სტატიაში მკითხველს ზოგიერთი რამ სადავოდ მოეჩვენოს, საბოლოო დასკვნის გამოტანის პრეტენზია არც ავტორს აქვს. მისი მიზანია, მკითხველს გააცნოს ეთნონიმ „აფხაზის“ საკუთარი ინტერპრეტაცია. ვფიქრობთ, პუბლიკაციას აქტიურად გამოეხმაურებიან ამ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტები. რედაქცია მზადაა სადისკუსიოდ მოიწვიოს კომპეტენტური ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები. ვიმედოვნებთ, რომ მათი ობიექტური, პირუთვნელი მსჯელობა ნათელს მოჰფენს აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო საკითხს.

საქართველოს ისტორიის სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული რეგიონების, ეთნო-პოლიტიკური ერთეულების ისტორიის ღრმა მეცნიერულ კვლევას. ერთ-ერთი ასეთი, რთული ეთნიკური, პოლიტიკური და კულტურული კოლიზიებით აღსავსე რეგიონი არის აფხაზეთი. მისი ისტორიის მიუდგომელ, სწორ, ჭეშმარიტად მეცნიერულ შესწავლაში დაინტერესებული უნდა იყოს ზოგადად ქართული ისტორიოგრაფია, მთელი ქართველი ერი და, კერძოდ, აფხაზური საისტორიო მეცნიერება და აფხაზი ხალხი. სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთის ისტორიის (ფართო გაგებით) კვლევითი სფერო საკმაოდ მკაცრი შეუვალობით სარგებლობდა, იგი მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური((თანაც ყალბად გაგებული პოლიტიკური) არტახებით იყო შებოჭილი და ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეცნიერულ, ობიექტურ კვლევასა და შეფასებას. ამან უაღრესად დიდი უარყოფითი შედეგი მოგვიტანა, როგორც წმინდა მეცნიერული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

დღეს, გარდაქმნისა და საჯაროობის ვითარებაში, ვფიქრობთ, დრო დადგა ეს უმნიშვნელოვანესი ზადი ქართული ისტორიოგრაფიისა გამოვასწოროთ და ერთობლივი ძალისხმევით შევუდგეთ აფხაზეთის ისტორიის ჭეშმარიტად მეცნიერულ, სავსებით ობიექტურ, ამასთან ყოვლისმომცველ კომპლექსურ კვლევასა და გამართვას, რისთვისაც, პირველ რიგში, უნდა უკუვაგდოთ ყოველგვარი ეროვნული ემოციები და ამბიციები, პოლიტიკური შეზღუდვები.

აფხაზეთის ისტორიის კვლევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თვით ეთნონიმის „აფხაზი“ („აფხაზები“) სწორი დეფინიცია ისტორიულ ასპექტში. რას ნიშნავს ეთნონიმი „აფხაზი“ დღეს — ეს სავსებით გარკვეულია: აფხაზები სრულიად ჩამოყალიბებული ერია და „აფხაზი“ ამ ერის წარმომადგენელს ნიშნავს. მაგრამ როგორი იყო ამ ეთნიკური ტერმინის შინაარსი წარსულში, რა კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს (თუ ჯგუფებს) გულისხმობდა იგი, ერთნაირი იყო თუ არა მისი შინაარსი ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში — აი, ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრება მკვლევართა წინაშე და რომელთა გადაწყვეტასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ „აფხაზური პრობლემის“ კვლევისას.

ეს საკითხები უყურადღებოდ არც ადრე იყო დატოვებული და მათ შესახებ მკვლევართა სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. შეიძლება ითქვას, რომ ეთნონიმ „აფხაზის“ თავდაპირველი შინაარსის შესახებ ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი, ერთმანეთის მკვეთრად საწინააღმდეგო შეხედულება: ერთის მიხედვით, თანამედროვე აფხაზების (საკუთარი სახელწოდება „აფსუა“) წინაპარი ტომები — **აფსილები და აბაზგები** — ძველთაგანვე ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ოლქის ზღვისპირა ნაწილში, ე. ი. ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე და ამ რეგიონის მკვიდრ ჩერქეზულ-ადიღეურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. შესაბამისად ძველ ქართულ წყაროებში ტერმინი „აფხაზი“ ნიშნავდა სწორედ ამ ორ ჩერქეზულ-ადიღეურ ტომს. მართალია, აღიარებენ ამ შეხედულების მომხრენი, ეს ეთნონიმი გარკვეულ პერიოდში უფრო ფართო შინაარსსაც ღებულობს და მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასაც აღნიშნავს, მაგრამ მისი მთავარი, ძირითადი შინაარსი მაინც იგივე იყო, რაც დღეს — იგი გულისხმობდა აფხაზეთის ტერიტორიის აფხაზურ, ე. ი. ჩერქეზულ-ადიღეურ მოსახლეობას.

ამ შეხედულების ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს ის მოსაზრება, რომლის თანახმად თანამედროვე აფხაზთა წინაპარი აფსილები და აბაზგები კოლხეთის ჩრდილოეთ ზღვისპირა რაიონებში ძველთაგანვე არ სახლობდნენ და, ზოგიერთ სხვა მთიელ ტომებთან ერთად, აქ ახ. წ. I ს-ში ჩამოსახლდნენ. ყოველ შემთხვევაში ამ თვალსაზრისითაც აფსილები და აბაზგები ჩერქეზულ-ადიღეური ტომებია, თანამედროვე აფხაზთა წინაპრები და ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე ახ. წ. დასაწყისიდან მოსახლეობენ.

მეორე კონცეფციის თანახმად აფსილები და აბაზგები არ არიან თანამედროვე აფხაზების წინაპრები, ისინი ქართველური, მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომებია და ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე მხოლოდ ქართველური ტომებით იყო დასახლებული. შესაბამისად ეთნონიმი „აფხაზი“ ძველ ქართულ წყაროებში გულისხმობდა ქართული მოდგმის ტომებს. რაც შეეხება თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს (აფსუას ტომებს) ისინი მხოლოდ XVI-XVII სს-ში ჩამოსახლდნენ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქაური ძირძველი ეთნიკური სახელწოდება მიიღეს და სწორედ ამ დროიდან ტერმინი „აფხაზი“ იძენს იმ მნიშვნელობას, რაც დღეს აქვს.

მე განზრახ არ ვასახელებ ამ შეხედულებათა შემქმნელ თუ მიმდევარ მეცნიერებს, რადგან ამჯერად არავისთან კამათს არ ვაპირებ. ჩემს მიზანს წარმოადგენს მხოლოდ გავაცნო მკითხველს ეთნონიმ „აფხაზის“ გაგების ჩემეული გაგება, რომელიც პირველწყაროთა სრულიად მიუდგომელ, ობიექტურ (ყოველ შემთხვევაში მე ასეთად მეჩვენება) ანალიზზეა დაფუძნებული.

მე არ ვიწყებ ძალიან შორეული წარსულიდან. საკითხს ვიხილავ იმ დროიდან, რომლის შესახებ უფრო ნიშანდობლივი და მეტნაკლებად ზუსტი ცნობები მოგვეპოვება ბერძნულ-რომაულ წყაროებში.

მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად მიჩნეული აფსილებისა და აბაზგების პირველი ხსენება გვხვდება ახ. წ. I-II სს-ის რომაელ ავტორებთან — გაიუს პლინიუს სეკუნდუსთან (I ს.) და ფლავიუს არიანესთან (II ს.). როგორიღაა ვითარება უფრო ადრეულ წყაროებში? უძველეს ისტორიკოსებთან, რომელთანაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებთა შესახებ მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივი ცნობებია შემონახული, ჰეროდოტესთან (ძვ. წ. V ს.), კოლხების განსახლება ძალზე ზოგადადაა მოხაზული და მათ გარდა ამ რეგიონში სხვა ტომთა ხსენება საერთოდ არაა. ძვ. წ. IV ს-ის გეოგრაფს ფსევდო-სკილაქს კარიანდელს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩამოთვლილი ჰყავს რიგი ტომებისა, მაგრამ ქალაქ დიოსკურიიდან (სოხუმი) მდინარე აფსაროსამდე (ჭოროხი) დასახლებული ჰყავს მხოლოდ კოლხები. ცხადია, კოლხები აქ კრებითი, პოლიტიკური მნიშვნელობითაა ნახმარი და რეალურად კოლხეთის სამეფოს გულისხმობს. დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა სტრაბონთანაც (ძვ. წ. I— ახ. წ. I სს.), რომელიც პიტიუნტიდან (ბიჭვინტა) პეროსამდე აგრეთვე მხოლოდ კოლხებს უთითებს და აქაც უდავოდ კოლხეთის სამეფო იგულისხმება. ასეთ ვითარებაში ძნელია გადაჭრით მტკიცება, რომ ახ. წ. I საუკუნემდე კოლხეთის ტერიტორიაზე მხოლოდ საკუთრივ კოლხები ცხოვრობდნენ და ყველა ის ტომი, რომელიც შემდგომი დროის ავტორებთან ამ ტერიტორიაზე წამოტივტივდება, აქ მემდგომ ჩამოსახლდა. რამდენადაც ფსევდო-სკილაქსთანაც, სტრაბონთანაც ეთნონიმს „კოლხები“ აშკარად პოლიტიკური, კრებითი მნიშვნელობა აქვს, არაა გამორიცხული, რომ კოლხეთის სამეფოში მცხოვრები ეთნიკური ერთეულები, მათ შორის აფსილები და აბაზგები, ამ კრებით ეთნონიმში აღმოჩნდნენ მოქცეული, რის გამოც ისინი არ იხსენიებიან ფსევდო-სკილაქსსა და სტრაბონთან. მე პირადად ამ მეორე ვარაუდისკენ უფრო ვიხრები.

ასეა თუ ისე, აფსილები და აბაზგები წყაროებში ახ. წ. I-II სს-დან ჩნდებიან. აფსილებს ახსენებს პლინიუსი თავის „ბუნების ისტორიაში“. ნიშანდობლივ მათი განსახლების დადგენა პლინიუსის ცნობებიდან ძნელია; აშკარაა მხოლოდ, რომ აფსილები სებასტოპოლის — სოხუმის ახლოს ცხოვრობენ, უფრო მის სამხრეთით („ბუნების ისტ..“, VI, 14). ბევრად უფრო ზუსტი ცნობები აქვს აღნიშნულ ტომებზე რომაელ დიდმოხელესა და ისტორიკოსს ფლავიუს არიანეს, რომელმაც II ს-ის 30-იან წლებში დიოსკურია-სებასტოპოლისამდე იმოგზაურა საინსპექციო მიზნით და აღწერა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო როგორც თვითმხილველმა. არიანეს მიხედვით სურათი ასეთია: რიონის (ფაზისის) ორივე ნაპირზე მოსახლეობენ ლაზები, მათ შემდეგ ჩრდილოეთით — აფსილები, შემდეგ აბასკები — ბოლოს კი სანიგები, რომელთა მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი; ლაზებს, აფსილებს,, აბასკებს და სანიგებს საკუთარი მეფეები ჰყავთ, მაგრამ ისინი რომის იმპერატორის ვასალები არიან („მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, § 11). სად გადიოდა საზღვარი ლაზებსა და აფსილებს შორის, არიანეს მითითებული არა აქვს, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, რომ რომაულ-ბიზანტიური წყაროების ლაზები იგივე ქართული წყაროების ეგრები არიან, ხოლო ქართული წყაროებით ეგრისის ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ეგრის-წყალი ანუ თანამედროვე ღალიძგა იყო (დ. მუსხელიშვილი, ნ. ლომოური), ეჭვს გარეშეა, რომ **აფსილების განსახლების სამხრეთი ზღვარი მდ. ღალიძგაზე გადიოდა II ს-ის 30-იან წლებში.** რამდენადაც არიანეს ცნობით, სებასტოპოლისი უკვე სანიგების ტერიტორიაზე მდებარეობდა, მაშასადამე აფსილებსა და აბაზგებს ეჭირათ ზღვისპირა ზოლი თანამედროვე ოჩამჩირესა (მდ. ღალიძგას შესართავი) და სოხუმს შორის.

ყურადღებას იქცევს არიანესთან **სანიგების** დასახელება. იცნობს სანიგებს პლინიუსიც სწორედ სებასტოპოლისის მიდამოებში („ბუნების ისტ.“, VI, 14). ეჭვს არ იწვევს, რომ ამ ეთნონიმში პირველი ნაწილი „სან“ — უკავშირდება ეთნიკურ სახელს „ჭანი“ (ბერძნები ჭანებს „სანებს“ ან „საննებს“ უწოდებდნენ) და ამდენად სანიგები უდავოდ მეგრულ-ჭანური ტომია. თუ აქვე გავიხსენებთ, რომ II ს-ის ცნობილი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით დიოსკურია-სოხუმს ჩრდილოეთიდან **სუანო-კოლხების** ტომი ემეზობლება („გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, V, 8. 25), აშკარა გახდება, რომ **ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილებისა და აბაზგების გვერდით იმთავითვე სახლობდნენ ქართველური ტომებიც — როგორც მეგრულ-ჭანური, ისე სვანური.**

II ს-ის ბოლოსთვის აფსილებსა და აბაზგებს ვითარება შეეცვალათ, მათ ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და **აფსილების განსახლების სამხრეთი ზღვარი გახდა უკვე მდ. კოდორი** (ცისლინგი, გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე). **მაშასადამე აფსილები და აბაზგები არასდროს თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე არ სახლობდნენ,** ხოლო II ს-ის ბოლოდან ისინი კოდორს გადმოღმაც აღარ ვრცელდებოდნენ და ამდენად **აღარც თანამედროვე ოჩამჩირის რაიონის მიწა-წყალზე სახლობდნენ.**

IV ს-ში აფსილები, აბაზგები და სანიგები დაიქვემდებარა ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფომ. სუანოკოლხების წყაროებში ხსენება აღარ გვხვდება, სამაგიეროდ აფსილების უშუალო მეზობლად ბიზანტიელი ისტორიკოსები აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე პროტიქტორი ასახელებენ მისიმიანთა ტომს (იხ. აგათიას „ისტორიის“ არაერთი ადგილი და მენანდრეს „ისტორიის“ ფრაგმ. 22); მისიმიანები უდავოდ სვანური ტომია (ს. ყაუხჩიშვილი). ამრიგად, ამ დროსაც მდ. კოდორის გაღმა მხარეში, აფსილ-აბაზგების გვერდით, მკვიდრად სახლობენ მეგრულ-ჭანური და სვანური ტომები.

VI ს-ის ბოლოს თუ VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიის ხელისუფლებამ კოდორის ჩრდილოეთით მდებარე მხარე ლაზიკისაგან გამოჰყო და უშუალოდ დაუქვემდებარა თავის ადმინისტრაციულ მმართველობას; ასე გაჩნდა **აბაზთა სამთავრო** (ს. ჯანაშია, ზ. ანჩაბაძე, მ. გუნბა). თავისთავად ცხადია, რომ ამ სამთავროს შემადგენლობაში შევიდნენ, აფსილთა და აბაზგთა ტომებთან ერთად, ამ რეგიონის ქართველური მოსახლეობა — სანიგები და მისიმიანები. ამ სამთავროს უკვე ქართული წყაროებიც იცნობენ— ჯუანშერი და ე. წ. „მეფეთა დივანი“, შედგენილი XI ს-ში ბაგრატ III-ის დროს, აქ იხსენიებს „აფხაზთა ერისთავს“. ამდენად „აფხაზთა საერისთავო“ „აბაზგიის სამთავროს“ ტოლფასოვანი ტერმინია და **ეთნონიმი „აფხაზნი“ აღნიშნავს ამ სამთავროს მოსახლეობას საერთოდ, როგორც ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ტომებს, ისე ქართველურსაც.** VIII ს-ის ბოლოს აფხაზთა ერისთავის ლეონ II-ის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ **ეთნონიმმა „აფხაზნი“ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო: აღნიშნავდა მთელი დასავლეთ საქართველოს მაშინდელ მოსახლეობას — აფსილ-აბაზგებს, ეგრებს, სვანებს და ამ დროისთვის აქ უკვე მომრავლებულ აღმოსავლურ ქართულ მოსახლეობასაც (ქართებს).**

აქვე უნებურად დგება საკითხი, რატომ ეწოდა ამ გაერთიანებულ დასავლურქართულ სამეფოს „აფხაზთა სამეფო“? საკითხი სავსებით იოლად წყდება: იმიტომ, რომ მისი შემქმნელი, გამაერთიანებელი იყო **აფხაზთა ერისთავი.** ხოლო ვინ იყო ეს აფხაზთა ერისთავი ეთნიკურად, ჩვენ არ ვიცით. რამდენადაც უეჭველია, რომ აფხაზთა საერისთავოში ცხოვრობდნენ როგორც ჩერქეზულ-ადიღეური, ისე ქართველური ტომები, რამდენადაც ეთნონიმი „აფხაზი“ ნიშნავდა ამ დროს ამ რეგიონის მთელ მოსახლეობას, **აფხაზთა ერისთავების დინასტია წარმომავლობით შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც აფსილთაგან, ისე აბაზგთაგან, ისე სანიგთაგან, ისე მისიმიანთაგან.** თეორიულად არც ისაა გამორიცხული, რომ აფხაზთა ერისთავები (აბაზგიის მთავრები) წარმოშობით ბერძენ-ბიზანტიელები ყოფილიყვნენ.

მაგრამ აფხაზთა ერისთავების კონკრეტულ ეთნიკურ (უფრო ზუსტად ეთნოგენეტიკურ) წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია მათი ეთნო-პოლიტიკური და ეთნო-კულტურული მრწამსი, ხოლო ის სავსებით გარკვეულია მთელი მათი მოღვაწეობით, განსაკუთრებით მას მერე, რაც შეიქმნა აფხაზთა სამეფო: დედაქალაქის ქუთაისში — ამ ძირძველ ქართულ ქალაქში გადატანა ანაკოფიიდან, ეკლესიურად დასავლეთ საქართველოს მცხეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარება, ქართული ენის დამკვიდრება ადმინისტრაციასა და ეკლესიაში. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა იყო ქართული (ეგრები, სვანები, ქართები); ამასთან ქართული მოსახლეობა იმთავითვე თვით აფხაზთა საერისთავოშიაც იყო, და თანაც წამყვანი, რაოდენობით და მნიშვნელობით, უდავოდ, სწორედ იგი წარმოადგენდა, რასაც თუნდაც ის მოწმობს, რომ აქ არასდროს შექმნილა ქართულისაგან განსხვავებული კულტურა. ეთნო-პოლიტიკურად და ეთნო-კულტურულად ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში აფხაზები და, კერძოდ, ამ ცნებაში გაერთიანებული აფსილ-აბაზგები, მიუხედავად უკანასკნელთა ჩერქეზულ-ადიღეური წარმომავლობისა, **ქართული ეთნიკური ერთობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ, ისევე როგორც ეგრნი, სვანნი, კახნი ან მესხნი.** ამიტომაც არაფერს განსაკუთრებულს და გაუგებარს არ წარმოადგენდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მიერ თავისი ტიტულატურის დაწყება წოდებით „მეფე აფხაზთა“.

ამრიგად, ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეთნონიმი „აფხაზი“ სულაც არ ნიშნავდა იმას, რასაც დღეს, მას კრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და აერთიანებდა როგორც ჩერქეზულ-ადიღეურ ტომებს აფსილებსა და აბაზგებს, ისე ქართველურსაც — ეგრებს, სვანებს და შემდგომ ქართებსაც. მაგრამ აი, მემატიანეს დასჭირდა ეხმარა ეთნიკური ტერმინი, რომელიც საკუთრივ „აფხაზურ“ (ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით), ე. ი. ჩერქეზულ-ადიღეურ ტომს აღნიშნავს: მას დასჭირდა აეხსნა, რას ნიშნავს თამარის ვაჟის გიორგის ზედსახელი „ლაშა“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი წერს, რომ ეს სახელი „...განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა **აფსართა ენითა**“... მან არ დაწერა „აფხაზთა ენითა“, რადგან მაშინდელი ქართველი მკითხველისათვის ეთნონიმი „აფხაზი“ არსებითად მაინც უფრო ქართველს ნიშნავდა და გაუგებარი იქნებოდა, რა ენაზე ნიშნავს სიტყვა „ლაშა“ „განმანათლებელს სოფლისა“. თუმცა მაგალითი ერთი გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, არ შევცდებით, თუ მას განვაზოგადებთ: როცა შუასაუკუნოვან ქართველს სჭირდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ჩერქეზულ-ადიღეური მოსახლეობის წარმომადგენელთა ხსენება, ის არ ხმარობდა ეთნონიმ „აფხაზს“, არამედ იყენებდა ეთნიკურ სახელს „აფსარნი“.

მე აქ ვჩერდები. რა მოხდა გვიანფეოდალურ ხანაში, ამჯერად არ ვეხები, რადგან ამ პერიოდზე არასდროს მიმუშავია საგანგებოდ. მაგრამ ზოგადი წარმოდგენით მეჩვენება, რომ XVI-XVII სს-ში აფხაზეთში ეთნიკური ვითარება გართულდა, საქმეში ჩაერია თურქ-ოსმალეთი, ისლამი და, რაც მთავარია, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში, აქაც ხდება მთის ხალხების, კერძოდ მთიელი ჩერქეზულ-ადიღეური ტომების ჩამოსახლება-მოძალება, რამაც საგრძნობლად შეცვალა აქაური ეთნიკური სურათი და გამოიწვია ჩერქეზულ-ადიღეური ელემენტის გაძლიერება.

ზემომოტანილ დაკვირვებებს, ჩვენის ფიქრით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ეთნონიმ „აფხაზის“ ისტორიული შინაარსის გარკვევისათვის. საერთოდ კი ამ პრობლემის შემდგომი კვლევა აუცილებელია, რადგან, ზემონახსენებ მიზეზთა გამო, მასში ძალზე ბევრია „თეთრი ლაქები“ ან ტენდენციურად გაშუქებული საკითხები. აუცილებელია და საშური პრობლემის კვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით. მთავარი კი მაინც ისაა, რომ გზა გაეხსნას აფხაზეთის ისტორიის, აფხაზური ენის, აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეთა მანძილზე შექმნილი კულტურის, აფხაზეთის ტოპონიმიკის და სხვა სფეროთა ჭეშმარიტად მეცნიერულ, მიუდგომელ კვლევას.

კრიტიკა

„ავტორს ასამართლებენ გმირები“

თამაზ ვასაძე

როდესაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი ლიტერატურულ შემოქმედებას დაუბრუნდა, მისი თვალთახედვის შუაგულში ისტორიული პროცესი მოექცა. აფორიაქებული ეპოქის ტრაგედიები და ფარსები, ნიშანდობლივი ტიპები 20-იან წლებში მძლავრად ეუფლებიან მწერლის წარმოსახვას.

ისტორიული პროცესის მოძრაობა და გეზი. ირონიულობა, მოულოდნელობები გამჭრიახად არის დანახული მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელ მოთხრობაშიც „ლამბალო და ყაშა“, რომელიც 1925 წელსაა დაწერილი.

ირანის ძველ და ცოდვილ მიწაზე ხდება ამ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი. ადრე ძლიერი ეს სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის დროს უკვე იმდენად დასუსტებულია, რომ ფაქტიურად ინგლისის და რუსეთის მიერ არის გაყოფილი. ირანის ბედიც ისეთია, როგორიც სხვა დიდი სახელმწიფოების და იმპერიების — გარდუვალი დაქვეითება, დაკნინება, იქნებ გაქრობაც. ეს ბედი ეწიათ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ირანის ტერიტორიაზე ოდესღაც არსებობდნენ — მიდიას, ასურეთს, პართიას. მათ თითქოს მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ისტორიის სანახაობაში და შემდეგ სხვებმა დააცლევინეს ასპარეზი, რათა თვითონ დაესაკუთრებინათ იგი. ამ კანონზომიერებაში მიხეილ ჯავახიშვილი ოპტიმიზმის საფუძველს პოულობს: ყველა ძალმომრეობას თავისი ანგარიშის გამსწორებელი გამოუჩნდება. მაგრამ ეს მწარე ოპტიმიზმია, რადგან ძალმომრეობას ძალმომრეობავე ენაცვლება.

„საარაკო რაშებზე მიდიელთა [illegible]რდილები შესხდნენ და გადაიკარგნენ, ხოლო მათ ნაცვლად ურმიის ტბას დონის ცხენები და ტამბოვული ჩექმები დასტრიალებდნენ. და იმ ჩექმებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩანჩალით მისდევდნენ აშურბანიპალის, ტიგრან დიდისა და ვახტანგ გორგასლანის მემკვიდრენი. და გოგსა და მაგოგს, ჰაიკანელებს და ქარდუელებს, დონის ცხენებსა და ტამბოვურ ჩექმებს... ხანტახტის კლდიდან გაკვირვებით დასცქერიან ქვის ფიცარზე გამოჭრილი მაფრაკიელები, ბუციფალები, მათი ფრაკიელები. ბუციფალები და სამი გადარჩენილი ბერძნული ასო, „ა...ოს“ — ალექსანდროს... ასიოდე წლის წინ იმ კლდეზე ჯერ კიდევ იწოდა თურმე შვიდიოდე სიტყვა, „მე ალექსანდროს... ყოველივე აქაური ემორჩილების ნებასა ჩემსა“. ახლა კი იმ კლდის მკერდიდან ის სამი ასო ისე მოისმის, როგორ წყალწაღებულის უიმედო ძახილი:— აა...ო-ო-ო-ო-ოს-“

ყოვლისმძლეველი დრო აქარწყლებს და დასცინის იმპერიების და მათი მბრძანებლების პრეტენზიებს, თავდაჯერებას, მედიდურ სურვილებს... ისტორიას არ უყვარს ერთსახეობა, გახევება,მისი ჟინია ახლის ქმნა და დაშლა, უჩვეულო და უცხო კონფიგურაციების შედგენა. ისტორიის სამეფო თითქოს მაიას სამეფოა, მოჩვენების, ილუზიის, უმდგრადობის ქვეყანა. მოთხრობაში ისტორიის ქამელეონური ბუნების პლასტიკური სახეა აღმოსავლურად მსუყე კოლორიტით დახატული ურმიის ტბა, რომელიც „დღეში ათჯერ“ მაინც იცვლის იერს და ხაზებს“.

ისტორიული ბედისწერის დამცინავი ცვალებადობის გამოვლინებაა, რომ ირანი, ყოფილი სასტიკი დამპყრობელი, თვითონაა დაპყრობილი, რომ შეუწყნარებლობით და აგრესიულობით გამორჩეულ ისლამს მწვავედ უტევენ, ხოლო ქართველი კაცი, ვისი სამშობლოც ირანმა საუკუნეების მანძილზე ტანჯა, დაპყრობილების დამცველი და ქომაგია.

მოთხრობელს, ქართველ ექიმს დიდი ისტორიული დრამის მცირე, მაგრამ დამახასიათებელ ეპიზოდში უხდება ჩართვა. ექიმის ბრძოლა ყაშა ლაზარესთან ლამბალოს გადასარჩენად იმის ხატოვანი მოდელია, თუ როგორ „კეთდება“ უახლესი ისტორია.

მოთხრობას არაორდინარულობას და მნიშვნელოვნებას, პირველ რიგში, ყაშა ლაზარეს თვალშისაცემი ფიგურა აძლევს.

ეს სახე ენათესავება მიხეილ ჯავახიშვილის მიერ იმავე პერიოდში შექმნილ ჯაყოს და რასპუტინის სახეებს. მათ მსგავსად ყაშა ლაზარეც უზომოდ მდაბალი, ტლანქი და გაუმაძღარია, დესტრუქციულია. ამ პერსონაჟებს მწერალი გროტესკის მეთოდით გამოსახავს; მიმართავს ბუნებრივი პროპორციების მკვეთრ დეფორმაციას, ცხოველურის და პათოლოგიურის მოჭარბებას, კომიკურის და საზარელის შეხამებას — კომიკურია მათი გონების და სულის სიღატაკე, საშინელია მათი მძლავრი მტაცებლური ინსტინქტი.

„ნორმიდან გადახრილი“ პერსონაჟები ადრეც ჰყავდა მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ „ჯაყოს ხიზნებში“, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“, „ლამბალოსა და ყაშაში“ პათოლოგია უკვე განუყოფლადაა გამთლიანებული სოციალურ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მოტივებთან.

ყაშა ლაზარეს მწერალი აკვირდება არა უბრალოდ როგორც პათოლოგიურ ინდივიდს, სადისტს, არამედ როგორც განსაზღვრული პოლიტიკური, იდეოლოგიური ტენდენციების თანმდევ მოვლენას, მათი წყალობით აღზევებულ ტიპს.

სადისტები ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენ, მაგრამ იმისთვის, რომ ცხოვრებას დაეპატრონონ, მათ განსაკუთრებული პირობები და ვითარება ჭირდებათ.

სწორედ ასეთია ვითარება, რომელიც მოთხრობაშია წარმოდგენილი.

რუსეთის იმპერია თავისი ბატონობის არეალის გაფართოებას, ირანში ფეხის მოკიდებას ესწრაფვის. ამ მისწრაფებას ემსახურება რუსული ეკლესია, ქრისტიანული რელიგია ექსპანსიის საშუალებად გამოიყენება. იმპერიის მიზნებს ემსახურებოდა რუსეთის ეკლესია ქრისტიანულ ქვეყნებშიც, ხოლო ისლამურ სამყაროში იგი, გასაგებია, კიდევ უფრო შემტევი ხდება (ცხადია, ეს არ აბათილებს რუსული ქრისტიანობის მიერ შექმნილ სულიერ ფასეულობებს).

ირანში რუსეთის ეკლესიის ემისარი ეპისკოპოსი პავლე (რომელიც უნებლიედ გვაგონებს ქართველი ხალხის დამწყევლელ ეგზარხოს პავლეს) იდეოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფს იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას, აღვივებს სიძულვილს და მოუთმენლობას „უწმინდური“ მაჰმადიანების, „წუპაკი პერსუკების“ მიმართ. თუმცა არც ქრისტიანობის არამართლმადიდებლური მიმდინარეობები სარგებლობენ მისი კეთილგანწყობით, რადგან ისინიც, თავის მხრივ, სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ მიზნებს ახორციელებენ, რუსული ეკლესიის მსგავსად ცდილობენ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ ირანში მცხოვრები აისორები. ეს ქრისტიანი ხალხი კი „დამკვრელი“ ძალაა მაჰმადიანებთან ბრძოლაში. რელიგია აქ მხოლოდ ძალაუფლების, ბატონობის ინსტრუმენტია, ვულგარიზაციას განიცდის.

ამგვარ სიტუაციაში აისორი მღვდელი ყაშა ლაზარე თავისი მძვინვარე ენერგიულობით, დაუნდობლობით, ვერაგობით ძალზე გამოსადეგია ეპისკოპოსი პავლეს სისტემისთვის, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური სისტემისთვის, — მისი ფუნქციაა აისორების გადაბირება და მაჰმადიანების დევნა. და პირიქით, ეს სისტემა ძალზე გამოსადეგია ყაშასთვის, იგი საშიშ ძალას მოიპოვებს, ძალაუფლებას ეზიარება.

ყაშა ნაძირალაა, ქურდი და მკვლელია და, ცხადია, ქრისტიანობასთან მას შინაგანად არაფერი აკავშირებს, ამ მტაცებელ არსებას საერთოდ არ შეიძლება რაიმე მრწამსი და იდეა ჰქონდეს. მის ბუნებას და სტატუსს შორის არსებული ძნელად წარმოსადგენი შეუსაბამობაც ქმნის გროტესკს — სადისტი მღვდელი, ანაფორიანი ჯალათი. ის ფარისეველია, თუმცა შედარებით ნაკლებად შენიღბული, ვიდრე ფარისევლობის ძველი ოსტატები, ტარტიუფი ან სალტიკოვ-შჩედრინის იუდუშკა.

მაგრამ ამავე დროს, რა უცნაურიც უნდა იყოს ერთი შეხედვით, ყაშა ფანატიკოსია — მას გააფთრებით ძულს მაჰმადიანები. ამაში იგი არ თვალთმაქცობს, საერთოდაც სიძულვილი, სიყვარულისგან განსხვავებით, არანამდვილი და არაგულწრფელი იშვიათად არის. ყაშას სიძულვილი მაჰმადიანებისადმი „პრინციპულია“: მის მიერ ლამბალოს დევნის ძირეული მოტივი პირადული თუ პრაქტიკული არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, ლამბალოს მფარველი ქართველი ექიმის ჯიბრი კიდევ უფრო ახელებს მდევნელს. მთავარია, რომ ლამბალო მაჰმადიანია, — „უწმინდური“, „ლორი“, „მაჰმადის ძაღლი“. ყაშა ლაზარე „ქრისტიანია“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუწყნარებელი და ულმობელია მაჰმადიანებისადმი.

ამით იგი დროის ავი ნიშანია, ეპოქისგან განუშორებელი ტიპია. XX საუკუნის პირველ ნახევარში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიების განმახორციელებლების არსებითი თვისება იყო არა საკუთარი პოზიტიურად მიჩნეული იდეის თაყვანისცემა და „აღთქმულ ქვეყანაზე“ ოცნება, არამედ სიძულვილი და აგრესია იმათ მიმართ, ვისაც იდეოლოგია მტრად სახავს, ვინც ამ იდეოლოგიას არ იზიარებს, მითუმეტეს, უპირისპირდება. ასეთები იყვნენ „კლასობრივი მტრები“, არასაიმედო ინტელიგენცია, „რასის სიწმინდის“ ამმღვრევები... თვით იდეოლოგიური სქემები აქეზებენ სიძულვილს, რადგან სწორედ „უცხოებისადმი“, „მტრებისადმი“ მოუთმენლობაზე და შეურიგებლობაზე არიან დამყარებული. თუკი ისეთი ჰუმანური და სათნო რელიგიის წიაღშიც კი, როგორიც ქრისტიანობაა, „უცხოებისადმი“ შეუწყნარებლობის ნიადაგზე შეიძლება ინკვიზიცია წარმოიშვას, რა უნდა მოუვეს იმ პრინციპების რეალიზაციას, რომლებიც მშვიდობისმოყვარეობით არ გამოირჩევიან. რამხელა სარბიელი ეშლება ადამიანის მდაბალ ინსტინქტებს...

მიხეილ ჯავახიშვილს მიერ წარმოსახული ბნელი, ავხორცი სალოსი რასპუტინი მხოლოდ იმ ნიშნითაა „ქრისტიანი“, რომ სასტიკად ძულს ქრისტიანული რუსეთის ნამდვილი თუ გამოგონილი მტრები. ეპისკოპოსი პავლე, მაღალი საზოგადოების გარეგნულად დახვეწილი კაცი და მოქნილი პოლიტიკოსი. ამასთანავე ფანატიკოსია, რაც ვლინდება არა ქრისტიანული იდეალებისადმი მოწიწებაში, არამედ არაქრისტიანებისადმი და არარუსებისადმი გაბოროტებაში, რომელიც მას გონებას უბინდავს და შეიწირავს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ყაშა ლაზარეს დაუცხრომელი, შხამიანი სიძულვილი მაჰმადიანების მიმართ არსებითად მისი კაცთმოძულეობის გამომჟღავნებაა, ქრისტიანობის დაცვის მოტივით მოჩვენებითად გამართლებული და ნებადართული. კაცთმოძულეობა, სიცოცხლის დათრგუნვის და მოსპობის ინსტინქტი უბრალოდ სხვა სარწმუნოების ადამიანებს ირჩევს ობიექტად, რათა უფრო თავისუფლად, ლეგალურად იმოქმედოს. სინამდვილეში ყაშას აგრესიულობა უსაზღვროა, ის საკუთარ მამასაც არ ინდობს, კლავს. ყაშას არავინ არ უყვარს, არც ქრისტიანები, არც თავისი თანამემამულეები. მისმა „მძლავრობის“ წყურვილმა შებრალება არავის მიმართ არ იცის; მოთხრობაში ნათქვამია, რომ თუ დაჭირდა, აისორებს უკლებლივ ამოხოცავს, საკუთარი ცოლ-შვილის ჩათვლით. როცა „თავისიანებს“, ქრისტიანებს ემტერება, იარაღის დიდხანს ძებნა არ უხდება. მზად აქვს იდეოლოგიურ ქურაში ნაწრთობი მახვილი — არაქრისტიანებთან ფარული კავშირის დაბრალება. ასე წამებს ყაშა ცილს ქართველ ექიმს, თითქოს იგი ქურთების ბელადთან საიდუმლოდ არის დაკავშირებული.

ყაშა ლაზარე მარჯვედ ფლობს იმ მეთოდებს, რომელთა ხმარების „ინტენსიფიკაციამ“ თავის მწვერვალს მოთხრობის დაწერიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ მიაღწია.

ჯაშუშობა, დასმენა, პროვოკაცია, სინამდვილის უტიფარი გაყალბება, „საქმის“ შეთხზვა — ასეთია ყაშას არსენალი. ქურთების და აისორების ჩვეულებრივ ყოფით შეხლა-შემოხლას ის ქურთების აჯანყებად ასაღებს, რასაც საგანგებო სამხედრო ოპერაციის განხორციელება და „აჯანყებულების“ დარბევა მოყვება, იგი აწყობს აისორებზე მაჰმადიანების თავდასხმის ინსცენირებას და „დამნაშავეებს“ ულმობლად სჯიან.

ყაშას ხასიათის მძაფრი თვალსაჩინოებით გამომხატველია მისი ტრიუმფის სურათი. „თხუთმეტის გმინვა ყაშა ლაზარეს ძლევამოსილმა კიჟინმა შთანთქა. პირველივე დაკვრაზე თვითონაც ისე აიგრიხა, თითქოს თხუთმეტივე ჯოხი იმ თათრების მაგივრად წითელ ყაშას მოხვედროდა. მერე აცქმუტუნდა და ახტუნავდა. გრძელ ხელებს და მოგრეხილ ფეხებს უცნაურად იქნევდა, წითელ წვერს აცანცარებდა და გიჟივით ხითხითებდა. ჯალათები რომ ჯოხებს აღმართავდნენ ხოლმე, ყაშა მარჯვენა ხელს ჯოხივით აფშვეკავდა, თვითონაც აისვეტებოდა და უცნაურად გაიზრდებოდა. ჯალათები რომ ჯოხებს დაიქნევდნენ, ყაშა აშვერილ ხელს ჯოხივით წამოიღებდა და ისე მძლავრად დაუშვებდა მიწამდე.“ თითქო ერთი დაკ[illegible] მთელ მუსულმანობას თავს [illegible]უვლდა...“

საერთოდ, „წითელი მაიმუნის“ სახე გამძაფრებული მოქმედებით, მოძრაობით და ცოფიანი რეპლიკებით იხატება, თითქმის ფსიქოლოგიური ანალიზის გარეშე. შეიძლება იმიტომ, რომ მწერალი თავისი პერსონაჟის პრიმიტიულ სულს ამის ღირსად არ ცნობს (თუმცა ავტორი ნაწარმოების სხვა პერსონაჟების კვეთის დროსაც ნაკლებად იშველიებს ფსიქოლოგიზმს, რომელსაც განსაკუთრებით მთხრობელის სახე თხოულობს). ყაშას შინაგანი რაობა ისედაც აშკარავდება, თუნდაც მის კარიკატურულ პორტრეტში.

ყაშას სახის არსი და მისდამი ავტორის ემოციურ-ესთეტიკური დამოკიდებულება ტევადად და მკვეთრად მჟღავნდება პასაჟშიც, სადაც ყაშა ბილწავს ლამბალოს და მისი მამის, მაშადი იზათის მიერ გათხრილ ჭას: ყაშას ბოროტი დანიშნულება სიცოცხლის წყაროების შებღალვა და გაუწმინდურებაა. ლამბალო და მაშადი იზათი, პირიქით, წყლის მესაიდუმლეები არიან და სიცოცხლესთან, ბუნებასთან მათი ერთიანობა ასეც არის გამოხატული. ყაშა განადგურებას და სიბილწეს ავრცელებს თავის გარშემო, ისინი — ქმნიან, სიცოცხლის ზრდას ეხმარებიან. ლამბალო უპირისპირდება ყაშას, როგორც უბრალო, ნორმალური, დაუმახინჯებელი ადამიანურობა პათოლოგიურობას და ცხოველურობას. იგი გულღიაა, ალალი, მხიარული, სიცოცხლის, ადამიანის და შრომის მოყვარე — იგი ბუნებრივია. თბილი, მსუბუქი იუმორით გამოსახავს მწერალი ყაშას ანტიპოდს.

ყაშა ცხოველმყოფელ ბუნებას, ბუნებრიობას თელავს და მხატვრულად ლოგიკური, კანონზომიერია, თუ როგორ კვდება იგი — მაშადი იზათის გველების მიერ მისი დაგესლვა თითქოს ბუნების სიბრძნის შურისძიებაა მოძალადის მიმართ, თითქოს სიცოცხლის წყლების და ნაყოფიერების მცველი სული უხდის სამაგიეროს სიკვდილის მთესველს.

ექიმს არ შეუძლია არ თანაუგრძნოს მაშადი იზათის შურისძიებას, მითუმეტეს, რომ მომაკვდავი „ღვთისმსახური“ კვლავ ღვარძლს ანთხევს. მთხრობელი და მასთან ერთად ავტორი ზნეობრივად ამართლებენ საშინელი არსების მოსპობას; ვინც ადამიანის სახეს კარგავს, ურჩხულად იქცევა, შენდობას არ იმსახურებს. ასეთი პოზიციის მხატვრული და ეთიკური უცილობლობა კიდევ უფრო ნათელია იმის გათვალისწინებისას, რომ ყაშას ან ჯაყოსნაირ ტოტალურად ბოროტ ადამიანს ჩვენი ლიტერატურა ადრე არ იცნობდა.

ირანელებისადმი ქართველი ექიმის კეთილგანწყობის უშუალო სტიმული ის არის, რომ ისტორიის კაპრიზული ნებით საქართველო და ირანი მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ექიმს და ირანელებს შორის „დაჩაგრულთა იდუმალი კავშირი“ იბმება. მაგრამ ეს არაა შეთქმულება. მთხრობელს ამოძრავებს სიმართლის და სამართლიანობის ბუნებრივი გრძნობა, რომელსაც აღაშფოთებს, რომ ხალხს საკუთარ ქვეყანაში ამცირებენ, ავიწროებენ. მითუფრო, რომ ქართველმა ადამიანმა იცის, რა ძნელად ასატანია ასეთი ძალმომრეობა, იცის თუნდაც თვითონ ირანის „მეოხებით“ და გულგრილი ვერ არის უსამართლობის მიმართ. და ის უთანასწორო ბრძოლას მართავს ძალმომრეობის სისტემასთან, წინ აღუდგება მძლავრ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მანქანას. ამას ავალებს საკუთარი ბუნება და მრწამსი. იგი ადამიანებს აფასებს არა იდეოლოგიური ნიშნით, არამედ ეთიკური კრიტერიუმით. ყაშასადმი და ლამბალოსადმი მთხრობელის განწყობა განისაზღვრება არა იმით, რომ ერთი ქრისტიანია და მეორე მაჰმადიანი, არამედ იმით, რომ ერთი ზნეობრივად ჯანსაღია და აგრესიულობას მოკლ-

(დასასრული მე-6 გვ.)

(გაგრძელება)

ებულია, მეორე — ზნეობრივად მახინჯი და მოძალადე. სხვა ვითარებაში იგი ასევე დაიცავდა ქრისტიანს ფანატიკოსი მაჰმადიანის დევნისგან. მთხრობელი ამბობს: „...თავდაპირველად ადამიანი ვარ, მერმე ექიმი და ბოლოს ქრისტიანი, ან ჯერ ქრისტიანი და შემდეგ ექიმი“. ეს არის მორალური კრიტერიუმის უზენაესობის აღიარება დანარჩენი კრიტერიუმების მიმართ, რაც სწორედ ქრისტიანული კულტურის მონაპოვარია. შემწყნარებლობაც არსებითად იმას გულისხმობს, რომ მორალური კანონი ვრცელდება ყველაზე, თავისიანზეც და გარეშეზეც, რომ დამოკიდებულება ნებისმიერი ადამიანისადმი, აღმსარებლობის და სხვა ნიშნების განურჩევლად, უნდა ემყარებოდეს ზნეობრივ ნორმებს.

ქართული სულიერებისთვის ეს თითქოს უბრალო, მაგრამ ძნელად დასამკვიდრებელი ჭეშმარიტება საიდუმლოებას არ წარმოადგენს. საკმარისია ითქვას, რომ იგი მთელი სისავსით იგრძნო და შეიცნო ვაჟა-ფშაველამ. მიხეილ ჯავახიშვილიც ზოგადადამიანური მორალის უზენაესობას, შემწყნარებლობას აფუძნებს მხატვრულად — ფასეულობას, რომელსაც ჩვენმა საუკუნემ არნახული განსაცდელი შეახვედრა.

მთავარი საზომი გახდა იდეოლოგიური, სოციალურ-კლასობრივი, რასობრივი კუთვნილება და მან დათრგუნა, შეავიწროვა ზოგადადამიანური მორალური კრიტერიუმი — „მტრული“ ჯგუფების წარმომადგენლები ფაქტიურად მოიკვეთებიან კაცობრიობისგან, ადამიანების მოდგმისგან და მათ ისე ექცევიან, როგორც არაადამიანებს, მათ მიმართ ყოველგვარი უზნეობის ჩადენა გამართლებულია. დადგა ყაშა ლაზარების დრო, რომელთა დაუნდობელ შეუწყნარებლობას და მოუთმენლობას „უცხოებისადმი“ აგრესიის და ბატონობის ნების ამოუწურავი რეზერვუარი ამარაგებდა „საწვავით“. ეს ტიპი სხვადასხვა გარემოში, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარ იდეოლოგიურ შეფერილობას ღებულობს. ის შეიძლება მოგვევლინოს, ვთქვათ, როგორც ამერიკელი რასისტი პერსი გრიმი ფოლკნერის „აგვისტოს ნათელში“, ან როგორც გერმანელი ნაცისტი იუდეანი კოპენის რომანიდან „სიკვდილი რომში“, მაგრამ მისი არსი ყველგან ერთნაირად მარტივი და საშინელია. სტიქიურ უბედურებასავით მოუგერიებლად გადაივლის იგი დედამიწაზე და თავის ნაკვალევზე ცხედრებს ტოვებს. მან იცის თუ ალღოთი გრძნობს, რომ „ამქვეყნად შეუზღუდველი ძალაუფლება მარტო სიკვდილს აქვს და ძალაუფლების ნამდვილი განცდისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — მკვლელობა“.

განსაკუთრებით ძლევამოსილი და დამანგრეველი ყაშა ლაზარეს ტიპი მაინც ჩვენს სინამდვილეში იყო.

მიხეილ ჯავახიშვილს, გადმოცემით, უთქვამს: „...მინდა ერთი მოთხრობა დავწერო თემაზე: ჩემი რომანებისა და მოთხრობების გმირები ჩემს ოთახში შეგროვდნენ და სასამართლო გამიმართეს, ავტორს ასამართლებენ მისი ნაწარმოებების გმირები... რა დღეს დამაყრიან, ვინ იცის, რამდენ საყვედურს მეტყვიან. მე მგონი საინტერესო ჩანაფიქრია. როგორმე ამისთვის მოვიცლი“.

თურმე ამ ჩანაფიქრს მოთხრობის ნაცვლად ცხოვრებაში ეწერა განხორციელება. პერსონაჟებმა გაასამართლ[illegible]ტორი, ოღონდ საუკე[illegible] დაჭირდნენ; არ აპატ[illegible] მან ისჯი[illegible] ადრევე შენი[illegible] და გააშიშვლა.

ღია წერილი ნაფი ჯუსოითს

ყველაფერს ვფიქრობდი, გარდა იმისა, რომ თქვენი წერილის წაკითხვა საპასუხო წერილს დამაწერინებდა. არ მეგონა, ღმერთმანი, თუ ამდენი დაფარული ჯავრის გამჟღავნების მომსწრე შევიქნებოდი. ჯავრისა, რომელიც, ეტყობა, კარგა ხანს გულით გიტარებიათ და, რაჟამს დრო მოგეცათ, არ გაუშვით ეს შანსი — თანაც, ოსტატურად ამოეფარეთ ინტერნაციონალიზმის დროშას.

ვიცი, უტაქტობაში ჩამომართმევთ, რასაც მე ქვემოთ მოგახსენებთ, და ეჭვიც არ მეპარება, რომ სხვის მიერ ნაკარნახევის გადამწერად ჩამთვლით. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ღმერთი იყოს ჩვენი მსაჯული, თუ თქვენ ჩემი მონათხრობი დაგაეჭვებთ.

დავიწყოთ თქვენი ღია წერილით, რომლითაც თქვენ ტარიელ კვანჭილაშვილს უპასუხეთ. თქვენ, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რამდენიმე სარედაქციო კოლეგიის წევრმა მაინცდამაინც თქვენი პასუხი „სოვეტსკაია ოსეტია“ ფურცლებზე გამოაქვეყნეთ. განა „ლიტერატურულმა საქართველომ“ ან რომელიმე ჟურნალმა ან გაზეთმა კარები მოგიხურათ, თქვენი პასუხი რომ გამოგექვეყნებინათ? დამეთანხმებით, არა. თქვენ ეს არ მოინდომეთ, უბრალოდ, და დელიკატური, საქმიანი პასუხის ნაცვლად, უსაშველო განგაში ასტეხეთ. თანაც, უპასუხისმგებლო განგაში. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

განა თქვენ საქართველოში არ ცხოვრობთ და თვალ-ყურს არ ადევნებთ რა ხდება, რა უჭირს, რა ულხინს ქვეყანას? არ იცით, რა დემოგრაფიული გასაჭირი აქვს მკვიდრ მოსახლეობას? რატომ არ გინდათ დაინახოთ, ბატონო ნაფი, რომ ზოგიერთ რეგიონში ლამისაა ეროვნულ უმცირესობად, — ან, უმცირესობას ვინღა დაეძებს, იშვიათობად იქცა ქართველობა, სტატისტიკას იხმობთ ოსტატურად, მაგრამ მწარე სინამდვილეს, — ბოგდანოვკას, ახალქალაქს, წალკას, ბოლნისს, დმანისს, მარნეულს და თუნდაც ჯავას, — რა ვუყოთ? მოგეხსენებათ, ეს ეროვნული რაიონებია. იქნებ, აჯობებდა, ტარიელ კვანჭილაშვილის წერილისათვის ამ კუთხით შეგეხედათ და არა ისე, როგორც თქვენ დაინახეთ სურვილისამებრ? განა ვერ იგრძენით ის ღრმა გულისტკივილი, მის წერილს რომ ახლავს? იქნებ იმან გაგანერვიულათ, ოსები რომ მოიხსენია იმ ერებს შორის, საქართველოს, საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას, ქართველებს რომ უქმნიან გარკვეულ საფრთხეს? რა საფრთხისო, შემომედავებით. მოგახსენებთ.

როგორ ფიქრობთ, როცა სხვა ერის წარმომადგენელს თავის ისტორიულ სამშობლოში ცხოვრების იგივე პირობები აქვს, რაც საქართველოში, და ჯიუტად საქართველოს ამჯობინებს საცხოვრებლად, აქეთ მოიწევს, არაფერს ზოგავს საამისოდ, და სავსებით შეგნებულად ცდილობს მასპინძლის დემოგრაფიულ დაჯაბნას, რა უდევს მას გულში? სანამ პასუხს მოიფიქრებდეთ, ზემოჩამოთვლილ რაიონებს გადაავლეთ თვალი: ვიცი, ჯავა მოსატანი არ იყო, ისიც დაცარიელებულია, არავინ ცხოვრობს მუდმივად, რეგიონი მიგრაციულია. ან ის როგორ მოგწონთ, მეზობელმა რესპუბლიკებმა რუკებში ცვლილებები რომ შეიტანეს საქართველოს ხარჯზე? რატომ სტოვებთ მიამიტი ბავშვის შთაბეჭდილებას? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ მათი გამოქომაგებით დაშდამაროვსა და მისებრ ვაიმეცნიერებს ემსგავსებით, რომელთაც არც სინდისი აწუხებთ და არც ინტელექტი. ბევრი ვიფიქრე და თქვენს მიერ ინტერნაციონალური დროშის ქვეშ ამოფარება სხვა ვერაფრით ავხსენი. შემომედავებით, მე ოსებზე გულისტკივილმა დამაწერინაო. ვეჭვობ, ძალიან ვეჭვობ, რომ თქვენ მართლა გაწუხებდეთ ეს. და აი, რატომ.

რომელ ინტერნაციონალიზმზე შეიძლება საუბარი, როცა ოსების ისტორიული ტერიტორია — ჩრდილო ოსეთი — ტამბოვის გუბერნიას ჰგავს. მოგწონთ ეს? რატომ სდუმხართ ამაზე, სადაა თქვენი საგანგაშო წერილები? რატომ არ გინდათ დაინახოთ, რომ, რაც აწუხებს საქართველოში ქართველს, იგივე უჭირს ოსს ჩრდილო ოსეთში. ხომ არ აჯობებდა ეს საკითხი დაგესვათ?

იქნებ აქვს ტ. კვანჭილაშვილის სიტყვებს გამართლება მაშინ, როცა არავინ ვიცით, ხვალინდელი დღე რა პარადოქსებს შემოგვთავაზებს? ავტორს აინტერესებს და აქვს იმის ყველა უფლება, რომ იცოდეს, რა პოზიციას დაიჭერს ხვალ მის გვერდით მყოფი ოსი, თუ ხვალინდელობამ ახალი სიურპრიზი შემოგვთავაზა, მითუფრო, რომ ხრუშჩოვის მიერ ოსურ მოსახლეობაში სკოლების რუსულენოვანად გადაკეთება „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპის პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რატომ გამოგრჩათ ათეული საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის მესვეურთა ზრუნვა ოსებისათვის, რატომ ყრით ყველაფერს წყალში, განა ეს გამართლებულია? განა დაუნახაობა იქნება? რატომ უნდა უგულებელვყოთ ის ისტორიული დამსახურება, საქართველოს რომ მიუძღვის ოსების მიმართ, რამდენი რამ გააკეთა მან ოსთა გადარჩენისათვის?

სკოლებზე ამახვილებთ ყურადღებას. არ აჯობებდა, ის რუსულენოვანი სკოლები ოსურ მოსახლეობაში ოსურ-ქართულ საწყისებზე ყოფილიყო საქართველოში და ოსური ყოფილიყო ჩრდილო ოსეთში? ოსი ბავშვი საქართველოში რომ იბადება, სწავლობს ოსურს და ქართულ ენას პირველად, მაგრამ ხრუშჩოვის „გენიალური მოსაზრების“ წყალობით ბავშვს ვაბარებთ რუსულენოვან საბავშვო ბაღში და შემდეგ ამავეენოვან სკოლაში. განა ეს კანონზომიერია? არა მგონია! კიდევ უარესი ხელოვნური ბარიერი ჩნდება, ასე მძიმე დაღს რომ ასვამს ადამიანის სულს: განა სამართლიანია, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქართული რომ არ არის ურთიერთობის ენა? ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ხდება სამხრეთ ოსეთშიც — ისტორიულ სამაჩაბლოში. კონსტიტუციურ უფლებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ისტორიას რა ვუყოთ, როცა შევადარებთ, საუკუნეების წინათ როგორ იყო და როგორ არის ახლა? გაუგებარია თქვენი პოზიცია, როცა თქვენს იშვიათ გამოსვლებში ქართულად არ მეტყველებთ, რუსულს ამჯობინებთ, განა მარტო თქვენ, სხვებიც, მათ შორის რევაზ ახაევიც. და ამას, უკან მიდევნებული ლამპარივით, მოსდევს ინტერნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსი: „ქართველო, სალამს გიგზავნის ოსი“. საპირისპირო მაგალითი გნებავთ? ინებეთ: გიორგი ბესთაუთი.

პირადად თქვენ როგორ მოგწონთ, საქართველო რომ ასეა დახერილი „ავტონომიებით“ და ერთ-ერთი ასეთი „ავტო“ ლამისაა თბილისამდე მოდის? განა სამდურავი გეთქმით? და, თანაც, ერის სახელით! ან ის როგორ მოგწონთ, ახალი „ავტო“ რომ უნდათ თბილისის სამხრეთით?

საქართველოში ოსების გადაშენებისა გეშინიათ და ამაზე წუხართ. ეს გულისტკივილი ორჯონიკიძეში უნდა გეთქვათ. იქ უფროა ამის საშიშროება, ხოლო, რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ საკითხებს, ამაზე ზემოთ მოგახსენეთ. ნამეტან შიშს შეუპყრიხართ და არც ისეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ თქვენი სტატისტიკიდან გამომდინარე. დროის მანძილზე ყველაფერი დაიჭერს თავის კუთვნილ ადგილს. მით უმეტეს, როცა ვიცით, რომ ჩვენ დემოგრაფიულ საფრთხეს არ ვქმნით ზოგიერთებივით და არც გულში ჩადებული გვაქვს რაიმე უკეთური. აქედან გამომდინარე, არ ღირდა იმ ვაიუშველებლის ატეხა, ტ. კვანჭილაშვილის წერილს რომ მოიდევნა უკან. თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია — მოკავშირეობა, თანამშრომლობა და ახლო ურთიერთობაა ამის უტყუარი მოწმე.

პატივისცემით

გია თასოევი

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი.

„საქმემან შენმან“...

ჭეშმარიტად დრონი მეფობენ და არა მეფენი! არცთუ დიდი ხნის წინ ბრწყინვალე კაცის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის არა თუ შექება, კეთილად ხსენებაც არ იყო უხიფათო საქმე. ამ დიდებული მოქალაქის სახელი ყველას პირზე აკერია. პრესა მას ქება-დიდებით იხსენიებს. მართლაც, რომ „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო!“

ჟურნალ „ოგონიოკის“ ამა წლის თებერვლის №8-ში დაბეჭდილია ვანდა ბელეცკაიას მშვენიერი წერილი „ამფითქბელი“. სტატიაში ორიგინალური ფორმით გაანალიზებულია აკადემიკოს ა. სახაროვის ღვაწლი საზოგადოების წინაშე, მოთხრობილია მისი ცხოვრების დრამატული ოდისეა. იყო პერიოდი, როცა „საზოგადოებამ“ დაგმო აკადემიკოსი. მის განქიქებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ სოციალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი პირები. აკადემია რისი აკადემია იქნებოდა, რომ ამ საქმეშიც მონაწილეთა რიგებში არ მდგარიყო (სხვათაშორის, ამჟამადაც, დეპუტატობის კანდიდატად ა. სახაროვი აკადემიას არ წამოუყენებია). 1973 წლის 29 აგვისტოს ნომერში „პრავდამ“ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 40 წევრის ხელმოწერით დაგმო სახაროვის პოზიცია საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასების საქმეში. უფრო მოგვიანებით, 1975 წელს, ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით ა. სახაროვის მიერ წარმოთქმული სიტყვის კრიტიკას ხელი უკვე აკადემიის 72 წევრმა მოაწერა. 1973 წელს „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას ჩვენში დაკანონებული სტერეოტიპების შესაბამისად ქართველი (სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი...) მეცნიერებიც უნდა „გამოხმაურებოდნენ“. ეს არცაა გასაკვირი, როდესაც ადამიანი სავსებით სახელმწიფოზეა დამოკიდებული, ხელისუფლება ცდილობს, დათრგუნოს პიროვნება, აიძულოს იგი უღალატოს საკუთარ მრწამსს. ამისათვის ყოველთვის როდია აუცილებელი შიში, დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურებისა. საბედნიეროდ, ყოველთვის არიან სულით ძლიერი ადამიანები, რომელნიც სინდისთან კომპრომისს არ ურიგდებიან. ასე იყო სახაროვისადმი დამოკიდებულების საქმეშიც. მის განსაქიქებელ წერილებს საკავშირო აკადემიაში ყველამ როდი მოაწერა ხელი. ასევე მოხდა ჩვენშიც, საქართველოში.

ვინც სახელგანთქმულ მეცნიერს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი წერეთელს ახლოს იცნობდა, განაცვიფრებდა ამ პიროვნების ორი გარეგნულად განსხვავებული სახე. ოფიციალურ სამეცნიერო, თუ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ წრეებში მას მეტწილად ასკეტური იერი ჰქონდა, მოკლებული იყო ყოველგვარ ფამილარობას, საუბრისას ყოველთვის იყო ლაკონიური, ზუსტი, საქმიანი, ერთგვარად ცივიც კი. ამავე დროს მეგობრულ-შინაურულ წრეში საოცრად გულთბილი, მხიარული, იუმორით უხვად დაჯილდოვებული, რამდენადმე მიამიტი კაცი იყო, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ბავშვური გულუბრყვილობა. ცხადია, გიორგი წერეთლის პიროვნების ავკარგის წარმოსახვა იოლი საქმე არ არის, ბუნებრივია, არც საგაზეთო სტატია ეყოფა მომავლისათვის ჩაფიქრებული ამ საქმის განხორციელებას.

გიორგი წერეთელი, ანუ გოგი წერეთელი, როგორც მას უფრო მეტად ბავშვობიდან შემორჩენილი სახელით იცნობდა ქართული საზოგადოება, პრინციპული კაცი იყო. პრინციპულობა საერთოდ მეტად მძიმე ტვირთია ადამიანისათვის. განსაკუთრებით მძიმე იყო სტალინიზმის ეპოქაში, ცხადია, მომდევნო ხანაშიც. პრინციპების უღალატობისათვის გიორგი წერეთელს, მიუხედავად სამეცნიერო რეგალიებისა, მრავალი ტანჯვა-წამება გადახდა, მაგრამ არ გატეხილა.

ლენინგრადის სამეცნიერო წრეებში კარგად ახსოვდათ და დღესაც იხსენებენ, რომ როდესაც ახალგაზრდა მეცნიერს, გოგი წერეთელს, მისი დიდი მასწავლებლის ი. კრაჩკოვსკის განქიქება დაევალა, იგი კრებაზე არ გამოცხადდა. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, იმჟამად ეს მოქალაქეობრივი გმირობის, თავგანწირვის ტოლი საქციელი გახლდათ.

გიორგი წერეთელი მისთვის საბედისწერო 1978 წლის გაზაფხულზე, წყნეთში, აგარაკზე მოვინახულე. გულითადად მიმიღო, მერე შემომჩივლა, ხელები დამისივდაო, ათასი რამ მოვკიბ-მოვკიბე, დავამშვიდე, კარგი მედიკოსივით მრავალი უხიფათო მაგალითი დავუსახელე... მერე, ვნანობ, აღარ მომეცა მისი ნახვის საშუალება. თბილისიდან წავედი და დაბრუნებულს ცუდი ამბავი დამხვდა — მძიმე ავადმყოფი გიორგი წერეთელი მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში დაეწვინათ.

სექტემბრის დასაწყისის რა რიცხვი იყო, აღარ მახსოვს, ღამით ავადმყოფთან დავრჩი. სახლში წასულს საავადმყოფოში დაბრუნება შემაგვიანდა. დაბრუნებულმა დავინახე ბატონი გიორგის და თინათინ წერეთელი, რომელიც სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა ნერვიულად. გიორგიმ პალატაში მიხმო, ცოტა შემომწყრა კიდეც, ლოგინის გადაგებაში მაინცდამაინც მოხერხებულად ვერ გავისარჯე. მერე მთხოვა, გადი, თითქოს უთხარი სიგარეტს ნუ ეწევა. ხომ ხედავ რა მიყო მაგ ოხერმაო!

გარეთ გამოსულმა აღელვებული თინათინ წერეთლის მონათხრობი მოვისმინე — აკადემიიდან მოსულან მთავრობის დავალებით და გიორგი წერეთლისათვის, როგორც საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრისათვის, წინადადება მიუციათ, აკადემიკოს ა. სახაროვის საქციელის დაგმობაზე ხელი მოაწერეო. ბატონ გიორგის მოსწყლები არ შიულია. მაშინ თინათინს სთხოვეს თქვენი ძმის მაგივრად მოაწერეთ ხელიო. გაფიცხებული თინათინ წერეთელი — არ უნდა გეკადრებინათ ჩემთვის ასეთი რამ, მე ხომ სისხლის სამართლის სპეციალისტი ვარ და ამგვარ კრიმინალს როგორ მთავაზობთო (ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თინათინ წერეთელი, საბჭოთა კავშირში პირველი ქალი გახლდათ, რომელმაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო სისხლის სამართალში). ხელმოწერაზე უარი საბოლოო იყო. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბატონი გიორგი საკუთარ თავს არ ღალატობდა, ხუმრობდა, ხელმოწერა რომ შემომთავაზეს, თავი მოვიმკვდარუნეო. შემდეგ ყველა გააფრთხილა, მაგ საკითხზე ჩემთან აღარავინ შემოუშვათ, სულერთია, თანხმობას ვერ მიიღებენო.

„ლიტერატურული საქართველოს“ მიმდინარე წლის 3 მარტის ნომერში დასტამბულ მარიკა აბაიშვილისა და თამარ ებრალიძის წერილში სიამოვნებით წავიკითხე — „ჩვენი ბავშვობის წლებიდან ლეგენდასავით გვახსოვს, აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა უარი რომ განაცხადა, ხელი მოეწერა სოლჟენიცინის განსაქიქებელ დოკუმენტზე“. კარგია, რომ კეთილი, ვაჟკაცური საქმე არ იკარგება. ამასთან მინდა დავძინო — არ ვიცი როგორ იყო საქმე სოლჟენიცინთან დაკავშირებით, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ იმ 1973 წლის ადრეულ შემოდგომაზე აკადემიკოს ანდრეი სახაროვის გაკრიტიკებაზე ჩვენმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ჩვეული პრინციპულობით კატეგორიული უარი განაცხადა.

ჯუმბერ ოდიშელი

ვინ იყო იაროსლავ იოსელიანი?

გამომცემლობა „Агентства печати новости“-მ გამოსცა ცნობილი საბჭოთა მწერლის კონსტანტინე სიმონოვის წიგნი „Глазами человека моего поколения“.

ამ წიგნის ერთ-ერთ თავში კონსტანტინე სიმონოვი წერს, რომ თავის დროზე სტალინურ პრემიაზე წარდგენილი იყო ჩემი კეთილი ნაცნობის (добрый знакомый) ლიტინსტიტუტისა და სასცენარო სტუდიის ამხანაგის დიმიტრი ერიომინის რომანი „Гроза над Римом“. მიუხედავად იმისა, რომ სტალინსა და მალენკოვს დიდი სურვილი ჰქონდათ ამ ნაწარმოებისათვის სტალინური პრემია მიეცათ, მაგრამ მე შევეცადე ეს საქმე ჩამეშალა, ვინაიდან რომანი სუსტი და უმწეო იყო. არადა მაშინ კ. სიმონოვის კეთილი ნაცნობის ერიომინის რომანი სრულებითაც არ იყო გამონაკლისი, იდეურობას ამოფარებული ბევრი სუსტი ნაწარმოები იღებდა სტალინურ პრემიას. ამ შემთხვევაშიც, ეტყობა, სტალინმა და მალენკოვმა თავისი გაიტანეს და ერიომინმა მესამე ხარისხის პრემია მიიღო.

სხდომის ბოლოს სტალინი კვლავ წამომდგარა, ხელში თურმე ლენინგრადის ჟურნალი „Звезда“ სჭერია და უთქვამს: „აი, აქ, დაბეჭდილია ჩვენი ცნობილი წყალქვეშა კაპიტნის იოსელიანის არც თუ ცუდი ნაწარმოები, რომელიც ქართულიდან უთარგმნია კრემლიოვს, იქნებ, ღირდა ამ ნაწარმოებისათვის პრემია მიგვეცა? რა აზრისანი იქნებით? „უნდა მივცეთ“, „მივცეთ, მივცეთ“, „კარგი წიგნია“, ასეთი რეპლიკები უსვრიათ პოლიტბიუროს წევრებს.

წიგნი მართლა კარგი და საინტერესო იყო, წერს კ. სიმონოვი, მაგრამ ეს წიგნი დაწერილი იყო იოსელიანის ჩანაწერებისა და მონათხრობის მიხედვით კრემლიოვის მიერ, რაიც გახდა მიზეზი იმისა, რომ კვლავ წინააღმდეგ წასულიყო კ. სიმონოვი. არადა, იმ დროს, შემდგომშიც, არც მეგულება არც ერთი მთავრობის ხელმძღვანელი, არც ერთი მხედართმთავარი, თუ უბრალოდ ომის მონაწილე (გარდა სტალინისა), რომელიც თავად წერდა თავის წიგნებს, თუმცა დიდებასაც იხვეჭდნენ და ნაირნაირ პრემიებსაც. აქ მარტო მიზეზი არაფერ შუაშია, აქ მთავარია მიზეზის მიზეზი, მაშ რაშია საქმე, რატომ ეწინააღმდეგება კონსტანტინე სიმონოვი სტალინს, რომ პრემია მიიღოს ამ კარგმა წიგნმა? რატომ და ნაწარმოები არ გახლავთ ქართულიდან თარგმნილი. რატომ და იოსელიანი ეროვნებით სვანი იყო, იზრდებოდა რუსულ ბავშვთა სახლში (Иоселиани по национальности сван, а по обстоятельствам жизни с малых лет воспитанник русского детского дома), და ქართული ენა საერთოდ არ იცოდა.

რა ხდება? ნუთუ არც გარეულს და არც შინაურს არ აინტერესებს, ოდნავ ღრმად ჩაიხედოს იმ ხალხში, იმ ქვეყანაში, რომელშიც სიცოცხლის ნახევარი გაუტარებია? ნუთუ ბატონმა კონსტანტინე სიმონოვმა, აწ გარდაცვლილი შესანიშნავი ქართველი პოეტის — რევაზ მარგიანის ახლო მეგობარმა არ იცოდა, ვინ არიან სვანები, ვინ არიან მეგრელები და ვინ არიან კახელები? ვერ დავიჯერებ, ვერ დავიჯერებ, იმიტომ, რომ მე თვითონ კარგად ვიცნობდი ბატონ კონსტანტინე სიმონოვს, — საბჭოთა მწერალს... მთელი სვანეთი ფეხით ჰქონდა მოვლილი და ნუთუ სვანებმა ვერ დაარწმუნეს თავის ქართველობაში? კონსტანტინე სიმონოვს თუ დავუჯერებთ, საქართველოში არავის ქართული არ სცოდნია. რატომ? რატომ და საქართველო სვანია, საქართველო მეგრელია, საქართველო გურულია, საქართველო ხევსურია, საქართველო თუშია, საქართველო კახია და ასე შემდეგ, დიახ, „საყვარელო საქართველო“, ჩვენო სამშობლო, კონსტანტინე სიმონოვისათვის საკუთარი ხუთი თითივით ნაცნობი საქართველო.

რაშია საქმე? იქნებ, რიაზანელი რუსი რუსი არაა, იქნებ, გუცული არაა უკრაინელი?

ეტყობა, კონსტანტინე სიმონოვის აღშფოთებამ „ზევითაც“ უკმაყოფილება გამოიწვია... «Хорошо помню, как, грузно поворотясь ко мне со скрипнувшего под ним кресла Берия резко оборвал меня:

— «Как так не знает? Как так — Иоселиани не знает Грузинского языка? Он знает грузинский язык», აღშფოთებულა ბერია...

ვერც სტალინმა და ვერც ბერიამ ამ შემთხვევაში თავისი ვერ გაიტანეს, წიგნს არ მისცეს პრემია, სტალინმა ეს საკითხი საერთოდ მოხსნა დღის წესრიგიდან. «Снимаем этот вопрос», — сказал он“. არაფერი დიდი ტრაგედია იმაში არაა, რომ წიგნმა სტალინური პრემია ვერ მიიღო. მერე რა ვუყოთ, ამნაირი პრემია თვითონ კონსტანტინე სიმონოვს მრავალი ჰქონდა.

გამოჩენილ წყალქვეშა მეზღვაურს, არაფერი დაჰკლებია იმით, რომ პრემია ვერ მიიღო, ხოლო ბევრი დააკლდება თუ ქართველობას წაართმევენ.

იაროსლავ იოსელიანი იყო ჭეშმარიტი ქართველი და კარგად იცოდა თავისი მშობლიური ენა. სხვათა შორის, იმ მწერლებზეც თავისი აზრი ჰქონდა, რომლებიც დედის ძუძუს განუდგნენ და მეორე ენა გაიმშობლიურეს!

მე კი დავიბენი, ვეღარც მტერს ვიცნობ და ვეღარც მოყვარეს. რამ დაამსგავსა ისინი ერთმანეთს?

ჯანსუღ ჩარკვიანი

ნუ ჩავაგდებთ საფრთხეში ეროვნულ ძეგლებს

ბოლო დროს ჩვენი საზოგადოების წინაშე მთელი სიმძაფრით წარმოსდგა ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკოლოგია, დემოგრაფია, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სტატისტიკის სფეროები...

გარემომცველი ბუნების დაცვა ყველა ჩვენგანისაგან, მეცნიერების ყოველი დარგისაგან ყურადღებას და დახმარებას მოელის.

არანაკლები ყურადღება ესაჭიროება ისტორიულ ძეგლებს. სახელმწიფო მილიონებით გამოხატულ სახსრებს ხარჯავს მათი გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის. დიდია ფართო საზოგადოების წვლილი ამ საშვილიშვილო საქმეში.

და აი, ამ თავისებური აღმავლობის ტენდენციით გამსჭვალულ დროში უცნაური და, ჩვენის აზრით, დაუშვებელი რამ ხდება: ისტორიული და ხელოვნების ძეგლების პოპულარიზაციის მოტივით საკავშირო, საერთაშორისო თუ სხვა გამოფენებზე მიდის და მოდის ეროვნული განძეულობის, ხელოვნების და ისტორიის ძეგლების ხან ერთი ნაწილი, ხან კი მეორე!

გამოფენებს აქვს წარმატება. ამის შესახებ ცოტა როდი იწერება, მაგრამ წლების მანძილზე თანდათან იზრდება შეშფოთება და იბადება კითხვა, — ნუთუ ეს ამბავი ასე დაუსრულებლივ უნდა გაგრძელდეს?

მით უმეტეს ყურადსაღებია ტელევიზიასა და პრესაში უსანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ცნობები იმ გამოფენების შესახებ, რომელთა მოწყობაც დაგეგმილი აქვს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს საზღვარგარეთ: განზრახულია აშშ-ის ქალაქ სან-დიეგოში მოეწყოს საგანძურის ექსპონატების გამოფენა. ცნობილი გახდა ისიც, რომ მომავალში აგრეთვე საზღვარგარეთ ნავარაუდევია გამოიფინოს ფიროსმანის ნამუშევრები და ჩვენი საუკუნის ოციანი წლების ქართული მხატვრობის ნიმუშები.

ეს გამოფენები, ერთის მხრივ, პასუხობს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იწვევს ქართული ხელოვნება და ერთი შეხედვით ხელსაც უწყობს მის პოპულარიზაციას. ამაში ცუდი თითქოს არაფერია, მაგრამ, მეორეს მხრივ, აშკარაა, რომ თვითონ ძეგლებისათვის ამგვარი მოგზაურობანი უვნებელი არ არის: განა შეიძლება, თავისი მუდმივი სამყოფელიდან დაძრულ ნივთს, თანაც უფრო ხშირად საუკუნოვანი ხნოვანებისას, არაფერი დაუშავდეს, იოტის ოდენადაც არ დაზიანდეს?

დაუჯერებელია, თითქოს არსებობდეს ისეთი საშუალებები, რომლებიც ამგვარ მომენტს სრულიად გამორიცხავს. გარდა ამისა, ვის შეუძლია უგულვებელყოს კიდევ მეტი საშიშროება — ძეგლების დაკარგვა ან დაღუპვა.

ზემოთქმულის გათვალისწინება (დაზიანების, დაკარგვის, მგზავრობისას დაღუპვის მინიმალური შანსის არსებობაც კი) საკმარისი უნდა ყოფილიყო ამ დარგის მესვეურთათვის, რათა აღეკვეთათ ამგვარი საეგებით ღონისძიებანი და ჩვენი ისტორიული რელიკვიების ბედი ყოფნა-არყოფნის სასწორზე არ შეედგოთ.

თანამედროვე პირობებში ხელოვნების ძეგლების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა სხვა საშუალებებითაც (პოლიგრაფია, ფოტო, კინო, ვიდეოტექნიკა და სხვა) ხომ შეიძლება!

მაშ, რამდენადაა მართებული, რომ ამგვარ გამოფენა-მოგზაურობებს ბოლო არ უჩანს? რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ამ საქმის მესვეურნი? მეტისმეტად დიდი ხომ არ არის პასუხისმგებლობა, რომელსაც თავის თავზე იღებენ ცალკეული პირები მთელი ერის წინაშე? განა ქართველი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი განძი რომელიმე ჩვენგანის საკუთრებაა? არა გვგონია. თუნდაც მცირე შეცდომას ამ საქმიანობაში გამართლება მოეძებნებოდეს!

რატომ არ უნდა იყოს ამგვარი აქცია საქვეყნო მსჯელობის საგანი და რატომ რჩება იგი დღემდე მთელი საზოგადოების ინტერესების სფეროს მიღმა?!

თუ ყოველივე ეს საზოგადოების გვერდის ავლით მიმდინარეობს, რას უყურებენ ისინი, ვისაც უშუალო კავშირი აქვს ძეგლებთან და ვისი გასაკეთებელ-მოსაგვარებელიც უნდა ყოფილიყო აქამდე ეს საქმე! ნუთუ არცერთ მათგანს არ შეხტკივა გული ეროვნულ საუნჯეზე? ნუთუ ვერცერთი ვერ ხედავს საშიშროებას, საშიშროებას ისტორიის დაკარგვისა? ნუთუ ყველა ერთი აზრისაა?! იქნებ დავეკითხოთ მაინც, საინტერესოა, რა პასუხს მოგვცემენ?

ვისაც ნამდვილად სურს ამ განძეულობის გაცნობა, განა ძნელია, საქართველოში ჩამოვიდეს და ძეგლები აქ ნახოს? მათთვის ხომ ყველა კარი ღიაა, არავითარი დაბრკოლება არ არსებობს.

ნუთუ თავი იმდენად უნდა დავიმციროთ, რომ თვითრეკლამა ჩვენი ერის მიზნად გადავაქციოთ? განა ერი, ქვეყანა იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ უცხო ქვეყნებმა, მთელმა მსოფლიომ, ანუ, უფრო მარტივად რომ ითქვას — სხვამ — იგი მოიწონოს, გაეცნოს მას? ასეთი რა გაგვიჭირდა?!

სანამ რაიმე უბედურებას არ გადავყრივართ, ვიკმაროთ ჩვენი წინაპრების ნიჭით და გენიით, შრომით და აღმაფრენით შექმნილ, მრავალთა სისხლის ფასად შემორჩენილ სიწმინდეთა აქეთ-იქით ტარება და პროპაგანდა-კომერციის საგნად გამოყენება!

ანა კალანდაძე,
რევაზ ჯაფარიძე,
ალექსი ჭინჭარაული,
ნოდარ ნათაძე,
სოლომონ ხუციშვილი

მხატვრული თარგმანის კოლეგიაში

მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაში განსაკუთრებული მისია აკისრია ლიტერატურული ურთიერთობების სახლს (გალაკტიონის ქ. 20). კოლეგიის არსებობის თხუთმეტი წლის მანძილზე არაერთი საინტერესო შეხვედრა, ლიტერატურული საღამო ჩატარებულა ამ სახლში. მათ შორის შეიძლება გავიხსენოთ პუშკინის, ბლოკისა და გოგოლისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციები, რომელმაც თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია.

კეთილი ტრადიცია გრძელდება. ლიტერატურული ურთიერთობების სახლი დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ მიმართულებით. გათვალისწინებულია კვლავაც მოეწყოს პოეზიის საღამოები. შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, მხატვრებთან, ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან, ხოლო ამ სახლის სტუმრები იქნებიან თბილისში მცხოვრები (და არამარტო თბილისში მცხოვრები) ქართველი და არაქართველი მოსახლეობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც ექნებათ სურვილი უფრო უკეთ გაეცნონ ქართულ ლიტერატურას, ქართველი ხალხის კულტურას, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის.

ზემოთნათქვამის დადასტურება გახლდათ სწორედ ლიტერატურული ურთიერთობების სახლში გასულ ხუთშაბათს ჩატარებული ქართული ფოლკლორის საღამო. მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიამ სტუმრებს მოკლედ გააცნო ურთიერთობების სახლის გეგმები და მიზნები, რამაც დამსწრეთა დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. შემდეგ მან სიტყვა დაუთმო კოლეგიის თანამშრომელს პროფესორ ვახუშტი კოტეტიშვილს. ვახუშტი კოტეტიშვილმა სტუმრებს მოკლედ გააცნო მისი ხელმძღვანელობით მომზადებული საზღვარგარეთ გამოსაცემი (გდრ, იტალია) ზოგიერთი წიგნი-ალბომის შინაარსი, რომლის ტექსტიც უცხოელი გამომცემლების თხოვნით თვითონვე დაწერა. ესეის სტილში დაწერილი ეს მცირე მოცულობის ნაშრომი, რომელიც მკითხველს აცნობს საქართველოს წარსულს და აწმყოს, მის ყოფას, ადათ-წესებს და ტრადიციებს, ინტერესით იქნა მოსმენილი. შემდეგ ბატონმა ვახუშტიმ — წაიკითხა ხალხური პოეზიის შედევრები, როგორც ძველი, ისე ბოლო ხანებში მოძიებული და უკვე ფართო აუდიტორიისთვის ცნობილი მარგალიტები. ის ღრმა ანალიზს უკეთებდა თითეულ ტექსტს, იშველიებდა ამ საღამოსთვის თავის მიერვე მომზადებულ რუსულ პწკარედებს და მიუხედავად იმისა, რომ ხალხური პოეზიის ნიმუშების ამგვარი თარგმანით ძნელად მიიღწევა რაიმე ეფექტი, დარბაზში მაინც არავინ დარჩენილა გულგრილი. მართალია ბატონ ვახუშტის საღამო რუსულ ენაზე მიჰყავდა, მაგრამ მსმენელთა დაჟინებული თხოვნით იგი ქართულადაც კითხულობდა გამორჩეულად საინტერესო ლექსებს.

ბოლოს სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პატივცემულ პროფესორს საინტერესო ლექცია-საღამოსთვის, ბატონ ოთარ ნოდიას, ასე დაუღალავად რომ ემსახურება კეთილშობილურ საქმეს.

მიხო ბეროშვილი

შეხვედრა ფრანგ ქართველოლოგთან

ახლახანს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების რედაქციაში შეხვედრა მოუწყვეს ფრანგ ქართველოლოგს ვალერი ლე გალშე-ბარონს.

ქალბატონი ვალერი ლე გალშე-ბარონი ამჟამად ლექციებს კითხულობს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში; პარალელურად სწავლობს ქართულ ენას. ქართული ენის შესწავლა მან ჯერ კიდევ პარიზში დაიწყო, რამდენიმე წლის წინ, ბატონ გიორგი შარაშიძის დახმარებით. ამჟამად დაინტერესებულია ქართული მთის ეთნოგრაფიით და ფოლკლორით.

შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა კოლეგიის თავმჯდომარე ოთარ ნოდია, თანამშრომლები ანდრო წულაძე, თამარ აფციაური, ანიკო აბრამიშვილი და სხვები, გაიმართა საქმიანი საუბარი ფრანგულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე. აღინიშნა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომი გაფართოებით.

ოთარ ნოდიამ ფრანგ ქართველოლოგს დახმარება აღუთქვა შემდგომ მუშაობაში.

პროზა

[illegible]

გუგული ტოგონიძე

კაცი სოკო

[illegible]

პოეზია

თამაზ ჩხენკელი

●

[illegible]

●

[illegible]

გურამ ოდიშარია

[illegible]

რენე კალანდია

[illegible]

ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის არგუმენტირებისათვის

ელგუჯა ხინთიბიძე

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კაცობრიობის კულტურულ პროგრესში საკუთარი წარუშლელი წვლილი შეუტანია. პირველ რიგში, იგი გამოიხატა ეროვნული, ორიგინალური ქართული კულტურის შექმნით — განუმეორებელი ქართული მუსიკით, ქართული არქიტექტურითა და მხატვრობით, დიდი ქართული პოეტური კულტურით. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ინტელექტს უშუალოდაც მიუღია მონაწილეობა შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაციის პროცესში, რაც გამოხატულა ქართული ენიდან თარგმნის თუ გადამუშავების გზით ევროპული ლიტერატურული შედევრების შექმნით, ანდა წარმოშობით ქართველ მწერალთა და მოაზროვნეთა მოღვაწეობით შუასაუკუნეების სხვადასხვა კულტურულ არეალში. ამ თვალსაზრისით ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა და ფაქტი საბოლოოდ ჩამარხულა საუკუნეთა ბურუსში, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ელის გამოვლენას. ზოგიერთი კი, პირველწყაროებით მინიშნებული თუ მეცნიერული თეორიებით გამოვლენილი, მყარი არგუმენტებით დასაბუთებას საჭიროებს. ამ რიგის თეორიათა შორის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ევროპული მედიევისტიკის ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემატიკის თვალსაზრისით არის არეოპაგიტული წიგნების ავტორობის პრობლემა.

დიონისე არეოპაგელის სახელით ჩვენამდე მოღწეული ოთხი თეოლოგიური ტრაქტატი — „საღმრთოთა სახელთათვის", „ზეცათა მღდელთმთავრობისათვის", „საეკლესიოისა მღდელთმთავრობისათვის", „საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის" — და ათი თეოლოგიური შინაარსის ეპისტოლე შუასაუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტს წარმოადგენდა. არეოპაგიტული თეოლოგია პასუხს სცემდა შუასაუკუნეების ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც იყო ღვთაებრივი არსის შეუცნობადობის და უზენაესის სახელდების შესაძლებლობა, სიკეთის მონიზმი და კეთილისა და ბოროტის ურთიერთობა, ანგელოზთა წყობა და მათი იერარქია და სხვა. მიჩნეულია, რომ სწორედ არეოპაგიტულ მსოფლმხედველობაშია ევროპული რენესანსის ფილოსოფიური საფუძვლები (შ. ნუცუბიძე, ა. ლოსევი). არეოპაგიტულ ფილოსოფიას ეყრდნობოდნენ გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპული კულტურის ცნობილი წარმომადგენლები: იოან სკოტ ერიგენა, რომელმაც IX საუკუნეში არეოპაგიტული კორპუსი ლათინურ ენაზე თარგმნა, რობერტ გროსეტესტე, ბონავენტურა, მაისტერ ეკჰარტი, სიგერ ბრაბანტელი, თომა აქვინელი, დანტე ალიგიერი, ნიკოლოზ კუზანელი და სხვები. ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში არეოპაგიტული თეოლოგიის კვალი IX-X საუკუნეებში ჩანს („ახურელ მამათა ცხოვრებანი"). XI საუკუნეში ეფრემ მცირემ არეოპაგიტული კორპუსი ქართულ ენაზე თარგმნა და მას დაურთო ისტორიულ-თეოლოგიური ხასიათის ორიგინალური შესავალი („თხრობაი დიდისა დიონისისათვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა"). მაღალ შეფასებას აძლევენ დიონისეს XII საუკუნის ქართული სამეფო კარის მეხოტბენი: ჩახრუხაძე და შავთელი. არეოპაგიტულ ფილოსოფიას ემყარებოდა შოთა რუსთაველი.

არეოპაგიტული თხზულებანი დიონისე არეოპაგელის ავტორობით საეკლესიო წრეებში ცნობილი გახდა VI საუკუნის 30-იანი წლებიდან. დიონისე არეოპაგელი ბიბლიური პიროვნებაა. იგი I საუკუნეში ცხოვრობდა, იყო მოწაფე პავლე მოციქულისა, მანვე მოაქცია ქრისტიანობაზე. ეჭვი დიონისე არეოპაგელის ავტორობაში ამ წიგნების გამოჩენისთანავე წარმოიშვა. 532 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე ამ წიგნების ავტორიტეტს ემყარებოდნენ მონოფიზიტები, დიოფიზიტები კი დიონისე არეოპაგელის ავტორობას ეჭვის თვალით უცქეროდნენ იმ მოტივით, რომ ეს წიგნები არ იყო ცნობილი დიდი სახულიერო მამებისათვის IV-V საუკუნეებში. მაგრამ მოციქულებრივმა ავტორიტეტმა მაინც თავისი გაიტანა და თანდათანობით ეს წიგნები ორთოდოქსული ეკლესიის ინტერესებისათვის იქნა გამოყენებული.

მიუხედავად ამისა, შუასაუკუნეებში ამ კორპუსის კუთვნილება დიონისე არეოპაგელისადმი მაინც საეჭვო რჩებოდა. ყოველ შემთხვევაში ფოტი პატრიარქი (IX ს.), გიორგი ტრაპეზუნდელი (XIV ს.), თეოდორე ღაზელი (XV ს.) დაეჭვებული იყვნენ დიონისე არეოპაგელის ავტორობაში. ამ სკეფსისს რენესანსის ეპოქაში სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებიც იზიარებდნენ (ლორენცო ვალა, ერაზმ როტერდამელი). XVIII საუკუნიდან დაიწყო არეოპაგიტული წიგნების ავტორის მეცნიერული ძიება. სხვადასხვა დროს ფსევდო დიონისე არეოპაგელს აიგივებდნენ დიონისე ალექსანდრიელთან, დიონისე ეგვიპტელთან, დიონისე სქოლასტიკოსთან, გრიგოლ დიდთან, პეტრე ფულონთან, სინეზიუს პტოლემაიდელთან, სევეროს ანტიოქელთან და სხვებთან.

XIX საუკუნის დასასრულს გერმანელმა მეცნიერებმა ჰ. კოხმა და ი. შტიგლმაიერმა დაასაბუთეს, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი იცნობდა და ეყრდნობოდა V საუკუნის ნეოპლატონიკოსის პროკლეს იდეებს. კერძოდ, არეოპაგიტიკაში აღმოჩნდა კვალი პროკლეს კომენტარებისა პლატონის „ალკიბიადეს" პირველ წიგნზე. ეს კომენტარები კი დაწერილია 462 წელს. ევროპული ფილოსოფია თანდათან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არეოპაგიტული წიგნები შექმნილია V საუკუნის II ნახევარში ბერძნულ ენაზე პროკლეს ნეოპლატონური ფილოსოფიის გავლენით სირიელი მონოფიზიტების წრეში, ქალაქ ღაზის მახლობლად (ი. შტიგლმაიერი), უცხოელის, არა ბერძენის მიერ (ო. ბარდენჰევერი).

1942 წ. შ. ნუცუბიძემ სტატიაში „ფსევდო დიონისე არეოპაგელის საიდუმლო" და 1952 წელს ბელგიელმა ბიზანტინისტმა ე. ჰონიგმანმა მონოგრაფიაში „პეტრე იბერიელი და ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებანი" ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასეთი დასკვნა გააკეთეს: ე. წ. არეოპაგიტული წიგნების ავტორია V საუკუნის ცნობილი განდეგილი, ქართველი უფლისწული პეტრე იბერიელი.

პეტრე იბერიელი დაიბადა 411 თუ 409 წელს იბერიის სამეფო კარზე. უფლისწულობაში მას ერქვა მურვანი ან ნაბარნუგი (სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა სახელით იხსენიებენ). მისი მამა იყო მეფე ბუზმარი, პაპა დედის მხრიდან — თავისი ქრისტიანული ქმედებებით ცნობილი იბერიის მეფე დიდი ბაკური. 12 წლის ასაკში პეტრე მძევლად გაგზავნეს ბიზანტიის სამეფო კარზე თეოდოსი მეორესთან (408-450 წ.წ.). იქ მან ბრწყინვალე აღზრდა-განათლება მიიღო. იბერიელ უფლისწულზე განსაკუთრებით ზრუნავდა ბიზანტიის დედოფალი ევდოკია. შვიდიოდე წელი დარჩა პეტრე ბიზანტიის სამეფო კარზე. შემდეგ კი თავის მოძღვართან, თანამოაზრესა და თანამემამულესთან იოანე ლაზთან ერთად (ერისკაცობაში მას მითრიდატე ერქვა) გაიპარა იერუსალიმში და ბერად აღიკვეცა. ეს მოხდა, პეტრეს ბიოგრაფის იოანე რუფუსის თანახმად, მაშინ, როცა პეტრე 20 წლის გახდა. ზოგი გამოანგარიშების მიხედვით კი (პ. დევო) — 437 წელს. მალე აქ პეტრემ მონასტერი ააგო ქართველთათვის, იერუსალიმში მას ესტუმრა დედოფალი ევდოკია, რის შემდეგაც მან, იოანე ლაზთან ერთად, დატოვა იერუსალიმი და დასახლდა ქალაქების ღაზისა და მაიუმის მახლობლად. ქალკედონის საეკლესიო კრების შემდეგ 451 წლის ბოლოს თუ 452 წლის დასაწყისში იერუსალიმის პატრიარქმა თეოდოსიმ პეტრე აკურთხა მაიუმის ეპისკოპოსად. 453 წელს იერუსალიმის ახალმა პატრიარქმა დიოფიზიტმა იუვენალმა დაიწყო რეპრესიები ამ რაიონის მონოფიზიტი ეპისკოპოსების წინააღმდეგ, პეტრემ იოანესთან ერთად დატოვა მაიუმი და გადასახლდა ალექსანდრიაში. ეგვიპტეში პეტრე წლების მანძილზე ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას მონოფიზიტობის განსამტკიცებლად და დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. 70-იანი წლების დასაწყისში იგი უკვე იერუსალიმშია და აგრძელებს ასკეტურ მოღვაწეობას, მოგზაურობს პალესტინის სხვადასხვა მხარეში. თანდათანობით წმინდა მამა აქ ძალზე დაფასებული გახდა. მას უწოდებდნენ „მართლმადიდებლობის ბურჯს", „დიდ პეტრეს", „მეორე მოციქულ პავლეს", „მეორე მოსეს", „ძალზე საკვირველ ადამიანს".

პეტრეს ჰყავდა თანამოაზრენი. მათ შორის ცნობილია როგორც იოანე ლაზი, ასევე მისი სხვა მოწაფეები და მიმდევრები: ზაქარია რიტორი, იოანე რუფუსი, სირიელი სერგიოს რეშაინელი. ამ უკანასკნელმა VI საუკუნის 20-იან თუ 30-იან წლებში სირიულ ენაზე თარგმნა არეოპაგიტული თხზულებანი.

პეტრე გარდაიცვალა 80 წლის ასაკში 491 თუ 489 წელს. დაკრძალულ იქნა მაიუმის მონასტერში.

ჩვენამდე არ მოუღწევია პეტრე იბერიელის სახელით ცნობილ არცერთ ნაწარმოებს. შ. ნუცუბიძემ ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას, რომლის თანახმადაც პეტრე თანამედროვეთა შორის მწერლის სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი. ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიაში" ერთი ასეთი ეპიზოდი გვხვდება: ვინმე იოანე ალექსანდრიელი წერდა ფილოსოფიური შინაარსის წიგნებს და ავრცელებდა მათ პეტრე იბერიელის სახელით. ეს ფალსიფიკაცია შენიშნა პეტრემ და დასწყევლა იოანე.

პეტრეს ცხოვრებას და მოღვაწეობას აღწერენ ჩვენამდე მოღწეული შემდეგი პირველწყაროები: „პეტრე იბერიელის ცხოვრება" და „პლეროფორიები" იოანე რუფუსისა, „საეკლესიო ისტორია", „სევეროს ანტიოქელის ცხოვრება" და „მოთხრობა ისაია განდეგილის მოღვაწეობაზე", ზაქარია რიტორისა. ქართულ ენაზე ჩვენამდე მოღწეულია კიდევ ერთი „ცხოვრება პეტრე იბერიელისა", რომლის ავტორად ხელნაწერთა ტრადიციით მიჩნეულია ზაქარია ქართველი. ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი შეაქვს ამ თხზულების ავთენტურობაში და თვით ამგვარი ავტორის არსებობის ფაქტში (ნ. მარი, კ. კეკელიძე, ა. გაწერელია); სხვები პირიქით — ამ თხზულებას ძალზე ფასეულ პირველწყაროდ თვლიან (ი. ჯავახიშვილი, ი. ლოლაშვილი).

პეტრე იბერიელისა და ფსევდო დიონისე არეოპაგელის იდენტიფიცირებისათვის შ. ნუცუბიძესა და ე. ჰონიგმანს შემდეგი არგუმენტები მოჰყავთ: 1. არეოპაგიტული თხზულებანი შექმნილია V საუკუნის II ნახევარში, პეტრე იბერიელის მოღვაწეობის დროს. 2. ეს წიგნები სირიელი მონოფიზიტების წრიდან გამოვიდა. ამ უკანასკნელთა აღიარებული სულიერი მოძღვარი იყო პეტრე იბერიელი. 3. თავისი ინტელექტით, ერუდიციით და მისი ინტერესების სფეროში შემავალი თეოლოგიური პრობლემებით პეტრე იბერიელი ამჟღავნებს მსგავსებას არეოპაგიტული კორპუსის უცნობ ავტორთან. 4. დიონისე არეოპაგელი თავის თხზულებებში (არეოპაგიტულ კორპუსში) ხშირად ემყარება თავის სულიერ მოძღვარს იეროთეოსს. პეტრე იბერიელთან ერთად განდეგილურ ცხოვრებას მისდევდა მისი მასწავლებელი და თანამოაზრეც იოანე ლაზი, რომელიც გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, ე. ჰონიგმანის გამოთვლით, 465 წელს. ე. ჰონიგმანის მიგნებით 4 ოქტომბერი, ძველი სირიული საეკლესიო ტრადიციის თანახმად, იყო მოსახსენებელი დღე იეროთეოსის, დიონისე არეოპაგელის მასწავლებლისა. აქედან გამომდინარე, იეროთეოსი იდენტიფიცირებულია იოანე ლაზთან, რაც იძლევა დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერიელის იდენტიფიცირების საფუძველს.

ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია თავდაპირველად გაზიარებულ იქნა როგორც საზღვარგარეთელ (ფ. დელგერი, ფ. გრიუმელი, ე. ივანკა, ბ. ვარდი), ისე საბჭოთა მეცნიერთა მიერ (ს. ყაუხჩიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვ. ორლოვი, ნ. სიდოროვა, ვ. ჩალოიანი, შ. ხიდაშელი, ს. ენუქაშვილი). ცნობილმა ფრანგმა ბიზანტინისტმა ფ. გრიუმელმა ჰონიგმანის მიგნებას „განსაცვიფრებელი აღმოჩენა" უწოდა. შ. ნუცუბიძის ჰიპოთეზას დაეთანხმა ანტიკური და შუასაუკუნეების აზროვნების ცნობილი სპეციალისტი ა. ლოსევი. ძველი ლიტერატურისა და ფილოსოფიის ისტორიკოსთა ერთი ნაწილი კი თავიდანვე უარყოფითად შეხვდა ამ თეორიას (ი. ჰაუსპერი, კიპრიანი, ჰ. ენგბერდინგი, კ. კეკელიძე, ს. დანელია).

ჰონიგმანის არგუმენტს იოანე ლაზის გარდაცვალების დღისა და სირიულ კალენდარში იეროთეოსის ხსენების დღის დამთხვევის თაობაზე (პროფ. კიპრიანის აზრით, ეს ცნობები იეროთეოსზე უძველეს მართლმადიდებლურ კალენდარშიც მოიპოვება) მიიჩნევენ შემთხვევითად და უმნიშვნელოდ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მწვავე კრიტიკის საგნად იქცა შ. ნუცუბიძის ზოგიერთი არგუმენტი; კერძოდ, აზრი იმის თაობაზე, თითქოს ქართველმა მოღვაწეებმა — იოანე პეტრიწმა, ჩახრუხაძემ და რუსთველმა იცოდნენ დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიცირების საიდუმლო (კ. კეკელიძე, ი. ლოლაშვილი).

ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიმართება ჰონიგმან-ნუცუბიძის თეორიისადმი მკვეთრად შეიცვალა ჰ. ენგბერდინგის გამოკვლევის შედეგად. ჰ. ენგბერდინგმა პრობლემა აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიათა განხეთქილების სიბრტყეზე გადაიტანა. მკვლევარმა აღმოსავლეთის ეკლესიას მონოფიზიტებთან შეთქმულება დასწამა, რამდენადაც ამ თეორიით არეოპაგიტული კორპუსის შექმნა მიეწერება მონოფიზიტ მოღვაწეს პეტრე იბერიელს. საკითხი ისე მწვავედ დაისვა, რომ ამ თეორიას დასავლეთ ევროპელ მეცნიერთაგან თითქმის ყველა მომხრე ჩამოშორდა. სიმპტომურია, რომ რ. როკი, ამ თეორიის ერთი ძირითადი ოპონენტი, განსაკუთრებული სიცხარით უარყოფს ჰონიგმანის თეზისს იმის თაობაზე, რომ არეოპაგიტულ კორპუსში შემორჩენილია რამდენიმე მონოფიზიტური დებულება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ უკანასკნელი არგუმენტის განხილვისას უნდა გათვალისწინებულ იქნას რამდენიმე გარემოება: 1. ორთოდოქსულ-დიოფიზიტური პოზიცია V საუკუნიდან ჩვენს დრომდე, რა თქმა უნდა, შეიცვლებოდა. სავსებით დასაშვებია, რომ ეს ცვლილებები წარიმართებოდა დიოფიზიტური პოზიციის არაეოპაგიტულ თეორიასთან დაახლოების გზით, რამდენადაც პრაქტიკულად არეოპაგიტიკა, ავგუსტინიზმთან ერთად, შუასაუკუნეების ერთადერთი ფილოსოფიური სისტემა იყო.

2. არეოპაგიტული კორპუსის ტექსტი ისტორიული ასპექტით ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ძნელი დასაშვებია, რომ ჩვენ დღეისათვის ხელთ გვქონდეს სწორედ ის რედაქცია არეოპაგიტიკისა, რომელიც ცნობილი იყო V საუკუნეში. ფაქტია, რომ ორთოდოქსული ეკლესია საუკუნეების მანძილზე თანდათან წმენდა არეოპაგიტიკას აშკარა მონოფიზიტური დებულებებისგან. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ V საუკუნეში არეოპაგიტული კორპუსი მონოფიზიტური თეოლოგიისაკენ იხრებოდა: პირველად, როგორც აღვნიშნეთ, არეოპაგიტული წიგნები 532 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე გამოჩნდა და მათ მონოფიზიტები ეყრდნობოდნენ; დიოფიზიტები კი მხოლოდ და მხოლოდ მოციქულის — დიონისე არეოპაგელის ავტორობას უარყოფდნენ. ასე რომ, VI საუკუნის დასაწყისში დიოფიზიტურ პოზიციას ამ თხზულებებში არ ხედავდნენ. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო არეოპაგიტული წიგნების განმარტება ორთოდოქსულ-დიოფიზიტური პოზიციიდან, რაც განახორციელეს ეკლესიის დიდმა წმიდა მამებმა — მაქსიმე აღმსარებელმა და გერმანე პატრიარქმა.

3. და ბოლოს, პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო არის ეპოქა გააფთრებული ბრძოლებისა დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის. რა პოზიცია ეჭირა ამ ბრძოლებში პეტრე იბერიელს: დარჩა იგი სიკვდილამდე ერთგულ მონოფიზიტად, რაშიც ეჭვი ეპარება ზოგიერთ მკვლევარს (შალვა ნუცუბიძე, მიშელ ვან ესბროკი)? როგორ განმარტავდა მის მოძღვრებას სხვადასხვა საეკლესიო-მონაზვნური წრე მის სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგ? — პასუხი ამ კითხვებზე საუკუნეთა სიღრმეშია მიმალული. აკი მონოფიზიტ იოანე რუფუსს სურს დაარწმუნოს მრევლი, რომ პეტრე ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე უარს ამბობდა წიგნებზე, რომლებიც მისი სახელით ვრცელდებოდა. ასე რომ, უყოყმანოდ არ შეიძლება არც იმ დებულების გაზიარება, რომ პეტრე იბერიელი სიკვდილამდე შეურყეველი მონოფიზიტი იყო და არც იმის, რომ არეოპაგიტიკა თავდაპირველი რედაქციითაც დიოფიზიტური მიმართულების იყო.

ამგვარად, ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი მეცნიერული არგუმენტი და არაა მიგნებული აშკარა ცნობები, რომლებიც უარყოფდნენ ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ეს თეორია ჯერ კიდევ საჭიროებს ახალი არგუმენტების, V-VI საუკუნეების რელიგიური ბრძოლებიდან უფრო აშკარა ფაქტების გამოვლენას. ჩვენ ვეთანხმებით რ. როკის თეზისს, რომლითაც იგი ამთავრებს თავის გამოკვლევას არეოპაგიტიკაზე: ჰონიგმანმა გახსნა გზა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ ან ირიბად მიგვიყვანს იმის დადგენამდე, თუ ვინ იყო საიდუმლოებით მოცული არეოპაგელი, თუმცა ეს

იდენტიფიკაცია ჯერჯერობით არაა არგუმენტირებული. ჩვენ დავაზუსტებდით: საკმარისი სახით არაა არგუმენტირებული.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე, რომელიც აქამდე საგანგებო მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

დღეისათვის დამტკიცებულად ითვლება, რომ არეოპაგიტიკის თეორიული საფუძველი არის, ერთი მხრივ, ნეოპლატონური ფილოსოფია და, მეორე მხრივ, კაპადოკიელ წმინდა მამათა მისტიკური თვალსაზრისი ღვთაებრივი არსის შეუცნობადობაზე. თავისი მოძღვრებით ღმერთის „უზეშთაესი არსის ბუნებაზე“ და მის „გამოვლინებებს“ ანუ „ძალებზე“ ფსევდო დიონისე არეოპაგელი ასრულებს დიდ კაპადოკიელ წმინდა მამათა თეოლოგიურ ძიებებს და, ამავე დროს, გნოსტიკოსებისა და ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიას, განასხვავებს რა ერთმანეთისაგან არსსა და ძალებს, იგი ასაბუთებს ღვთაებრივ სახელთა რეალურობას და ღმერთის შემეცნების შესაძლებლობას იმგვარად, რომ არ არღვევს ღვთაებრივი არსის შეუცნობადობას, რასაც მხოლოდ და მხოლოდ კაპადოკიელები მიუახლოვდნენ თავიანთ მოძღვრებაში თეოფანიაზე (ვ. ლოსკი). ასე რომ, ქრისტიანული თეოლოგიის ფორმირების პროცესში. არეოპაგიტიკა უშუალოდ აგრძელებს და ასრულებს კაპადოკიელი წმიდა მამების (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი) მისტიკურ მიმართულებას.

შენიშნული იყო, რომ პეტრე იბერიელის ბიოგრაფიებში მოთხრობილია წმინდა მამის მისტიკურ წიაღსვლებზე ღვთაების შესამეცნებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იოანე რუფუსის მონათხრობს ქალაქ მედაბაში წმინდა პეტრეს ექსტაზში ჩავარდნის თაობაზე (შ. ნუცუბიძე). მაგრამ არ იყო შენიშნული, რომ პეტრე იბერიელის მისტიკური წიაღსვლები შეიძლებოდა დაფუძნებული ყოფილიყო კაპადოკიელთა მოძღვრებაზე. საქმე ისაა, რომ ერთადერთი დიდი ღვთისმეტყველი, რომლის ასკეტიკურ-მისტიკური მოძღვრების ერთგულებისაკენ მოუწოდებდა თავის მოწაფეებს პეტრე იბერიელი, ბასილი კაპადოკიელი იყო. იოანე რუფუსის „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“ გადმოცემულია, რომ სიკვდილის წინ პეტრემ დაუძახა თავის თანამიმდევრებს და დამოძღვრა ისინი: „გაიაზრეთ და წაიკითხეთ ყველასათვის ნეტარი ბასილი ეპისკოპოსის მიერ შეთხზული ასკეტური ცხოვრებისა და ძმების ლოცვათა წიგნი და თქვენი ქცევა და ჩვევები წარმართეთ მისი წმინდა განკარგულებებისა და კანონების შესაბამისად. რამეთუ როგორც ღვთისაგან მოცემული წიგნები გამოხატავენ სული წმიდის ხატს, ასევე ეს წიგნი წარმოიშვა ღვთაებრივი სათნოებისა და სული წმიდის მეოხებით სამართლებრივი დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად და ყველა მხარეში არსებული სამონასტრო ამხანაგობების გასაუმჯობესებლად და დასახსნელად“ (ი. ლოლაშვილის თარგმანი). პეტრე იბერიელის მიერ მითითებული „ნეტარი ბასილი ეპისკოპოსის მიერ შეთხზული ასკეტური ცხოვრებისა და ძმების ლოცვათა წიგნი“ არის ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონი“. ამ გარემოებაზე არაერთგზისაა მითითებული ბასილ დიდის ასკეტიკის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამგვარად, ერთადერთი ქრისტიანული თეოლოგია, რომელსაც ავითარებს არეოპაგიტული წიგნები, კაპადოკიელთა მისტიკაა. ერთადერთი მოძღვრება წარსულის ქრისტიანული მემკვიდრეობიდან, რომლის ერთგულებისკენ მოუწოდებს პეტრე იბერიელი თავის მიმდევრებს, ესაა კაპადოკიელ წმინდა მამათა უმთავრესი წარმომადგენლის ბასილი კაპადოკიელის ასკეტიკა და მისტიკა.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილ არგუმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არეოპაგიტული კორპუსის ავტორობის საიდუმლოს ამოცნობისას. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის თეორიის კრიტიკული განხილვისას ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

დავუბრუნოთ თვეებს ქართული სახელწოდებანი

დედაენის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვა ადამიანის პრაქტიკულგონებრივი მოღვაწეობის ამა თუ იმ დარგში ერის თვითმყოფობის წინააღმდეგ მიმართული გარეშე ძალების გაცხოველებული მოქმედების ნიშანია. ეს ქართველი ხალხისათვის მეფე ფარნავაზის დროიდანვეა ცნობილი.

ახლა ცივილიზაციის ყოვლისმომცველი მოვლენების მეშვეობით, ცხადია, ენაც განიცდის ზემოქმედებას და იტვირთება ახალი, ზოგჯერ უცხო სიტყვების მარაგით.

ამ მოვლენას ორი მხარე აქვს, — სასარგებლოც და საზიანოც: ერთის მხრივ, თუ იგი მიგვაჩნია ენის გამდიდრება-განვითარებად, მეორეს მხრივ, იგივე მოვლენა ზღუდავს დედაენას, ავიწროებს მისი ხმარების არეს და საბოლოოდ, თუ ეს ტენდენცია მომძლავრდა, არაერთ ფუძე ლექსიკურ ერთეულს გამოდევნის. (ასე გაჩნდა ე. წ. მკვდარი ენები). ამიტომ განა არ ჯობია სიფრთხილე და ზომიერება გამოვიჩინოთ ამ მხრივ? კერძოდ, თუკი ჩვენს დედაენას თავად აქვს ამა თუ იმ მოვლენის გადმოცემის საშუალება, რატომ უნდა მივცეთ სხვათა ენობრივ ფორმას უპირატესობა! ცნობილია, თუ როგორ დასცინოდა ვ. ი. ლენინი უცხოური სიტყვების წარამარა ხმარებით მოკაკლუცე ადამიანებს. და დღეს, ჩვენს გარშემო განა ცოტაა ასეთი მოკაკლუცე. მათი მეტყველების ენობრივი საზიზღრობა შეიძლება შევადაროთ ხავსის ზემოქმედებას, — იგი ნელი, მუდმივი, თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ საბოლოოდ ცოცხალი სხეულის გარდუვალი დაღუპვის მომასწავებელია. მოვარიდოთ ხავსი დედაენის სხეულს, სადაც კი შევნიშნავთ; დავიცვათ, აღვადგინოთ, შევინახოთ ქართული სიტყვა, რადგან მისი სახით წინაპრების სული და მსოფლშეგრძნებაა ჩვენთვის ნაანდერძევი.

ამ წერილში გვინდა უსამართლოდ მივიწყებულ და დაჩაგრულ სიტყვებს, კალენდრის ქართულ ტერმინებს შევეხოთ.

ნათქვამია, „თურაშაულის პატრონი ტყეში მაჟალოს ეძებდაო“. ასე დაგვემართა ქართველებს, როცა ყოველი თვის ჩვენი, ეროვნული, უმშვენიერესი, ულამაზესი და ღრმაშინაარსიანი სახელწოდებანი ლათინური სახელებით შევცვალეთ. საკმარისია თვეების ლათინური სახელწოდებანი ქართულად განვმარტოთ, რომ მყისვე დავინახავთ ქართველი ერის ხასიათთან და ცხოვრების წესთან, საქართველოს ბუნებასთან მათ სრულ შინაარსობრივ შეუსაბამობას.

აი, ეს განმარტებანიც: **იანვარი** წარმოსდგა რომაული ორსახოვანი ღმერთის იანუსის სახელიდან. იგი ითვლებოდა დროისა და კარის მფარველ ღვთაებად. შემოიღეს რომში ძვ. წ. 700 წელს. იულიუს ცეზარმა (კეისარმა) ეგვიპტელი ასტრონომის სოსიგენის რჩევით ძვ. წ. 46 წლიდან 1 იანვარი წლის დასაწყისად გამოაცხადა. წლის დასაწყისად 1 იანვარი საქართველოში შემოღებულია მეათე საუკუნიდან. მანამდე ჩვენში ახალი წელი სექტემბრით იწყებოდა. ამიტომაა, რომ სექტემბერს ძველქართულად „ახალწლისა“ ჰქვია.

თებერვალი წარმოსდგა რომაული ღმერთის ფებრუსის სახელიდან, რომელიც იყო ქვესკნელის მბრძანებელი. იგი ითვლებოდა განწმენდის თვედ. ძველ რომში არსებული განწმენდის რიტუალიც მასთან იყო დაკავშირებული.

მარტი. ამ თვის სახელწოდება წარმოსდგა ძველ რომაელთა ღმერთის (ომის ღმერთის) — მარსის სახელიდან.

აპრილის სახელწოდება მოდის ლათინური სიტყვიდან — „აპერირე“, რაც ქართულად „გახსნას“ ნიშნავს. ამ თვიდან იწყებოდა რომში გაზაფხული.

მაისის სახელწოდება წარმოსდგება რომაულ ქალღმერთ მაიადან, რომელიც იყო განსახიერებული ბუნების ღვთაება. მაისის პირველ დღეს რომელი ქურუმები მსხვერპლს სწირავდნენ ქალღმერთ მაიას.

ივნისი წარმოსდგება ძველ რომაელთა მითოლოგიური ქალღმერთის —იუნონას სახელიდან. იგი ნაყოფიერების ქალღმერთად ითვლებოდა.

ივლისი, კალენდარული წლის მეშვიდე თვის სახელწოდება წარმოსდგა რომის იმპერატორ იულიუს ცეზარის ანუ კეისრის (ძვ. წ. 100-44) სახელიდან.

აგვისტო. ამ თვეს ეს სახელი რომის იმპერატორ გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ., 28 — ძვ. წ. 14) პატივსაცემად ეწოდა.

სექტემბერის სახელწოდება წარმოსდგა ლათინური სიტყვიდან — „სეპტემ“, რაც ქართულად შვიდს ნიშნავს. იულიუს ცეზარის (კეისრის) მიერ კალენდრის რეფორმის გატარებამდე ძველ რომაულ კალენდარში იგი მეშვიდე თვედ ითვლებოდა.

ოქტომბრის სახელწოდებაც ასევე რიცხვითი სახელიდანაა წარმომდგარი. ესაა ლათინური სიტყვა „ოქტო“, რაც რვას ნიშნავს, ძველ რომაულ კალენდარში ოქტომბერი მერვე თვე იყო.

ნოემბერი. ძველ რომაულ კალენდარში ამ თვეს მეცხრე ადგილი ეკავა. სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „ნოვემ“, რაც ცხრას ნიშნავს.

დეკემბერი. დღეს მოქმედი კალენდრის უკანასკნელი თვის სახელწოდებაც კვლავ რიცხვით სახელთანაა დაკავშირებული, „დეცემ“-ათი.

რა ჩანს თვეების რომაული სახელწოდებების განმარტებიდან? ის, რომ 12-დან ხუთ თვეს — იანვარს, თებერვალს, მარტს, მაისს და ივნისს ძველ რომაელთა წარმართული ღმერთებისა და ქალღმერთების სახელები აქვთ მიკუთვნებული, ორ თვეს — ივლისსა და აგვისტოს რომაელ იმპერატორთა სახელები, ხოლო ოთხ თვეს -- სექტემბერს, ოქტომბერს, ნოემბერსა და დეკემბერს რიცხვითი სახელები. მხოლოდ აპრილის სახელწოდება მოჩანს ეულად, რომლის შინაარსიც ძველ რომში გაზაფხულის დაწყებას გულისხმობდა.

ახლა საკითხავია, რაში გვჭირდება ჩვენ ძველ რომაელთა წარმართული ღმერთებისა და ქალღმერთების სახელები თვეების სახელწოდებებად? განა ჩვენ ჩვენი ღმერთები და წმინდანები არ გვყავდა? განა ყოველ ჩვენგანში ბუნებრივ ღიმილს რა უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ დღეს მოქმედი კალენდრის მეცხრე თვეს — სექტემბერს მეშვიდე თვეს ვუწოდებთ, მეათეს — ოქტომბერს მერვე თვეს, მეთერთმეტეს — ნოემბერს მეცხრე თვეს, ხოლო მეთორმეტეს — დეკემბერს მეათე თვეს!

ვფიქრობთ დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია დადგა დრო კვლავ დავუბრუნდეთ ყოველი თვის ქართულ სახელწოდებებს. ისიც გავიხსენოთ, რომ მართალია თვეების რომაული სახელწოდებანი საქართველოში ძირითადად ახ. წ. VII-XIII საუკუნეებში დამკვიდრდა, მაგრამ თვით XIX საუკუნის ბოლომდე მათ პარალელურად ქართული სახელწოდებანიც იხმარებოდა. თვით ჩვენს საუკუნეშიც კი ბევრი ქართველი მწერალი, პოეტი, ხელოვნების მოღვაწე თავიანთ შემოქმედებაში კვლავ აცოცხლებს თვეების ქართულ სახელწოდებებს! გავიხსენოთ თუნდაც დიდებული კინოფილმის სახელწოდება „გიორგობისთვე“.

ახლა შევეხოთ თვეების ჩვენს ეროვნულ სახელწოდებებს. ბევრ შემთხვევაში აქ ასარჩევადაც კი გვაქვს საქმე.

აი, ეს სახელწოდებანიც:

იანვარს ძველი ქართული წარმართული კალენდრით ერქვა აპანი, აპნისი.

თებერვალს ძველი ქართული წარმართული კალენდრის მიხედვით სურწყუნისი (სურწყუნისი) ეწოდებოდა, ხოლო ქართული ხალხური სახელწოდება განცხადებისთვე იყო.

მარტი. დღეს მოქმედი კალენდრის მესამე თვეს ძველ საქართველოში წარმართული კალენდრით მირკანი (მიჰრაკანი) ეწოდებოდა.

აპრილის უძველესი ქართული სახელწოდება წარმართობის ხანიდან იგრიკა იყო.

მაისი. ფიქრობ ამ თვეზე და გული გწყდება: როგორ გავიმეტეთ მისი ქართული სახელწოდება ვარდობისა (ვარდობისთვე) ძველ რომაელთა ქალღმერთ მაიას სახელის სასარგებლოდ!

ივნისი. ამ თვის მიმართ ფართო არჩევანი გვაქვს. ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას მარიალისა ეწოდებოდა. მისი ხალხური სახელწოდებანია თიბათვე და ივანობისთვე.

ივლისი. იგივე ითქმის ამ თვეზეც. აქაც სამი ქართული სახელწოდება გვაქვს: ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას თიბისა ერქვა, ხოლო ხალხური სახელწოდებანია მკათათვე და კვირიკობისთვე.

აგვისტოს ძველი ქართული წარმართული კალენდრით ქველთობისა ეწოდებოდა, ხოლო ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ თანდათანობით მარიამობისთვე დამკვიდრდა.

სექტემბერი. ვინაიდან ძველ საქართველოში ახალი წელი სექტემბრის თვით იწყებოდა, ძველი ქართული წარმართული კალენდრით მისი სახელი ახალწლისა იყო. მისი ქართული ხალხური სახელწოდებაა ენკენისთვე.

ოქტომბერი. მევენახეობა-მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში — საქართველოში ამ თვის ქართული სახელწოდებანი ყველა ქართველს დიდ სიამოვნებას მგვრიდა. ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას. ეწოდებოდა რთვლისა, ხოლო ხალხურით — ღვინობისთვე.

ნოემბერი. უფრო განებივრებული ვართ ამ თვის ქართული სახელწოდებებით. ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში მას ტირისკონი (ტირისკნისი) ეწოდებოდა. მისი ქართული ხალხური სახელწოდებანია გიორგობისთვე და ჭინკობისთვე.

დეკემბერი. წლის უკანასკნელი, მეთორმეტე თვე რომაულად მონათვლამდე ორი ქართული სახელწოდებით იყო წარმოდგენილი. ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას ტირისდენი ეწოდებოდა. მისი ქართული ხალხური სახელწოდება კი ქრისტიშობისთვეა.

როგორია ჩვენი წინადადება, თვეებს რომელი ქართული სახელწოდებანი დავუბრუნოთ? ბუნებრივია იქ, სადაც ერთი სახელწოდება გვაქვს, უნდა უსიტყვოდ მივიღოთ იგი. სახელდობრ, მხედველობაში გვაქვს იგრიკა (აპრილი). სხვა თვეების მიმართ კი ჩვენი არჩევანი ასეთია:

აპნისი (იანვარი), **სურწყუნისი** (თებერვალი), **მირკანი** (მარტი), **ვარდობისთვე** (მაისი), **თიბათვე** (ივნისი) **მკათათვე** (ივლისი), **მარიამობისთვე** (აგვისტო), **ენკენისთვე** (სექტემბერი), **ღვინობისთვე** (ოქტომბერი), **გიორგობისთვე** (ნოემბერი), **ქრისტიშობისთვე** (დეკემბერი).

12-დან ექვსი თვის ქართული სახელწოდების შერჩევისას სხვა გარემოებებთან ერთად ჩვენ გავითვალისწინეთ შიო მღვიმელის (1866-1933) მშვენიერი ლექსიც „წელიწადის თვენი“, სადაც იგი წერს:

თიბათვეში თიბავენ
ქერს, ბალახს და შვრიასა,
მკათათვეში ჩამკიან,
ყანებს ბარაქიანსა,
მარიამობისთვე ფიცხობს,
უდარაჯებს კალოსა,
რომ ვისაც რა ეკუთვნის
მიირწყოს და თვალოსა.
ენკენისთვე გვიმწიფებს
თითას, ბუდეშურებსა;
ღვინობისთვე ამზადებს
ქვევრებსა და ქურებსა.
გიორგობისთვე ლხინობს,
ღვინოს ირგებს მღერითა
და ყველანი სტკბებიან
ერთმანეთის ცქერითა. (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ავტორები).

ვაყენებთ რა თვეების ქართული სახელწოდებების აღდგენის წინადადებას, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ ძველ დროში ყველა ქრისტიანული ქვეყანა როდი გადავიდა თვეების რომაულ სახელწოდებებზე. თავიანთ დიდად საბედნიეროდ თვეების საკუთარი სახელწოდებანი დღემდე შემოინახეს უკრაინელებმა, ბელორუსებმა, ჩეხებმა და სხვებმა. პოლონელებმა მხოლოდ ორად ორი თვე — მარტი და მაისი მონათლეს რომაულად, ყველა დანარჩენს კი პოლონური სახელწოდებანი შეუნარჩუნეს.

მკითხველისათვის ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება იმის შეხსენება, თუ რას უწოდებენ თავიანთ ენებზე ჩვენი მოძმე უკრაინელები, ბელორუსები და ჩეხები.

დავიწყოთ უკრაინული სახელწოდებებით:

სიჩენ (იანვარი), **ლიუტი** (თებერვალი), **ბერეზენ** (მარტი), **კვიტენ** (აპრილი), **ტრავენ** (მაისი), **ჩერვენ** (ივნისი), **ლიპენ** (სექტემბერი), **ჟოვტენ** (ოქტომბერი), **ლისტოპად** (ნოემბერი), **გრუდენ** (დეკემბერი).

ეს ულამაზესი უკრაინული სახელწოდებანი მთლიანად ბუნების სხვადასხვა მოვლენიდან წარმოსდგებიან.

თვეების ბელორუსული სახელწოდებანი კი ასე გამოიყურება:

სტუდზენ (იანვარი), **ლიუტი** (თებერვალი), **საკავიკ** (მარტი), **კრასავიკ** (აპრილი), **ტრავენ** (მაისი), **ჩერვენ** (ივნისი), **ლიპენ** (ივლისი), **ჟნივენ** (აგვისტო), **ვერასენ** (სექტემბერი), **კასტრიჩნიკ** (ოქტომბერი), **ლისტაპად** (ნოემბერი), **სნეჟან** (დეკემბერი). ამ სახელწოდებებშიც ბუნების მოვლენებია ასახული.

ძირითადად ბუნების მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული თვეების ჩეხური სახელწოდებანიც: **ლედენ** (იანვარი), **უნორ** (თებერვალი), **ბრეზენ** (მარტი), **დუბენ** (აპრილი), **კვეტენ** (მაისი), **ჩერვენ** (ივნისი), **ჩერვენეც** (ივლისი), **სრპენ** (აგვისტო), **ზარი** (სექტემბერი), **რიიენ** (ოქტომბერი), **ლისტოპად** (ნოემბერი), **პროსინეც** (დეკემბერი).

რაც შეეხება თვეების პოლონურ სახელწოდებებს, მათ არ ვასახელებთ იმის გამო, რომ თვეების უკრაინული და პოლონური სახელწოდებანი, მარტისა და მაისის გამოკლებით, ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა.

თუ ჩვენს წინადადებას თვეების ქართული სახელწოდებების აღდგენის შესახებ ჩვენი თანამემამულენი შეიწყნარებენ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ საკითხს სათანადო გადაწყვეტილებით გადაჭრის, მაშინ საჭირო იქნება ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა ერთი წლის განმავლობაში თავიანთ გვერდებზე პირველ რიგში მიუთითონ თვეების ქართული სახელწოდებანი, ხოლო ფრჩხილებში რომაული სახელწოდებანი. ერთი წლის გარდამავალი დრო სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ყოველი ჩვენგანი მიეჩვიოს თვეების ქართულ სახელწოდებათა მართებულ გამოყენებას.

რევაზ მიშველაძე,
გიორგი გოგოჭური,
აკაკი მათიაშვილი.

●

---

* ავტორების თხოვნით ამ წერილის ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს სსრ დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში.



თვალსაჩინო მეცნიერი

პროფესორ ვახტანგ ჯობაძის სახელი ნაკლებადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებისათვის, თუმცა მან უკვე კარგა ხანია დამსახურებულად დაიმკვიდრა თვალსაჩინო მეცნიერის სახელი ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ შუასაუკუნეების ქართული სიძველეებისა და ხელოვნების ქართველ და უცხოელ მკვლევართა შორის. ეს იმით აიხსნება, რომ განსაკუთრებული გარემოებების გამო, არაერთი ჩვენი თანამემამულის მსგავსად ვ. ჯობაძე სამეცნიერო კარიერის დასაწყისშივე სამშობლოს გარეთ აღმოჩნდა; იქ, უცხოეთში ორმოც წელზე მეტია დაუცხრომლად, თავდადებით ემსახურება მშობლიურ მეცნიერებას, მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას უანგაროდ ახმარს მის განვითარებას. ამდენად, ძალზე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ახლახანს იგი საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

ვახტანგ ჯობაძე დაიბადა თბილისში 1917 წელს, ტრადიციულ ქართულ ოჯახში. თბილისშივე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე, 1940 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ხელოვნების ისტორიის სპეციალობით — გზა მეცნიერებაში გახსნილი იყო, მაგრამ დადგა 1941 წელი, დაიწყო ომი და ვ. ჯობაძის ცხოვრება უკუღმა დატრიალდა. ომის, ტყვეობის, უცხოობის მძიმე წლებმა ვერ გატეხეს მისი ნებისყოფა, სწრაფვა მეცნიერებისაკენ, ბევრი რამ თავიდან დასაწყები აღმოჩნდა; 1945-1948 წლებში ვ. ჯობაძე ეუფლებოდა კლასიკურ არქეოლოგიასა და შუასაუკუნეების ხელოვნების ისტორიას გეტინგენისა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში, 1948 წელს იქვე მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, შემდეგ მუშაობდა ევროპის სხვადასხვა სიძველეთსაცავებში, იკვლევდა იქ გაფანტულ ქართულ ძეგლებს. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა იმთავითვე ძირითადად ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიის შესწავლისაკენ წარიმართა და მოიცავს როგორც მცირე, ისე, უპირატესად, მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა უდიდესი ნაწილი მიუწვდომელია ჩვენი სპეციალისტებისთვის.

1953 წელს ვახტანგ ჯობაძე გადავიდა და დამკვიდრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუშაობდა ვაშინგტონში — ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, იუტის უნივერსიტეტში, და ბოლოს ლოს-ანჯელესში, სადაც კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში განაგებს ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს; აქ ვახტანგ ჯობაძის სამეცნიერო კვლევა-ძიებამ ახალი მიმართულება მიიღო.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მრავალი წლის დაუღალავი, თავდადებული შრომა, რომელსაც ვახტანგ ჯობაძე ეწევა ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და უცხოეთში არსებული ქართული კულტურის სხვა ცენტრების შესასწავლად, რისთვისაც მეტად მძიმე პირობებში განახორციელა არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია და ჩაატარა გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები. ბოლო დრომდე ამ შრომის შედეგები ცნობილი იყო სხვადასხვა მეტად ავტორიტეტულ ჟურნალებსა და კრებულებში მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილების წყალობით, რომლებიც შეიცავენ ფრიად საყურადღებო ახალ მასალას, დაკვირვებებსა და დებულებებს, აფართოებენ ჩვენს ცოდნას ამ სფეროში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გამოკვლევა — „მასალები ქართული მონასტრების შესწავლისათვის ანტიოქიის დასავლეთ მხარეში, ორონტზე", გამოქვეყნებული 10 წლის წინათ ლუვენისა და ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტების ცნობილ სერიაში — Corpus scriptorum christianorum orientalium. აქ მან თავი მოუყარა და გააანალიზა ქართული წერილობითი ისტორიული წყაროები ანტიოქიის სანახებში ოდესღაც არსებული მონასტრების შესახებ. არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებსაც იგი აწარმოებდა, მთლიანად დაადასტურა ისტორიული წყაროების ანალიზით მიღებული დასკვნები. გამოირკვა, რომ ამ მხარეში მე-10 საუკუნის ბოლოდან მე-11 საუკუნის ბოლომდე ქართული სამონასტრო ცხოვრება არნახულ აყვავებას განიცდიდა, ქართველი ბერები დამკვიდრებული იყვნენ 13 თუ 14 მონასტერში. იქ დიდი საამშენებლო, ლიტერატურული და მთარგმნელობითი მუშაობა მიდიოდა. სწორედ ასეთი რთული პარალელური ისტორიულ-ფილოლოგიური და არქეოლოგიური კვლევის წყალობით შეძლო პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ ანტიოქიაში ქართველთა მოღვაწეობის ნამდვილი მასშტაბების დადგენა; ამ გზით მოახდინა შავი მთის ქართული ტაძრის „ძელი ცხოვრებისა"-ს ლოკალიზება და იმის დამტკიცება, რომ ის აგებულია 1035-1042 წლებში ქართველი ქვითხუროების წინამძღოლობით, ადგილობრივ ოსტატებთან თანამშრომლობით, ამ დროისათვის დამახასიათებელი სივრცობრივი ფორმებით და მცენარეულ-გეომეტრიული დეკორით და, რომ ქართველი ოსტატების ნახელავი სხვა მონასტრებშიც არის შესამჩნევი.

ვახტანგ ჯობაძეს ზემოხსენებულ ნაშრომში თავისი კვლევის შედეგების სრულად გამოქვეყნების საშუალება არ ჰქონდა, ცხადია, ჩვენც არ გვქონდა საკმარისი წარმოდგენა მათ შესახებ. ამიტომ უთუოდ მნიშვნელოვანია, რომ 1986 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფრანც შტაინერის გამომცემლობამ ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა ვახტანგ ჯობაძის ფუნდამენტური ნაშრომი „არქეოლოგიური კვლევაძიებანი ანტიოქიის დასავლეთ რეგიონში, ორონტზე". ეს ნაშრომი არის ანტიოქიის სანახებში არსებულ ძეგლებზე, კერძოდ სამ დიდ ობიექტზე — წმ. ბარლაამის მონასტრის, წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანისა და შავი მთის ე. წ. ძელი ცხოვრების XI საუკუნის ქართული ტაძრის ნაშთებზე — 1962-1965 წლებში ავტორის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და კვლევა-ძიების სრული მეცნიერული ანგარიში. ეს პუბლიკაცია, სანიმუშოდ შესრულებული როგორც ავტორის, ისე გამომცემლის მიერ, უთუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ზემოხსენებული ორივე ნაშრომი უთუოდ უნდა ითარგმნოს და გამოიცეს ქართულ ენაზე.

ვახტანგ ჯობაძე ამჟამად გამოსაცემად ამზადებს შემაჯამებელ გამოკვლევას ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მის ხორცშესხმას დიდი დრო არ დასჭირდება.

ახალი ნაშრომი შავი მთის ქართული კოლონიის შესახებ

ელენე მეტრეველი

თავიდანვე მძიმე ბედი დაჰყვა შავი მთის ქართველთა კოლონიას თავისი ლიტერატურული სკოლით და ხელნაწერებით. მთავარი მიზეზი ამისა ის იყო, რომ მან ადრევე შეწყვიტა თავისი არსებობა (1268 წელს ბიბარსის მიერ ანტიოქიის აღებით, საფიქრებელია, დასრულდა შავი მთის ქართული კოლონიის არსებობა). აოხრდა ეკლესია-მონასტრები, გაიბნა იქ შექმნილი ქართული ხელნაწერები. დღეს ქართული ეკლესია-მონასტრები (და არა მარტო ქართული) ნანგრევებად არის ქცეული. არადა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებს საქართველოს სირიასთან. შავი მთა უკვე VI საუკუნიდან იზიდავდა ქართველებს. X-XI საუკუნეებში შავ მთაზე შეიქმნა ქართული მწიგნობრობისა და მეცნიერული აზროვნების ძლიერი ცენტრი, რომელმაც განაგრძო ათონის სამწერლობო კერის ტრადიციები. ამ საუკუნეებში ანტიოქია ბიზანტიური კულტურის ძლიერი ცენტრი იყო, რომელიც მეტოქეობას უწევდა ათონს და რიგ შემთხვევაში კონსტანტინეპოლის ცენტრებსაც, თავისი სწავლულებით, მწერლებით, ხელნაწერთა კოლექციებით.

მდიდარი იყო ეს რეგიონი საპატრიარქო და სამონასტრო ბიბლიოთეკებით. ამასთანავე, ანტიოქია ოდითგანვე თავს თვლიდა მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურად.

X საუკუნიდან განსაკუთრებით გაიზარდა ლტოლვა შავი მთისაკენ, რომელიც მოკლე დროში დაიფარა ეკლესია-მონასტრებით, მარტვილთა სენაკებით. ათონის გვერდით, შავი მთა ქართველებისათვის იყო ბიზანტიური მწერლობისა და მეცნიერების ძლიერი ცენტრი, სადაც ისინი ეზიარებოდნენ ბიზანტიურ კულტურას, მწერლობას, მეცნიერებას და ეწეოდნენ შემოქმედებით მუშაობას.

XI საუკუნიდან შავ მთაზე თავი მოიყარეს ქართველმა გამორჩეულმა მწიგნობრებმა და მეცნიერებმა. აქ მოღვაწეობდნენ გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და მათი თანამოაზრეები.

შავ მთაზე მოღვაწე მეცნიერებისა და სწავლულების საკრებულომ XI საუკუნის მეორე ნახევარში შექმნა უძლიერესი მწიგნობრული კერა მდიდარი ლიტერატურული პროდუქციით, რომლისადმი ინტერესი ქართველი მეცნიერებისა ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ მისი შესწავლის შესაძლებლობა — მცირე. ეს იყო ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საზღვარგარეთის ქართული კოლონიებისა და მწიგნობრული კერების პიონერებს: ალ. ცაგარელს, ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილსა და რ. ბლეიკს ქართული მწერლობის ეს რეგიონი მოუხილავი და ადგილზე შეუსწავლელი დარჩათ. არადა ისტორიული სირია, თავისი მდიდარი წარსულით და კულტურით დიდი ხანია ევროპის ორიენტალისტთა ცხოველი ინტერესისა და კვლევის საგანია. სწორედ ამიტომ დიდად დასაფასებელია, რომ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორმა-არქეოლოგმა და ხელოვნებათმცოდნემ ვ. ჯობაძემ თავისი მეცნიერული კვლევის ობიექტად შავი მთის ქართველთა კოლონიის ისტორია გაიხადა. მას ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად არ დაუზოგავს არც დრო, არც სახსრები.

ჩატარებული მრავალწლიანი კვლევის შედეგები ვ. ჯობაძემ ორ წიგნად გამოაქვეყნა: 1. მასალები ანტიოქიის (ორონტზე) ქართველთა მონასტრების შესწავლისათვის (გამოიცა ლუვენში 1976 წელს). 2. არქეოლოგიური შესწავლა ანტიოქიის (ორონტზე) დასავლეთის რეგიონისა (გამოქვეყნდა შტუტგარტში 1986 წელს).

მუშაობა ამ პრობლემაზე ვ. ჯობაძემ დაიწყო შავი მთის სამონასტრო ნაგებობათა არქეოლოგიური გათხრებით, რომელსაც ის აწარმოებდა 1962-1965 წლებში. გათხრების ვრცელ ანგარიშს წარმოადგენს 1986 წელს გამოქვეყნებული წიგნი. გათხრების პარალელურად მკვლევარი აგროვებდა ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს ქართველების შავ მთაზე მოღვაწეობის შესახებ და საქართველო-სირიის ურთიერთობის ისტორიისათვის, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო გათხრების წარმოება და მოპოვებული მასალის მეცნიერული კვალიფიკაცია. ამიტომ თავიდანვე ავტორის ჩანაფიქრით, ეს ორივე წიგნი ერთად უნდა გამოქვეყნებულიყო, სადაც „მასალები" (წყაროები) წაემძღვარებოდა არქეოლოგიური გათხრების ანგარიშს. მაგრამ სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა. ჩვენ შევეხებით ძირითადად პირველ წიგნს — „მასალებს".

„მასალები" ოთხი თავისაგან შედგება. პირველ თავში გამოქვეყნებულია შავი მთის ქართულ სამონასტრო სკრიპტორიუმებში გადაწერილი 14 ხელნაწერის ანდერძები (ანდერძებს ახლავს ინგლისური თარგმანები).

მეორე თავში წარმოდგენილია და განხილული მასალები შავი მთის ქართული კოლონიის ისტორიისათვის: XI საუკუნის ორი მნიშვნელოვანი ნარატიული წყარო გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება" და ეფრემ მცირის „უწყება".

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება საქართველო-ანტიოქიის ურთიერთობის ისტორიას X საუკუნიდან XIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. განხილულია ამ ურთიერთობის მრავალი ასპექტი დიდძალი ქართული და უცხოური წყაროების გამოყენებით. ეს თავი ორი ქვეთავისაგან შედგება. ა. წყაროები, ბ. ანტიოქიის სანახებში ქართველთა სამონასტრო ცხოვრების აღორძინების მიზეზები. საკითხი განხილულია X, XI საუკუნეებში ბიზანტია-სირიის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ისტორიულ ფონზე.

წიგნის მეოთხე თავში, წინა თავების მასალების საფუძველზე ავტორი იკვლევს X-XIII საუკუნეებში ანტიოქიის სანახებში არსებულ 14 ქართულ სავანეს სათითაოდ. იწყებს განხილვას სვიმეონ მესვეტის (უმცროსის) მონასტრით, რომლის ტერიტორიაზე არსებობდა ქართული ეკლესია. აქვე ეხება მკვლევარი გიორგი შეყენებულის სენაკს, რომელიც, წყაროების ცნობით, სვიმონის მონასტრის მახლობლად მდებარეობდა. მონასტრის შემოგარენის შესწავლისას ვ. ჯობაძემ სვიმეონის მონასტრის მახლობლად, მიუდგომელი კლდის ფერდობზე მიაგნო სენაკს, რომელიც მისი აზრით გიორგი შეყენებულის სამყოფელი უნდა ყოფილიყო.

სვიმეონ (უმცროსის) მონასტერი ვ. ჯობაძემ გათხარა 1962-63 წლებში და იქ ჩატარებული მუშაობის ანგარიში და მიღებული შედეგები გამოაქვეყნა თავის მეორე წიგნში.

დიდი და საინტერესო სამუშაო ჩაატარა ვ. ჯობაძემ ბარლაამის მონასტრის (კასიოსის მთაზე) შესწავლისათვის. ქართული წერილობითი წყაროების (სინა 95-ისა და სინა 56-ის ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები და „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება") და მონასტრის ადგილზე შესწავლისას გამოვლენილი ქართული წარწერების ორნამენტების და არქიტექტურული სკულპტურების საფუძველზე ვ. ჯობაძემ უეჭვო გახადა, რომ X საუკუნის დამლევიდან XIII საუკუნემდე ბარლაამის მონასტერი (კასიოსის მთაზე) ქართველების საკუთრება ყოფილა. ამ მონასტრის გათხრებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია მის მეორე წიგნში.

მეტად მნიშვნელოვანია ის შედეგები, რომელიც ვ. ჯობაძემ მიიღო ლერწმის ხევში მდებარე ქართული მონასტრის ადგილმდებარეობის დასადგენად და თვით ძეგლის შესწავლისათვის. ამ მონასტრის შესახებ ერთადერთი ქართული წერილობითი ცნობა შემოგვინახა XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა ხელნაწერმა (A—845), რომლის ანდერძშიც ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმის ხევისასა ზღუს პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისასა მთისასა, მახლობელად სელევკიისა, ჴელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ ზაქარიაჲსითა...". ამ ცნობამ გაუადვილა მეცნიერს მიეგნო სელევკიის ახლოს ზღვის ნაპირას დიდი ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევებისათვის, რომელიც ყველა პარამეტრებით უდგებოდა ლერწმის ხევის ქართული მონასტრის მოტანილ აღწერას. „ამ მომხიბლავ ადგილას, წერს მეცნიერი, ლერწამი და სუბტროპიკული მცენარეები ახლაც იზრდება. ამ გარემოს ლანდშაფტიც მსგავსია ქართულ ანდერძში წარმოდგენილი სურათისა". ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ამ ნაგებობის შემოგა-

რენში მეცნიერმა მიაკვლია ქვაზე შესრულებულ ორ ქართულ წარწერას, ვფიქრობ, უეჭველად დამტკიცებულად უნდა მივიჩნიოთ მკვლევარის მოსაზრება, რომ მონასტერი ქართველი ოსტატის აშენებული უნდა იყოს. მაგრამ ამით არ მთავრდება ლერწმის ხევის ბაზილიკის შესწავლა. ქართულ წყაროს არ შემოუნახავს ცნობა, თუ ვისი სახელობისა იყო ქართველთა ლერწმის ხევის სავანე და როდის და ვის მიერ აშენდა. აქაც ვ. ჯობაძეს ზუსტი მიგნებები აქვს: წყაროების ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლერწმის ხევის ქართველთა სავანე ჯუბის სახელწოდებით იყო ცნობილი ანტიოქიაში. ასევე იხსენიება ის ქართულ წყაროებში. ეს ტოპონიმი, ავტორის აზრით დადასტურებულია ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნის ერთ-ერთ ალაპში (№ 44), რომელიც განწესებულია გიორგი ჯუბიელისათვის (ალაპი თარიღდება XII ს. შუა წლებით).

და ბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია ის კვლევა-ძიება (ისტორიულ-არქეოლოგიური), რომელიც ჩაატარა ვ. ჯობაძემ „ძელი ცხოვრების“ ეკლესიის შესწავლისათვის, ამ ტაძრის ნანგრევების გათხრის შედეგად მოპოვებული მასალა უეჭველად ადასტურებს, რომ ძეგლი ქართულია, ქართველი ხუროს აშენებული XI საუკუნეში. აქამდე უსახელო ძეგლის ნათლობაც ვ. ჯობაძეს ეკუთვნის. მისი აზით ეს ეკლესია ყველა მონაცემებით უნდა იყოს „ძელი ცხოვრების“ ეკლესია, რომლის შესახებაც ცნობები შემოგვინახა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილმა იოანე ჯიბისძის მიერ შავი მთის რომანას მონასტერში გადაწერილმა სვინაქსარის (H—2211) ანდერძმა. ანდერძის მიხედვით XI საუკუნის დაახლოებით მეორე მეოთხედში ამ ეკლესიის აშენება და მასზე ზრუნვა თავს იდვეს შატბერდის ცნობილმა მწიგნობრებმა და მოღვაწეებმა დავით და იოანე ჯიბისძეებმა. დავით ჯიბისძეს აუშენებია ტაძარი, იოანე ჯიბისძეს კი შავი მთის რომანას მონასტერში გადაუწერია და შესანიშნავი თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით შეუმკია გიორგი მთაწმინდელის თარგმნილი სვინაქსარი „ძელი ცხოვრების“ ეკლესიისათვის შესაწირად. ჯიბისძეთა მოღვაწეობას შავ მთაზე, იოანე ჯიბისძის თქმით, „ვითარცა ცეცხლი აღაგზნებდა სიყვარული შატბერდისადმი“. „ძელი ცხოვრების“ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმ უნიკალურ ფაქტთან, როდესაც ავთენტურმა წერილობითმა წყარომ შემოგვინახა ცნობები ტაძრის მაშენებელზე, აშენების დროსა და მიზანზე, ამავე დროს, თვალსაჩინოდ წარმოაჩინა ის კულტურულ-ინტელექტუალური კავშირი, რომელიც არსებობდა ადგილობრივ და საზღვარგარეთის ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ცენტრებს შორის.

„ძელი ცხოვრების“ სახით ქართულ ხუროთმოძღვრებას შეემატა XI საუკუნის პირველი ნახევრის კიდევ ერთი ბრწყინვალე ტაძარი.

„ძელი ცხოვრების“ შესწავლასა და რეკონსტრუქციას ცენტრალური ადგილი უკავია ვ. ჯობაძის მეორე წიგნში.

მოკლე და ზოგადი მიმოხილვა ვ. ჯობაძის შრომისა, რა თქმა უნდა, ვერ შექმნის სრულ წარმოდგენას ნაშრომის მნიშვნელობაზე. ვ. ჯობაძის ორივე წიგნი უნდა ითარგმნოს ქართულად, გამოიცეს ერთად, როგორც ამას ავტორი ვარაუდობდა თავიდანვე, და შესწავლილი იქნას კომპლექსურად.

გრიგოლ რობაქიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან



28.10.1949
ჟენევა

ღირსო პატივცემულო ბ-ო ვახტანგ!

მივიღე თქვენი [illegible] ნაშრომი (გერმანული). [illegible]
აგრეთვე თქვენი [illegible] (ქართული), თხოვნით: შევასწორო
ისინი ენის მხრივ. სამწუხაროდ ვერ ვასრულებ თქვენს
თხოვნას. [illegible] ტექნიკური ხასიათისაა. რომელიმე
ტექსტში [illegible], საჭიროა ერთი [illegible]
[illegible]. ამის შესაძლებლობას თქვენი
[illegible]“ („Поверх“ [illegible]) არ იძლევა. თუმცა [illegible]
[illegible] მშვენიერია, [illegible] ისეა „აჭრელებული“,
რომ [illegible] მთლიანად [illegible]
ხდება. [illegible] —
[illegible]
[illegible]. და [illegible]

Erlösung = ხსნა
Epiphanie = მოვლინება
Vierspeichiges Rad = [illegible] ბორბალი
Kaiser = კეისარი
Siegelzylinder = [illegible] (?)
Sinnbild = [illegible] (?)
([illegible])

იყავით მხნედ და კარგად!
პატივისცემით თქვენი
გრიგოლ რობაქიძე

ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა გრიგოლ რობაქიძეს, მისი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება სამშობლოდან მოშორებით, უცხოეთში დასრულდა. მისი ფიქრი და ოცნება ყოველთვის საქართველოს ბედ-იღბალთან იყო დაკავშირებული. ემიგრაციაში, ყველა სოციალურ ფენაში ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ქართული (და არა მარტო ქართული), სიტყვის ოსტატი და ეროვნული მოღვაწე (კ. ინასარიძე. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება. პარიზი. 1981).

როგორც ჩანს, მთელ მსოფლიოშია გაფანტული გრიგოლ რობაქიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ლოს ანჯელესის უნივერსიტეტში მივლინების დროს ამერიკელმა პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ გადმომცა 1949 წ. დათარიღებული ერთი წერილი, რომელშიც გრიგოლ რობაქიძე წარმოგვიდგება, როგორც პირუთვნელი, პრინციპული, საქმის მცოდნე სპეციალისტი. ბატონ ვახტანგ ჯობაძის თავაზიანი ნებართვით ვაქვეყნებთ წერილის პირს, რომლის დედანი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში. მის მიერვე გადმოცემულ მ. წერეთლისა და ა. გუგუშვილის წერილებთან ერთად. იმედია, ეს პატარა უპრეტენზიო პუბლიკაცია ხელს შეუწყობს გრ. რობაქიძისა და დასავლეთში მოღვაწე სხვა ქართველი მოღვაწეების სახელთან დაკავშირებულ მასალების თავმოყრას სამშობლოში.

გურამ ლორთქიფანიძე,
თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგე. პროფესორი.

საგულისხმო გამოკვლევა

დიმიტრი თუმანიშვილი

1986 წელს დასავლეთ გერმანიაში გამოიცა დიდტანიანი გამოკვლევა ანტიოქიის მიდამოების ძველ ნამონასტრალთა, პირველ ყოვლისა, ქართული სავანეების შესახებ. მისი ავტორ-გამომცემელი პროფ. ვ. ჯობაძეა. მას აქამდეც კარგად ვიცნობდით, როგორც ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარს. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში მან გააცნო ევროპელ მკითხველს სახელგანთქმული ხახულის ხატის მინანქრები და გამოამზეურა მადრიდის ერთ-ერთ მუზეუმში დაცული ქართული მინანქრის ნიმუშები. მაგრამ მისი სამეცნიერო მუშაობის უმთავრესი ასპარეზი ხუროთმოძღვრების ისტორიაა. დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ჯობაძის წერილს, რომლითაც იგი გამოეხმაურა ამერიკელ ისტორიკოსს კ. თუმანოვს, ვისი აზრითაც მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი 586-609 წლების კი არა, VII საუკუნის შუა ხანის ნაგებობაა. ვ. ჯობაძის ნაშრომში ცალკეული მოსაზრებებია გამოთქმული ჯვრის ეკლესიის რელიეფებზე გამოსახულ ზოგიერთ პირთა იდენტიფიკაციის შესახებ, მოტანილია იკონოგრაფიული და სტილისტური დაკვირვებებიც. მთავარი კი ის არის, დამაჯერებელი, საბუთიანი მსჯელობით მან უცილობელყო ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავი ნაწარმოების მიღებული დათარიღება.

მრავალი წლის მანძილზე სწავლობს ვ. ჯობაძე ისტორიული ტაო-კლარჯეთის ძეგლებს. თავისი კვლევა-ძიების შედეგები მას ჯერ თავმოყრილად, წიგნად არ გამოუცია, მაგრამ მათი მნიშვნელობა სხვადასხვა ჟურნალსა თუ კრებულში დაბეჭდილი წერილებიდანაც საკმაოდ ირკვევა. სამხრეთ საქართველოს ტაძრებზე დაკვირვებამ გარკვეული დასკვნები გამოატანინა მას იქაურ ოსტატთა მშენებლობის რიგზე, ძალზე საგულისხმო გამოდგა ტაოს ეკლესიების რელიეფურ გამოსახულებათა სიმბოლიკის ამოხსნის ცდაც. ყველაზე საყურადღებო კი მაინც X საუკუნის ოშკის დიდებული ტაძრის, ჩვენი არქიტექტურის ერთი შედევრთაგანის აგების დროის დაზუსტებაა — ადრე საცილო, იგი ახლა, როგორც ჩანს, საბოლოოდ, 963-973 წლებით განისაზღვრა.

ვ. ჯობაძის მრავალმხრივი, ოღონდ მაინც მიზანდასახული, უპირატესად ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმოჩენისკენ მიმართული, ინტერესების დადასტურებაა მომცრო წერილი კუნძულ კვიპროსის ერთ-ერთ ნამონასტრალზე. მისი აქაურობისათვის უჩვეულო გეგმის ეკლესია, სადაც მოხატულობის ნაშთები და ქართული წარწერებია შემორჩენილი, ჩვენს წყაროებში ცნობილ ყალიასა თუ ღალიას მონასტერს გაუიგივდა და ეგებ ქართული აღმშენებლობაც იყოს. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის თემა აისახა ხობის ტაძრის ეკვდერში ჩატანებული მარმარილოს ფრაგმენტების პუბლიკაციაშიც.

ვ. ჯობაძის ახალი წიგნი ისტორიკოსთათვისაც საყურადღებოა და არქეოლოგებისთვისაც. ძალზე დიდია მისი მნიშვნელობა ხელოვნებათმცოდნეობის, სახელდობრ, აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების შესწავლის თვალსაზრისითაც. მასში სამი ღირსშესანიშნავი ძეგლია გამოცემული და სამივე, შეიძლება ითქვას, ამომწურავადაა წარმოდგენილი. წმ. ბარლაამის მონასტერიცა და სვიმეონ საკვირველმოქმედისა და შავი მთის ქართული სავანეებიც ზედმიწევნით არის აღწერილი, თავმოყრილია მათი გათხრის შედეგები, შედგენილია თითოეულ მათგანში ნაპოვნი პროფილირებული და ჩუქურთმიანი ფრაგმენტების ნუსხები. მასალის სრულად მოწოდების შემდეგ მეცნიერი თავის დაკვირვებებს, კვლევა-ძიების შედეგებსაც გვაცნობს. მას დადგენილი აქვს კომპლექსთა ხუროთმოძღვრული ისტორია, გარჩეული და დათარიღებული სამშენებლო ფენები, გარკვეული ნაგებობათა რეკონსტრუქციისა და მათი მხატვრულ-ისტორიული რაობის საკითხები. მაღალ პროფესიულ დონეზე, დიდი მეცნიერული პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით შესრულებული ეს გამოკვლევა უთუოდ ვ. ჯობაძის საყურადღებო წვლილია ახლო აღმოსავლეთის ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების არქიტექტურის ისტორიისათვის. მის შესაფასებლად სვიმეონ საკვირველმოქმედის სახელგანთქმული მონასტრის წინათ ცნობილი და ახალი, დაზუსტებული გეგმების შედარებაც კმარა.

ქართული მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი მაინც შავი მთის ძელი ცხოვრებისას ტაძრის გამოკვლევაა. მართალია, მასზე ზოგადი წარმოდგენა, ე. მესხერიანისა და თვით ვ. ჯობაძის (წინასწარული) პუბლიკაციების მიხედვით, ადრეც გვქონდა. მაგრამ, ერთი მხრივ, ე. მესხერიანის მიერ ქართული მასალის არასაკმაო ცოდნამ და ე. წ. სომხურ-ქალკედონიტური ხელოვნებითა და ლამისაა კულტურის თეორიით უზომო გატაცებამ (ეს უცნაური კონცეფცია, სამწუხაროდ, დრო და დრო საბჭოურ ნაშრომებშიც ამოტივტივდება ხოლმე), ხელი შეუშალეს მას სწორად გადაეწყვიტა მრავალი საკითხი. თვით XI საუკუნით დათარიღებაც კი სახელმოხვეჭილი სწავლულის, გ. მილლეს უსაბუთო შენიშვნის სახითაა მოტანილი. მეორე მხრივ, წერილისა თუ მოხსენების მოცულობა არც ვ. ჯობაძეს აძლევდა საშუალებას თავისი დასკვნების უეჭველობით შემტკიცებისა. ამგვარი ყოველნაირად გამართული გამოცემა კი მეტად სასურველი იყო, რადგან ძელი ცხოვრებისას ეკლესია გამორჩეული ძეგლია — იგი ჯერჯერობით ერთადერთი ცნობილი მოწმობაა აღმოსავლეთის სავანეებში ქართველი ოსტატების მოღვაწეობისა.

დღევანდელ ადამიანს ეს შეიძლება უცნაურიც მოეჩვენოს, მაგრამ არც იერუსალიმს, არც საბაწმინდასა და არც ათონის მთაზე, სადაც მრავლად ცხოვრობდნენ ქართველი ბერები, რომლებშიც, როგორც ცნობილია, ბევრი იყო მწიგნობარი თუ გადამნუსხველი, სადაც ქართული ხელობის ნივთებიც იპოვება და ქართველ მომხატველთა ნამუშაკევიც, არ ჩანს ჩვენებური ქვითხუროების ნახელავი. ეგებ პეტრიწონის მონასტრის საძვალეს ემჩნეოდეს ქართული ხუროთმოძღვრების ერთგვარი ზეგავლენა, მაგრამ ისიც არამც და არამც არ ჩაითვლება მის კუთვნილებად. სულ სხვაა მთის ტაძარი. იგი თითქმის მიწის პირამდეა დანგრეული, არც მისი სავსებით ზუსტი რეკონსტრუქციაა შესაძლებელი, მხოლოდ ისიც, რაც ხელთა გვაქვს, ცხადჰყოფს მის უშუალო კავშირს ქართულ ხელოვნებასთან.

ძელი ცხოვრებისას ეკლესია ე. წ. „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ნაგებობა იყო, ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ამგვარი ტაძრები XI საუკუნის შუა ხანისათვის — სწორედ ამ დროით, 1035-1042 წლებით ათარიღებს ჩვენს ძეგლს წერილობითი წყაროებისა და ხუროთმოძღვრების ანალიზის მოშველიებით ვ. ჯობაძე — ფართოდაა გავრცელებული ბიზანტიასა და მისი წრის ქვეყნებში. ამიერკავკასიაში ისინი კიდევ უფრო ადრე, VII საუკუნის პირველ მესამედში ჩნდება, IX საუკუნიდან მოყოლებული კი სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს საქართველოში და ბოლოს პირველობასაც იმკვიდრებს; თანადროულად, სომხეთში იგი სხვა ტიპებს უთმობს ადგილს და გამონაკლისად თუ გვხვდება. ისიც არის, რომ შავი მთის ეკლესიას არა აქვს ქართული ნიმუშებისათვის ეგზომ დამახასიათებელი ნიშნები აღმოსავლეთის ფასადზე (ვ. ჯობაძის დაკვირვებით, ადგილმდებარეობის გამო), იგი მათ გეგმის ზოგი სხვა თავისებურებითაც შორდება, გასაკვირი აქ არაფერია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ვ. ჯობაძის მიერ დადასტურებულ თანამშრომლობას ქართველი და ადგილობრივი ოსტატებისას. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელიც იყო ჩვენი არქიტექტურისთვის უცხო ნიშნების შემოღწევა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ თავისთავად ასეთი სივრცით-კომპოზიციური სტრუქტურა კარგად ცნობილი, ჩვეული იყო ჩვენებური ქვითხუროებისთვის.

მრავალი მონაცემი ადასტურებს ტაძრის აგებისას ქართველი მშენებლების წინამძღოლობას. მის ნანგრევებში შემონახულია მრავალი ისეთი დეტალი, რაც მხოლოდ ქართველ ხუროთმოძღვარს შეეძლო ჩაეფიქრებინა. უპირველეს ყოვლისა, ასეთია გუმბათის ყელის მოჩუქურთმებული ლავგარდანი. ამგვარი დაგვირგვინება ჩვეულებრივი რამ არის XI და მომდევნო საუკუნეების ქართლის, იმერეთისა და რაჭის ეკლესიებისათვის (გავიხსენოთ თუნდაც ნიკორწმინდა!). მაგრამ სრულებით წარმოუდგენელია ბიზანტიის თუ სხვა მეზობელი ქვეყნის არქიტექტურაში. დიდმნიშვნელოვანია ამ მხრივ დასავლეთი კარიბჭის ვ. ჯობაძისეული რეკონსტრუქცია. ე. მესხერიანს მისი ზოგი ნაწილი მთავარი სივრცის გუმბათის შიდა სამკაულად მიაჩნდა — რაც სავსებით დაუშვებელია იმდროინდელი არქიტექტურის ნორმების თანახმად! — ზოგიც კანკელისად. აშკარაა, რომ ძელი ცხოვრების ეკლესიას დასავლეთიდან უხვად შემკული, გარკვეულწილად გამორჩეული, მაგრამ, თავისი აღნაგობით ჩვენში არც თუ იშვიათი თაღოვანი ბჭე ჰქონდა.

მაგრამ ყველაზე თვალნათლივ, სრული უეჭველობით შავი მთის ამ სალოცავის მშენებელთა ეროვნულ-კულტურულ ვინაობას მართლაც რომ შესანიშნავი, მხატვრული ღირსებით გამორჩეული ქვაზე კვეთილობა ამჟღავნებს. ამ მრავალფეროვან, ჩინებულად ნაქანდაკევ ჩუქურთმას შუა საუკუნეების ხელოვნებას ზერელედ გაცნობილი ადამიანიც ქართველი მქანდაკებლის ნახელავად შეიცნობს. ვ. ჯობაძე იმასაც კი ვარაუდობს, აქ სამთავისის აღმშენებელთ უმუშავნიათო. ძნელად თუ მოიძებნება ოდესმე ამ მოსაზრების შესამაგრებელი რამ პირდაპირი ცნობა. ის კი უთუოა, რომ ფაქიზად, თანაც ძალოვნად ნამუშაკევი მცენარეული და გეომეტრიული სახეები არა მარტო XI საუკუნის პირველი ნახევრის ხელოვნების წრეს ეკუთვნის, არამედ ყველაზე მეტად ნიშანდობლივ სამთავისის სამკაულთან იჩენს სიახლოვეს. თუ მაინცა და მაინც სამთავნელი არა, ყოველ შემთხვევაში ქართლიდან მოსული ხელოვანთა მუშაობა შავ მთაზე უეჭველი ჩანს. და არა მხოლოდ აქ — ვ. ჯობაძე მათ წვლილს წმ. ბარლაამის მონასტერშიც გვიჩვენებს და ზოგ უფრო მცირე სავანეშიაც. ასე რომ, მისი შრომის წყალობით ჩვენი კულტურის ისტორიას ერთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები შეემატა.

„უბედობას ვეწინააღმდეგოთ!“

ფრიდონ ხალვაში

დარწმუნებული ვარ და მჯერა, პატივცემულ რევაზ თვარაძეს წერილი „იდეალის ალსრულება“ (23. 12. 88. „ლიტერატურული საქართველო“), და შემდეგი გამოსვლაც, კეთილმა განზრახვამ დააწერინა. მრავალ ჩვენს ეროვნულ ტკივილზე მისმა დაბეჯითებულმა მსჯელობამ ყველანი ერთად ჩაგვაფიქრა. ნაცნობ-განცდილმა ბევრმა ამბავმა, ახლა, ხელმეორედ, სხვანაირი პირდაპირობითა და ულმობელობით გამხელილმა, მაინც შეგვძრა. წერილმა, უნდა ითქვას, ჩვენი გულები ისე დაამძიმა, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო დედა-სამშობლოსაგან ოდესღაც ძალით მოწყვეტილ ჩვენებურთა ერთგვარი წყენაც გამოიწვია.

ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა რევაზ ჭაფარიძემ თავის პასუხში ეს წყენა საკმაოდ გაანელა და ჩვენს გამთელებულ ეროვნულ თვითრწმენას იმედი შეუმაგრა. მაგრამ მცირედი გულისტკენანი და გაუგებრობანი მაინც აქა-იქ შემოგვრჩა. ამიტომაა ალბათ, გაზეთების რედაქციებში, ამ ამბებთან დაკავშირებით, ბევრი წერილი მიდის.

სხვათაშორის, რამდენიმე დღის წინ, სარფის ახალგახსნილი გზით თურქეთში ვიმოგზაურე. იმ ქვეყნის უდიდეს ქალაქში ჩვენი თანამემამულეებიც შემხვდნენ. ერთმა მათგანმა, ნაწყენი ტონით, ჯიქურ მითხრა:

— მე ქართველი ვარ, ქართველი! მაგარი ქართველი! მარა თქვენ თურმე ჩემი ქართველობა არ გინდებიან...

(არ ვიცი რამ ათქმევინა...).

მე იმ თანამემამულეს პასუხის მაგიერ გადავეხვიე და, მართალი გითხრათ, მისი წყენა ჩუმად კიდეც მესიამოვნა, — კარგი რამის მანიშნებელ წყენად ჩავთვალე.

მე არ ვკისრულობ ახლა აღძრულ საკითხზე შეურყეველი და საბოლოო დასკვნა გამოვიტანო.

მე სხვა რამ მინდა ვიკითხო;

რამდენად აუცილებელია, რამდენად სასარგებლოა ჩვენთვის, ახლა, — ისედაც დაძაბულობებით აღსავსე ჟამს, ერის ბრძენ წინამძღოლთა და თვით ისტორიის მიერ, თავის დროზე, უკვე განჭვრეტილ-შეფასებულ ჭეშმარიტებათა შესახებ თავიდან ვიკამათოთ და ძველი იარები გავხსნათ?!

ჩემი წერილის სათაურად სულმნათ აკაკის ნათქვამი გამოვიყენე, 1878 წლის 20 ნოემბერს, საუკუნოვანი ბატონობისაგან მხოლოდ ორიოდე თვის გამოხსნილი აჭარის პირველ წარგზავნილებთან შეხვედრაზე რომ ბრძანა. უკვდავი პოეტი წინაპართა ანდერძის სისრულეში მოყვანად თვლის იმას, რასაც ბატონი რევაზ თვარაძე დღეს იდეალის აღსრულებას უწოდებს.

გასაკვირია, — აკაკი წერეთელი, ასზე მეტი წლის წინათ, როცა აჭარის სოფლები მართლაც მოფენილი იყო მეჩეთებით, როცა ამ მხარეში ქართული წერა-კითხვის ერთი მცოდნეც უძნელესი მოსანახი იყო, შთაგონებული იმედით აცხადებს: „ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქეთაც შენახულა და ამით ვხსნით, რომ **ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი!** დიახ, დღემდე თუ ცალ-ცალკე შევინახეთ ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუკი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს.

...თუკი ჩვენი მამა-პაპანი ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭული...

მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, — და **უბედობას ვეწინააღმდეგოთ!**

ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა“.

დიდი ილია კი იმხანად წერდა: „**სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს**... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატრონსა და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდნობს...“

მადლობა ჩვენს ბრძენ წინაპრებს, რომ ქართველთა მთლიანობისა და ეროვნული ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში დღესაც გვეხმარებიან!

„იდეალის აღსრულების“ ავტორი კი საუკუნოვან ნანატრი იდეალური ვითარების წარმოდგენისას, როცა, ვთქვათ, საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველობა გაერთიანდა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ორი რელიგიის მქონე ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის ვერავითარ საფრთხეს ვერ ხედავს. იგი ამბობს: „მაშინ სად ვეძებოთ სრულიად საქართველო, ერთიანი და განუყოფელი? ქართველობის ნაცვლად ჩვენს წინაშე იქნება ორი სხვადასხვა ხალხი, რომელთაც ბევრი არაფერი გაეგებათ ერთმანეთისა“.

ამ განცხადებამ პირადად მე, რბილად რომ ვთქვა, გული დამწყვიტა. აბა, სხვა ჩვენებურს რაღა დაემართებოდა? რადგან ქართული კულტურა ქრისტიანულია, ქართველ მაჰმადიანურ მოსახლეობას ჩვენი კულტურისათვის არც შეუქმნია და ვერც ვერაფერს შექმნისო, სრული უიმედობით ასკვნის პატივცემული ავტორი.

არა მგონია, რომ სამუსლიმანო საქართველოს ერთი ნაწილის, აჭარის განთავისუფლებიდან ასი წლის გამოცდილებამ განაპირობა ავტორის ამნაირი პესიმიზმი. მაგრამ წერილში ერთხელაც რატომ არსადაა ნათქვამი იმ, შეიძლება, პატარა და მოკრძალებულ წვლილზე, რომელიც აჭარას შეაქვს საერთო ქართულ ცხოვრებაში და კულტურაში?

სიტყვა „მაჰმადიანს“, რითაც პატივცემული რევაზის წერილი ნამეტანი გადატვირთულია, მე, შეძლებისდაგვარად, გვერდს ვუვლი, რადგან დღევანდელი აჭარლები თავს არა მაჰმადიანს, არამედ, ჩვეულებრივად, ქართველს უწოდებენ.

კი ბატონო, რელიგიური ერთიანობისას, ე. ი. ძველი ჩვენი ქრისტიანობა რომ აღდგებოდეს ყველგან, ეროვნული მთლიანობა უფრო სრულყოფილი და მტკიცე იქნება, მაგრამ ასეთი იდეალური ვითარების მიღწევას, შესაძლოა, სამწუხაროდ, ხანგრძლივი პროცესი დასჭირდეს, ამიტომ აქედანვე რეალურად არსებული სინამდვილე უნდა ვცნოთ და არ ჩავუჩიჭოთ ის კვირტები, რაც საქართველოს მთლიანობის ხემ დღეს უკვე გასაშლელად გამოისხა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ძველი ეროვნული მართლმადიდებელი რელიგიისაკენ ლტოლვა აქა-იქ ჩვენში უკვე შეინიშნება. თესლი ხნულში ჩაგდებულია, მაგრამ არ შეიძლება იგი წარამარა ჯოხით ვჩხრიკოთ, ან ფეხი ვაბიჯოთ. მას გაღვივება-გაზარება უნდა ვაცალოთ. გულის და სულის სხივები, რაც ერთი ეროვნების, მაგრამ სხვადასხვა რელიგიის ხალხს აახლოებს, არ უნდა ჩავწყვიტოთ.

დიახ, ვერც ისლამის მატარებელ ქართველს, რომელიც მთელი სულიერი შეგნებით თავის ეროვნულ მრწამსს აღიარებს, ქართველობაზე უარს ვერ ვეტყვით.

რთული, ძნელი, მძიმე ისტორია გავიარეთ, მაგრამ უფრო მეტი მოთმინება ახლა გვჭირდება.

ერთი ფრიად დამაფიქრებელი ფაქტი: რამდენიმე წლის წინათ გახლდით შუა აზიაში, იქ გასახლებულ მესხებს შევხვდი. ბევრი ვისაუბრეთ (ამაზე — სხვა დროს). შემდეგ საინგილოშიც ვიყავი და, სამწუხაროდ, საქართველოს გარეთ, მაგრამ საბჭოეთში მცხოვრები ქართველი მუსლიმანები ეროვნულად უფრო დასაწყლებულები, დაშინებულები და დაბნეულები მომეჩვენა, ვიდრე თურქეთში. ამან საშინლად შემძრა.

მაშინ ბევრმა შუაზიელმა მესხმა (ვლაპარაკობ მხოლოდ იმათზე, ვინც გულწრფელად აღიარებს თავის ქართველობას) შემომჩივლა, უშიშროების ორგანოების მითითებით, პასპორტში ეროვნებად ქართველს არ გვიწერენო. ასარჩევად გვაძლევენ უზბეკობას, თურქმენობას, თათრობას, ამიერკავკასიიდან კი — მხოლოდ აზერბაიჯანლობასო.

აქვე, სამწუხაროდ, უნდა შევნიშნო: როცა გასული წლის 19 აგვისტოს „იზვესტიაში“ ვიღაც გ. დიმოვმა დაწერა — „**Я хочу рассказать о Турках-Месхетинцах**“-ო და ამ უძველესი ქართული მხარის, შოთა რუსთაველის მშობელი კუთხის ყველა შვილი თურქად მოიხსენია, ჩვენი ინტელიგენციის არცერთმა მეწინავემ საპასუხოდ ენაც არ დაძრა.

ამასობაში კი საქართველოს მიწა-წყალს უკონტროლოდ, შეუნელებლად იკავებს არაქართველი მოსახლეობა. აბა, გულზე ხელის დადებით ერთი რამ ვიკითხოთ, — საბოლოოდ მაინც საქართველოს მიწაზე არაქართველ მუსულმანს ქართველი მუსულმანის ყოლა არა სჯობია?!

„იდეალის აღსრულების“ ავტორს ინდოეთის და პაკისტანის მაგალითი მოჰყავს. ისინი ხომ ისლამმა გახლიჩა შუაზე. ასეთი მაგალითები ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. ქართულ სულს სხვა ჯადო, სხვა მადლი, სხვა ძალა გააჩნია. ზუსტი საბუთები კი ისტორიას ვკითხოთ, იქ ბევრია.

მე არაფერს ვამბობ ჩვენს რაოდენობრივ და ტერიტორიულ შესაძლებლობებზე. ნებისმიერი რელიგიის მიმდევარ ქართველს დღეს შეგნებული აქვს, რომ მისი გადარჩენა, მისი კაცობა, მისი არსებობა დედამიწაზე მაშინ დაფასდება, მაშინ მოიპოვებს მთელი კაცობრიობისაგან პატივს და აღიარებას, როცა იგი ქართველად წოდებულ ერთადერთ ეროვნებად გაერთიანდება, როცა იგი თავისი შეერთებული, ერთ მთლიანობად შეკრული ძალმოსილებით, თავისთავს პატრონობს და თავისთავს გაძღოლის უნარით შეიარაღებული, დამოუკიდებელ, ერთიან საქართველოდ წარმოდგება. ვერავითარი უფროსი თუ უმცროსი ძმა ამაში ვერ დაგვეხმარება. ამნაირი მისია მხოლოდ თვითონ უნდა მარტომ ვიტვირთოთ და კიდეც ავზიდოთ. და, ალბათ, თითოეული ჩვენთაგანის წმინდა ვალია თითოეულ ჩვენთაგანში, აი, ასეთი იდეალისადმი რწმენა გავაღვივოთ და არ დავასუსტოთ იგი.

ჩვენ არ შეგვიძლია საისლამოს ქართველს ქართველობაზე უარი ვუთხრათ-მეთქი. ღმერთმა ქნას, დაუბრუნდეს იგი ქართველთა უმრავლესობის რელიგიას, — ქრისტიანობას, მაგრამ ისეთიც კი, როგორიც ახლაა, იგი ჩვენი სისხლი და ხორცია. შორს ნუ წავალთ, შეხედეთ პატარა ხალხებს — აფხაზებს, ჩრდილო ოსებს, სხვებს, იმათაც ნაწილი მოსახლეობისა ისლამის მიმდევარი ჰყავთ, მაგრამ ერთად არიან, კარგად არიან.

პატივცემული რევაზ თვარაძე მიგვითითებს: „ქართველი ერის ისტორია არის ქრისტიანული ერის ისტორია“. ეს ჩვენში ასე გაიგეს, — საქართველოს ისტორია მხოლოდ ქრისტიანული საქართველოს ისტორიაა. მაშინ, ბუნებრივია, ისმება კითხვა, რა ვუყოთ ფარნავაზიდან და ძველი კოლხეთიდან მოყოლებულ ისტორიას? ქართველთა მთელი ის რვაასი-ათასი წლის არსებობა, კულტურა, ბრძოლა რომელ და ვის ისტორიად ჩავთვალოთ?!

თვით ქართული დამწერლობაც კი, როგორც ირკვევა, ხომ ფარნავაზ-მწიგნობრიდან წამოსულა?! მაშ, ქრისტიანობამდე არსებული იმოდენა ქართული კულტურა ქართველი ერის ისტორიაში არ შევიტანოთ?!

ანდა, დღეს, ისლამის გავლენის ქვეშ მოქცეული მილიონობით ქართველობის არსებობაზე, ყოფაზე, ჭირ-ვარამზე, უტენდენციო, ობიექტური ცნობა ქართველი ერის ისტორიაში არ შევიდეს?!

და, ბოლოს, ისევ ორიოდე რამ ჩვენს ეროვნულ კონსოლიდაციაზე. აი, ჩვენს გვერდით არიან ხალხები, რომლებიც ხელგაშლით უღებენ კარს და სხვა ერებისაგან წამოსულთ იფარებენ, მიწის ნაკვეთებს ურიგებენ, ქალაქებში საცხოვრებლადაც წერენ, ეფერებიან, ეხმარებიან. ოღონდ, ბოლოს, ისინი, — სხვა ხალხთაგან წამოსულნი, ახალდამკვიდრებულ ადგილთა პატრონი ხალხის შემადგენლად იქცნენ.

ჩვენ ღმერთმა დაგვიფაროს იმნაირად სხვათა გაქართველებისაგან, მაგრამ ჩვენი სისხლისა და ხორცისას ხომ უნდა მივხედოთ?

არაქრისტიანი ქართველისადმი ზოგჯერ უგულო და უყურადღებო დამოკიდებულებით საკუთარი ხალხი გვეფანტება და, საკუთარი ხალხის ხარჯზე ერის გამრავლების შესაძლებლობას ხელიდან ვუშვებთ.

ამას წინათ, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე ფერეიდნელმა თანამემამულემ გულისტკივილით ილაპარაკა საქართველოდან უკან, ირანში დაბრუნებულ თავის ძმაზე. ირანში გურჯს მეძახოდნენ, აქ კი, საქართველოში, თათარს მეძახიანო, უჩივლია. ისევ იქ წავალ, — მირჩევნია გურჯი (ქართველი) მეძახონ უცხოეთში, ვიდრე შინ — თათარიო, უთქვამს და უკან გაბრუნებულა.

ჩვენ, ქართველები, დიდი ხალხი ვართ, დიდი გულით უნდა მივუდგეთ ერთმანეთს. მოთმინება, გატანა, თანადგომა და თავისიანისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა გვმართებს. თორემ ჩვენი წინაპრების ცრემლით და სისხლით დანამულ მიწას შეიძლება გადამთიელი დაეპატრონოს, ხოლო საკუთარი ღვიძლი ძმა, უნდობლობით და ლანძღვით აყრილი, გულნატკენი, განაწყენებული აღარ მობრუნდება უკან. ეს კი ერთიანულ უბედურებად იქცევა ბოლოს.

ამიტომ აუცილებელია ერთად ვიყოთ, ერთად!

დასასრულ, კვლავ ხელმეორედ აკაკის ნათქვამს ვიმეორებ — „**უბედობას ვეწინააღმდეგოთ!**“

რედაქციისაგან: პოლემიკამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ცნობილ მწერლებს რევაზ ჭაფარიძესა და რევაზ თვარაძეს შორის, მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება გამოიწვია, რაც ბუნებრივია, დაეტყო სარედაქციო ფოსტასაც — უამრავი სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის წერილი თუ გამოხმაურება მივიღეთ. ეს ფაქტი, ერთის მხრივ, მიანიშნებს პრობლემის სიმწვავესა და აქტუალობაზე, და, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო ცხადყოფს, თუ რაოდენ ფრთხილი, დელიკატური მიდგომა გვმართებს ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას. პატივცემული ფრიდონ ხალვაშის წერილით ვამთავრებთ დისკუსიას ამ საკითხზე და გამოვთქვამთ რწმენას, რომ უკანასკნელი მოვლენების ფონზე ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერება კიდევ უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება.

რატომ განრისხდა ხომეინი?

„მსოფლიოს ყველა მართლმორწმუნეს ვავალებ, მოკლან წიგნის ავტორი და გამომცემლები“; — მიმართა მუსულმანებს განრისხებულმა ხომეინიმ, როცა გაეცნო სალმან რუშდის რომანს „სატანური ლექსები“.

რა მოხდა? რამ აღელვა მსოფლიოს მუსულმანთა ზღვა?

— წიგნი შეურაცხყოფს ყურანს და მუჰამედ წინასწარმეტყველს — ამბობს ხომეინი.

ირანის ხელისუფლებამ [illegible] გამოაცხადა, რომ რუშდის მკვლელი ჯილდოდ 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

„რუშდის ყოველ წუთში საკვდილოდ ემზადება, იგი ვერ მიისწვდება სიცოცხლის ბოლომდე“ — ამბობენ ირანელები...

სალმან რუშდი დაიბადა ბომბეიში, 1947 წელს. 13 წლისა გადასახლდა დიდ ბრიტანეთში. მწერალს დიდი წარმატება მოუტანა რომანმა „შუაღამის შვილები“. ზოგიერთი კრიტიკოსი ამბობს, ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ რუშდის სახელი გაბრიელ გარსია მარკესისა და გუნტერ გრასის დიდებას მისწვდა. შეიძლება გაზვიადებული შეფასებაა, მაგრამ ცხადია, რომ რუშდი არის საინტერესო და თვითმყოფადი მწერალი, რომელმაც თავის პროზაში [illegible].

„სატანური ლექსები“ სალმან რუშდის მეოთხე რომანია.

ინგლისის [illegible] „ობზერვერმა“ გამოაქვეყნა სალმან რუშდის სტატია სათაურით „ჩემი წიგნი ანტირელიგიური რომანი არ არის“. რუშდი წერს: „მუჰამედი, მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება, მარჯვე მეწარმე, ძლევამოსილი გენერალი, გონიერი სახელმწიფო მოღვაწე და, ამავე დროს, წინასწარმეტყველი, მთელი ცხოვრების მანძილზე ამტკიცებდა, უბრალო ადამიანი ვარო. მისი სიცოცხლის დროინდელი პორტრეტები არ არსებობს, — [illegible], — მაგრამ გაურბოდა, რადგან იცოდა, რომ მის სურათს რელიგიური თაყვანისცემის საგნად აქცევდნენ.

რელიგია, რომელიც მუჰამედმა შექმნა, მრავალ მნიშვნელოვან ასპექტში განსხვავდება ქრისტიანობისაგან: ღვთიური დიდება წინასწარმეტყველს კი არ შეჰფერის, არამედ — ღმერთს. ამას გარდა, ისლამი არ მოითხოვს არც [illegible] თაყვანისცემას, არც [illegible] კასტის არსებობას. მორწმუნე უშუალოდ მიმართავს ღმერთს.

დღეს [illegible] ისლამი თავის [illegible]. ისინი [illegible]. მათ მუჰამედი [illegible].

[illegible] ით, თითქოს ის ისტორიული პროცესი იყოს.

რომანის სათაური მკრეხელურად მიიჩნიეს, მაგრამ ეს ფრაზა ჩემი მოგონილი არაა. მისი ავტორია ტაბარი, ისლამის ერთ-ერთი კანონიკური მოძღვარი. ტაბარი წერს: როცა [illegible] მუჰამედი [illegible], რომ ხალხს ზურგი აქცია, გადაწყვიტა ადამიანთა გაჭირვება შეემსუბუქებინა. მაშინ მან წარმოთქვა ლექსები, რამაც მექის მოსახლეობა აღაფრთოვანა; მაგრამ მოგვიანებით გაბრიელ მთავარანგელოზმა მუჰამედს უთხრა, რომ ეს იყო ეშმაკის ნაკარნახევი „სატანური ლექსები“. ამიტომ ისინი ამოიღეს ყურანიდან.

„სატანური ლექსები“ ანტირელიგიური რომანი არ არის. ის არის ემიგრაციის გაჭირვებათა აღწერის ცდა, თანაც, აღწერა იმათი თვალსაზრისით, ვინც პაკისტანის სუბკონტინენტიდან ჩამოვიდა ინგლისში. ბევრი მწერალი ირონია — წლების მანძილზე [illegible] ლიტერატურის საშუალებით [illegible] კულტურა და დღეს მოწმე ვარ, თუ როგორ წვავს ჩემს წიგნს ის ხალხი, ვისაც არც კი წაუკითხავს იგი.

მწერლის მშობლიურ ქალაქ ბომბეიში სიტუაცია თანდათან იძაბება. ბომბეის პოლიციის კომისარმა [illegible] ქალაქში [illegible] რვა ათას [illegible]. მაგრამ როდესაც კი ბომბეის 15 მეჩეთის იმამებმა მრევლს მოუწოდეს გამოეთქვათ პროტესტი ინგლისის მიერ რუშდის მფარველობის გამო, ხუთი ათასი მუსულმანი მიაწყდა ბრიტანეთის საკონსულოს. [illegible] და გაცოფებულმა ფანატიკოსებმა მწერლის ფიტული დაწვეს იმ სახლის წინ, სადაც თავის დროზე ის სწავლობდა. ცხრა კაცი მოკვდა, ასი დაიჭრა.

რუშდი ოჯახთან ერთად საიდუმლოდ გაუჩინარდა. მის უსაფრთხოებას დღე და ღამე სდარაჯობენ სკოტლანდ-იარდის აგენტები.

როდემდე გაგრძელდება ეს ტრაგიკული ამბავი, არავინ იცის. ერთი კი ცხადია, ტრაგედია დღითიდღე ახალ ასპექტებს იძენს.

პუბლიკაცია მოამზადა
ალეკო დოლბაიამ.

საქველმოქმედო ტრადიცია უნდა აღორძინდეს

ჩატარებულმა სამუშაოებმა, განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ რამდენიმე წლის წინათ ემოციების წუთიერ აფეთქებას არ ამოუყვანია მოხალისეთა ის პირველი ჯგუფი ნარიყალაზე. მათ ყოველგვარ წინააღმდეგობას, სიძნელეს გაუძლეს და თავიანთ ძალებში დარწმუნებულებმა უფრო დიდი მოვალეობა იტვირთეს: დავით აღმაშენებლის სახელით საქველმოქმედო ტრადიციების აღორძინება გადაწყვიტეს.

რა გაკეთდა განვლილ წლებში ნარიყალაზე? რა გამოსტაცეს მიწას ამ მადლიანი ხალხის ხელებმა? რა მიზნები აქვთ სამომავლოდ? ამ კითხვებით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ნათია ჯაყელმა დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრებს.

●

რესტავრაციის პროექტის ავტორი **ტარიელ კიპაროიძე**: ნარიყალაზე მუშაობის დაწყების ინიციატივა პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1971 წლის კურსდამთავრებულებს ეკუთვნით. ძირითად ბირთვს მაინც სამშენებლო ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტები წარმოადგენდნენ. დროთა განმავლობაში ხალხი თანდათან მოგვემატა, კიროვის რაიონის კომკავშირული აქტივი, პიონერთა სახახლის კომკავშირული შტაბის „თანატოლის“ ეროვნული საბჭოს წევრები; საუკეთესო სპეციალისტები ისტორია-არქეოლოგიის დარგში (მათი პროფესიონალური ჩარევის გარეშე ძნელი იქნებოდა მუშაობა), საერთოდ, ძნელია ვინმე გამოჰყო, ყოველ შაბათ-კვირას აქ ორასამდე კაცი მაინც ამოდის. ერთი რამაა აღსანიშნავი, ხშირად ბავშვებიც თან ამოჰყავთ. მართალიცაა, პატარაობიდანვე უნდა ეზიაროს ადამიანი ამგვარ შრომას.

ახლა იმის შესახებ, თუ რა სამუშაოებია ჩატარებული. ყველაფერი, რაც ამ ხნის განმავლობაშია გაკეთებული მოხალისეთა მიერ, მილიონ მანეთადაა შეფასებული.

მუშაობის დაწყებისას ჩვენს უპირველეს საზრუნავს არქეოლოგიურად დამუშავებული მიწის გატანა წარმოადგენდა. კედლები, ტაძრის ნანგრევები მთლიანად მიწით იყო დაფარული. უგზოობა კიდევ უფრო ართულებდა საქმეს. წყალმშენმა — ჩვენმა საშეფო ორგანიზაციამ მოგვაწოდა მილები. მაგრამ ტიტანური შრომის მიუხედავად აქაურობას არაფერი ეტყობოდა. ბოლოს რომან გვენცაძის წინადადებით დაიწყო გზის მშენებლობა, რომელმაც გააიოლა არა მარტო ტერიტორიის გაწმენდა, არამედ სხვა სამუშაოებიც. 80 ათასამდე ტონა მიწაა აქედან გატანილი.

ორიოდ სიტყვა იმის გამო, თუ დღესდღეობით რისი რეკონსტრუქციის საშუალება გვაქვს, რა მოგვცა არქეოლოგიურმა გათხრებმა. პირველად ტაძრის ნანგრევების შესახებ: იგი დემეტრე თავდადებულის მეფობისას უნდა იყოს აგებული. ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება, როგორც წმინდა ნიკოლაოზის ტაძარი. გათხრების შედეგად აღმოჩენილი ზოგი ელემენტი ადრეფეოდალური ხანის ძეგლებზე გვხვდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნარიყალა გაუთავებელი ბრძოლების ასპარეზი იყო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დანგრეული ტაძარი რამდენჯერმე აღუდგენიათ სხვადასხვა დროს. ჯერჯერობით რაიმეს კონკრეტულად მტკიცება ნაადრევია.

გრაფიკული რეკონსტრუქციის მიხედვით შეგვიძლია დავძინოთ, რომ ტაძარი ცენტრალურგუმბათოვანია და მისი სიმაღლე დაახლოებით 25 მეტრია. ახლა ხდება ტაძრისა და კედელბურჯების კონსერვაცია. აქვე აღსანიშნავია, რომ ზონდაჟის შედეგად გამოვლინდა კიბეები, რომლებიც საბრძოლო ბილიკებს უერთდება. ახეთი ბილიკები ამ ციხეზე ჯერ სხვა არ აღმოგვიჩენია.

ტაძრის აღმოსავლეთით შემორჩენილია სასახლის ფრაგმენტები, კერძოდ, სარდაფის ნაწილი, რომელიც თაღოვან-კამაროვანი უნდა იყოს. ადრე აქ მარანი ყოფილა მოწყობილი, ამაზე ქვევრთა სიმრავლე მეტყველებს.

აღნიშვნის ღირსია ციხის წყალმომარაგების სისტემაც. გარემოცვის ეს ფაქტორიც თამაშობდა უდიდეს როლს. წყალსაცავი (რომლის გაწმენდაც ახლა მიმდინარეობს) ძირითადად მარაგდებოდა წავკისიდან გამოყვანილი წყლით. ჰქონდათ სათადარიგო გვირაბებიც — ერთი კვლავ წავკისიდან გამოყვანილი, მეორე კი მტკვარზე ჩადიოდა. ეს უკანასკნელი ლოკალიზებულია, 1800 წლის გეგმის მიხედვით.

ნარიყალა თავისი სხეულით ასახავს თბილისის ისტორიას, ხშირად ვხვდებით ისეთ ნაგებობებს, რომლებიც მაჰმადიანების მიერ უნდა იყოს აგებული, თუნდაც აბანოს ნაშთები. ზოგჯერ იმის დადგენაც ჭირს, თუ რისთვის შეიძლება ამა თუ იმ შენობის გამოყენება.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **მერაბ ძნელაძე**: მართლაც ძნელია ყველაფერს გასცე პასუხი, მაგალითად, ამ ნაგებობაში შემოყვანილი მილებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი წყალთანაა დაკავშირებული: დროთა განმავლობაში ამ საიდუმლოსაც აეხდება ფარდა.

სხვა რამე მინდა ახლა გამოვყო, მთავარი ისაა, რომ ეს წამოწყებული მოძრაობა გასცდეს თბილისის საზღვრებს. ალბათ, აუცილებელია მოეწყოს რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სადაც ჩავატარებთ ლექცია-სემინარებს. ამით, მე მგონი, ბევრ კარგ საქმეს მიეცემა დასაბამი.

თბილისის მთავარი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ოთარ ტუშელაშვილი**: არქეოლოგიური გათხრები ნარიყალაზე 1966 წლიდან დაიწყო საქალაქო საბჭოსა და აღმასკომის სპეციალური დადგენილებითა და დაფინანსებით, მაგრამ მუშაობა სეზონურად მიმდინარეობდა და რამდენიმე ხნის შემდეგ შეწყდა კიდეც. ამჟამად თბილისში ორი არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს. მალე ერთი ნარიყალაზე ამოვა.

დიდი საქმეა წამოწყებული და მთავარია ეს სულისკვეთება არ ჩაქრეს, არ ჩაინავლოს, ამისათვის კი აქაც ახალგაზრდობის შემოკრებაა საჭირო.

დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი **ზურაბ ფანჯიკიძე**: ჩვენი საზოგადოების მიზნებზე თუმცა უკვე დაიწერა პრესაში, მაგრამ მოკლედ კვლავ შეგახსენებთ უახლოეს გეგმებს, მუშაობის პრინციპებს.

საზოგადოებაში რამდენიმე სექციაა. ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვის, მიწათმოწყობის, დემოგრაფიის, ეკოლოგიისა და ქართული ენის სტატუსის განმტკიცებისა. საზოგადოებაში ყალიბდება აგრეთვე საგამომცემლო ჯგუფი. უპირველესად მხარს ვუჭერთ ხალხის აზრს და ჩვენი საზოგადოების სახელითაც მოვითხოვთ აღებულ იქნას ის ორი ძეგლი, მთავრობის სასახლის წინ რომ დგას, სასწრაფოდ შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობები ჯვრის მონასტრის მიდამოებში.

კიდევ ერთხელ მინდა შევჩერდე „ოცნების ქალაქზე“, რომელიც ითვალისწინებს კიროვის პარკის, ახლანდელი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიის, საცურაო აუზის გაერთიანებას. საზოგადოების აზრით, რაც სწრაფად განხორციელდება ამ კომპლექსის მშენებლობა, უკეთესია, რადგან პერსპექტივები უდიდესია. დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ნარკომანიაზე, მის პრობლემებზე. ამ კომპლექსის ამოქმედება კი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საზოგადოების გაჯანსაღებისაკენ.

აპრილის შუა რიცხვებისათვის ვაპირებთ სიმპოზიუმის ჩატარებას არქიტექტორთა კავშირთან ერთად. ამ შეხვედრაზე ვისაუბრებთ თბილისის არქიტექტურულ განაშენიანებაზე.

დავით აღმაშენებლის საზოგადოების ეგიდით გამომცემლობა „მერანი“ უშვებს წიგნს, რომელშიც შევა დავით აღმაშენებლის ორი ანდერძი და „გალობანი სინანულისანი“ ზურაბ კიკნაძის კომენტარით, „საბჭოთა საქართველოში“ კი მზადდება ალბომი „რა ხელმა ააგო...“. ალბომში დაიბეჭდება ქართველი ხუროთმოძღვრული ძეგლების რეპროდუქციები და ამ ძეგლებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული შედევრები.

ჩვენი საზოგადოება საქველმოქმედოა, ამიტომ ჩვენი უპირველესი მიზანი დახმარების გაწევაა მათთვის, ვინც ამას საჭიროებს.

ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს. ბანკში ანგარიშის გახსნის შემდეგ, რაც უახლოეს დღეებში მოხდება, ჩანაფიქრს საქმედ ვაქცევთ — რაც მთავარია, უკვე ვგრძნობთ ხალხის დახმარებას, შემოგვთავაზეს ფილიალების გახსნა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. უნდა ვირწმუნოთ, რომ ესეც ახლო მომავლის საქმეა.

დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში

ამ დღეებში დავით აღმაშენებლის საზოგადოებასა და მწერალთა კავშირს თხოვნით მიმართა ბოგდანოვკის რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის გამავრცელებელმა საზოგადოებამ (თავმჯდომარე ა. გოგოლაძე), რათა შეფობა გავუწიოთ მათ ამ კეთილშობილურ და ეროვნულ საქმეში.

დავით აღმაშენებლის საზოგადოებამ უმალვე იკისრა დაეხმარონ ახალგაზრდა ენთუზიასტებს. გარკვეულწილად იგი თვითონ გაიღებს თანხას, აღძრავს შუამდგომლობას აგრომრეწვის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის წინაშე, რომ ახალგაზრდა მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნენ ბინებით.

ახლა სიტყვა ახალგაზრდებზე. საჭიროა ოცი ენთუზიასტ-პედაგოგი. გვინდა წინასწარ ვკითხოთ ახალგაზრდებს, რომ ისინი მარტო სკოლებში როდი იმუშავებენ, რაიონის მრავალი ორგანიზაციის თანამშრომლებს სურვილი აქვთ შეისწავლონ ქართული ენა. ასე რომ, მათ წინ ელით ძალზე საინტერესო სამუშაო. ვფიქრობთ, წინასწარი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ პირველი სექტემბრიდან შეუდგნენ საქმიანობას.

ბოგდანოვკაში გამგზავრების მსურველებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში. (დროებითი მისამართია — მაჩაბლის 13).

ფესტივალი დღესასწაულია

ამას წინათ ესპანეთში ჩატარდა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ თეატრალური კოლექტივები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. როგორც მკითხველებმა იციან, საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობდნენ რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და მარიონეტების თეატრები.

ქართულ თეატრებთან ერთად ესპანეთში იყო რეჟისორ-ოპერატორი **თენგიზ მოდებაძე**, რომელიც ამჟამად მუშაობს სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმზე „რამაზ ჩხიკვაძე“. დღეს თენგიზ მოდებაძე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ესპანური შთაბეჭდილებების შესახებ.

●

— ბატონო თენგიზ, ცნობილია, რომ ესპანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული, შთამბეჭდავი ქვეყანაა. ალბათ რეჟისორისთვის იქ უამრავი საინტერესო რამ იქნებოდა.

— ესპანეთის შესახებ ძნელია რამე ახალი თქვა. ერთი რამ კი უნდა აღვნიშნო: ესაა საოცრად თეატრალური ქვეყანა. მინდა ერთი შემთხვევა გიამბოთ, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და ძალზე დამამახსოვრდა.

მადრიდის ერთ-ერთ ცენტრალურ, ხალხითა და მანქანებით სავსე მოედანზე, ქალაქის მმართველი დაწესებულების წინ, ამაყად თავაწეული იდგა მოელვარე ოქრომკედით ნაქარგ კოსტუმში გამოწყობილი ცნობილი ტორეადორი. მის გვერდით აბრაზე გაკრული იყო მოთხოვნა: „გთხოვთ, ნება დამრთოთ, გავმართო საბენეფისო შეხვედრა კორიდაზე ყველაზე ძლიერ ხართან“. ტორეადორის წინ გრძელი რიგი იდგა, ხალხი ხელს უწერდა მოთხოვნის წიგნში და ამით თანადგომას უცხადებდა მას. ეს იყო ჩინებული ნიმუში მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობისა.

— რამდენადაც ვიცი, ეს არ იყო თქვენი პირველი მოგზაურობა ესპანეთში...

— დიახ, შარშან ვნახე და გადავიღე კიდეც, თუ როგორ მუშაობდნენ ქართველი კინემატოგრაფისტები „დონ კიხოტზე“.

რეზო ჩხეიძე ერთ-ერთ ეპიზოდს იღებდა იმ მოედანზე, სადაც სერვანტესისა და მისი გმირების ძეგლი დგას. მოედანი ცნობისმოყვარეებით გაივსო. მოგეხსენებათ, გადაღების დროს უცხოები ყოველთვის ხელს უშლიან ჯგუფს მუშაობაში, მაგრამ მადრიდში პირიქით მოხდა. აქ ერთგვარი სპექტაკლის მსგავსი სანახაობა გაიმართა. როგორც კი ეპიზოდი გადაიღეს, ტაშმა იქუხა.

— მადრიდის საერთაშორისო ფესტივალი მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მნიშვნელოვანი მოვლენაა. თუ შეიძლება, გვიამბეთ ამ ფესტივალის მიმდინარეობისა და მასში ჩვენი თეატრების მონაწილეობის შესახებ.

— მადრიდის ფესტივალის შესახებ ქართველ მკითხველს საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ უამბო თავის წერილებში ნოდარ გურაბანიძემ. ამიტომ ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ფესტივალში მონაწილეობდნენ სრულიად განსხვავებული თეატრები. ინგლისური სამეფო თეატრის გვერდით, რომელმაც ოთხსაათიანი სპექტაკლი — „ტიტუს ანდრონიკუსი“ წარმოადგინა, მაყურებელს თავის ხელოვნებას სთავაზობდა პოლონური ნოვატორული თეატრი, რომელიც, სხვათაშორის, ძალზე ცნობილია მსოფლიოში.

მინდა რამდენიმე სიტყვით გიამბოთ ჩვენი თეატრების სპექტაკლებზე. სპეციალისტებმაც და ფართო საზოგადოებამაც იცოდნენ, რომ რუსთაველის თეატრი ძალზე პოპულარულია მსოფლიოში. ასე რომ, დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ თეატრისადმი. მოუთმენლად ელოდნენ შეხვედრას რობერტ სტურუასთან, რომელიც ინგლისიდან ჩამოვიდა და სპექტაკლის ბოლოს, მაყურებლის ტაშის გრიალში გამოვიდა სცენაზე. რამაზ ჩხიკვაძე ისეთი პოპულარული გახდა მადრიდში, რომ ქუჩაში ესალმებოდნენ. თეატრალურ ინსტიტუტშიც მიიწვიეს და სცენურ ოსტატობაზე წაიკითხა ლექციები. ავთო მახარაძეს იცნობდნენ ფილმით „მონანიება“, რაც შეეხება კახი კავსაძეს, იგი მადრიდში უკვე შინაური კაცია — კახი ხომ დონ კიხოტია.

დიდი წარმატება ხვდა წილად მარიონეტების თეატრს. პრეს-კონფერენციაზე უამრავი კითხვები დაუსვეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს რეზო გაბრიაძეს, რომელსაც სცენარების მიხედვით იცნობდნენ.

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს ესაუბრა თემურ ჩხეიძე. ესპანელები დიდ ინტერესს იჩენდნენ გარდაქმნისა და მასთან დაკავშირებული პროცესებისადმი, აინტერესებდათ გარდაქმნის მიმართება თეატრთან, მისი გავლენა თეატრის მუშაობაზე: პრესაში იმ დღესვე დაიბეჭდა მასალები პრეს-კონფერენციის შესახებ.

წარმოდგენის წინ ცოტა არ იყოს ვღელავდით, რადგან სპექტაკლი თარგმანის გარეშე მიდიოდა. არ ვიცოდით, როგორ აღიქვამდა და მიიღებდა მაყურებელი უცნობ ნაწარმოებს, მაგრამ სპექტაკლის მიმდინარეობისას რამდენჯერმე აღინიშნა ტაშით ესა თუ ის სცენა — დამყარდა კონტაქტი დარბაზსა და მსახიობებს შორის.

ენობრივი ბარიერის მიუხედავად, სპექტაკლის ბოლოს კარგა ხანს არ ცხრებოდა ოვაციები. დიდი წარმატება ჰქონდათ ნოდარ მგალობლიშვილს, ნანი ჩიქვინიძეს, გივი ჩუგუაშვილს. ფესტივალზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა თეატრის მაღალი აკადემიური დონე, თეატრმა მრავალი მიწვევა მიიღო.

საერთოდ, მოგეხსენებათ, ნებისმიერი ფესტივალი დღესასწაულია. ეს მით უმეტეს ითქმის თეატრალურ ფესტივალზე, თან თუ ეს დღესასწაული ტარდება ისეთ ქვეყანაში, როგორიც ესპანეთია. ძალზე სასიხარულოა, რომ ქართული თეატრები წარმატებით მონაწილეობდნენ ამ დღესასწაულში.

ენა და კინო

ამ თეორიულ მოსაზრებათაგან თანამედროვე კინოხელოვნების არსს რომ გამოხატავენ, გამოვარჩევდი ერთ მეტად მნიშვნელოვან შეხედულებას, რომლის მიხედვით კონკრეტულად სალაპარაკო ენას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც კინო ხედვით აღიქმის. ამ თეორიის მიხედვით შექმნილ სურათებში (მათ კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი, სამაგალითოდ ოთარ იოსელიანის გახმაურებული ფილმი „მთვარის რჩეულნიც“ იკმარებდა) დიალოგები მინიმუმამდეა შემცირებული. ძირითადი დრამატურგიული დატვირთვა გამოსახულებასა და ხმოვან გააზრებას (მუსიკა, ხმაური) აქვს. მიუხედავად სიტყვიერი მასალის სიმცირისა, ამ ფილმების გაგება და გააზრება მაყურებელს არ უჭირს. ასეთია ეს, თავისი ხასიათით ყველაზე უფრო კინემატოგრაფიული თეორია.

საკითხი, რომელიც განსასჯელად მსურს შემოგთავაზოთ (ამ თეორიული შეხედულების საპირისპიროდ), ეკრანიდან ამეტყველებული ენის წყალობით ჩვენს ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს შეეხება. ტელევიზიით რამდენჯერმე ვნახე და მოვუსმინე ახალგაზრდა ქართველ იმიტატორს. იგი ფრანგული კინოსერიალის „ფანტომასის“ ცნობილი პერსონაჟის კომისარ ჟუვის ხმით გველაპარაკა. უნდა ვთქვა, რომ მშვენივრად გამოსდიოდა. ოღონდ საქმე ის არის, რომ ეს ფილმის გმირის ხმა კი არ იყო, არამედ იმ მოსკოველი მსახიობისა, ვინც ხსენებული პერსონაჟი რუსულად გაახმოვანა. მას არასოდეს უნახავს ლუი დე ფიუნესის ქართულად ამეტყველებული გმირი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ უცხოური ფილმების ქართულად დუბლირება კარგა ხანია აღარ ხდება! ამიტომაც ჩვენს ცნობიერებაში ამა თუ იმ კინოგმირის ნათქვამი ფრაზა თუ სიტყვა რუსულად აღიბეჭდება ხოლმე. ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მაყურებელი ასოციაციით უცხოურ ფილმს რუსულ ენას დაუკავშირებს. მეტიც — მთარგმნელ-სინქრონისტებიც, დამკვიდრებული სტერეოტიპის წყალობით, მხოლოდ რუსულად თარგმნიდნენ ფილმებს, თუმცა ქართველები იყვნენ და ქართულად თარგმნას მათ არავინ უკრძალავდათ. ბუნებრივია, იბადება კითხვა — ყოველთვის ასე იყო? არა! მივმართოთ ისტორიას: მოგეხსენებათ, თავიდაე კინო მუნჯი იყო და დიალოგები ფილმში ტიტრებით იწერებოდა. ამიტომ, როცა ფილმი გაიყიდებოდა, ტიტრებს მყიდველი ქვეყნის ენაზე წერდნენ და ეს საკითხი ადვილად გვარდებოდა ხოლმე. როცა ოციანი წლების ბოლოს კინო ალაპარაკდა, საჭირო გახდა სამეტყველო ტექსტის თარგმნა. აქედან იწყება ფილმების დუბლირების ისტორიაც. ჩვენთან, ისევე როგორც ევროპასა და ამერიკაში ხმის შემოსვლას ზოგი ინტერესით შეხვდა, რადგან ამ ტექნიკური სიახლის მიღმა ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს ხედავდნენ, ზოგი — უნდობლობით, რადგან ხმა კინემატოგრაფის ხასიათს თვისებრივად ცვლიდა და ძველებური მეთოდებით ველარ იმუშავებდნენ. განსაკუთრებული ასეთ დამოკიდებულებებში არაფერია, რადგან ყველგან ასე იყო. ოღონდ იმ დროის ერთი საარქივო დოკუმენტი ერთობ განსხვავებულ მოსაზრებას გვაწვდის: ხმოვანი კინო ჯერ არ შემოსულიყო ჩვენში და საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის III პლენუმის მე-7 სხდომაზე 1929 წელს მწერალმა დავით რონდელმა, (ცნობილი კინორეჟისორი მოგვიანებით გახდა) ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ხმოვანი კინოსადმი: — „ცხადია, მოლაპარაკე კინო ნაციონალურ ზღუდეებში სვამს კინოს, ინტერნაციონალურ ფუნქციას აშორებს მას“.

მიუხედავად რონდელის ამ წუხილისა, ხმა ჩვენს კინოში დამკვიდრდა და ამას ნაციონალურ ზღუდეებში ჩაკეტვა არ მოჰყოლია, საერთოდ, ეს არ გამხდარა წარუმატებლობის მიზეზი, მაგრამ ზემოდან თავს მოხვეული კონიუნქტურული მოთხოვნები სულ უფრო და უფრო ზღუდავდნენ შემოქმედის თავისუფლებას. რონდელის უცნაური განცხადება კინემატოგრაფისადმი „კლასობრივი“ მიდგომის ნიმუშია. ამასთანავე ეროვნულ ფასეულობათა მიმართ იმდროინდელი დამოკიდებულების გამოხატულებაც არის. სხვათაშორის, დავით რონდელმა, რომელსაც, როგორც ჩანს, გულწრფელად სჯეროდა, რომ ხმის წყალობით „ინტერნაციონალურ ფუნქციას“ კინო დაკარგავდა, თავისი ფილმი „დაკარგული სამოთხე“ რუსულად გაახმოვანა და ამით ერთგვარ ტრადიციასაც დაუდო სათავე. ტრადიციას, რომელსაც კარგი არ შეიძლება ეწოდოს, რადგან წესით, ფილმი იმ ქვეყანამ უნდა გაახმოვანოს თავის ენაზე, რომელიც მას ეკუთვნის.

რაც შეეხება ქართულად ფილმების გახმოვანებას, პირველი ცდები ოცდაათიანი წლების ბოლოს განეკუთვნება, ხოლო 1940 წლიდან „თბილისის კინოსტუდიასთან“ შეიქმნა სადუბლიაჟო ჯგუფი. დროთა განმავლობაში ამ ჯგუფის მუშაობა საგრძნობი გახდა, გამრავლდა ქართულად გახმოვანებული ფილმების რიცხვი. იმისათვის, რომ ეს საქმე უფრო გეგმაზომიერად და ხარისხიანად წარმართულიყო, მოგვიანებით, კერძოდ, 1975 წელს კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ დაარსდა ახსადგენი და სადუბლიაჟო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანება. რა შეიძლება ითქვას ქართულად დუბლირებული ფილმების გამო: უპირველესად, ალბათ ის, რომ უნაკლოდ ეს საქმე ჩვენში არასდროს გაკეთებულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისდამი ყურადღებას საზოგადოება ყოველთვის იჩენდა და ამ ფილმებს ხალისით ნახულობდა. ასეთი შემთხვევაც ყოფილა: ერთსა და იმავე კინოთეატრში, თუ არ ვცდები „საქართველოში“, თანმიმდევრობით უჩვენებიათ რუსული და ქართული ვარიანტები. ქართულს გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყოლია. ვიმეორებ, დუბლირებას ჩვენში უნაკლოდ ვერ აკეთებდნენ, მაგრამ ამ სურათებს მაყურებელი ყოველთვის ჰყავდა, იმიტომ, რომ სრულიად ბუნებრივი სურვილია, ეკრანიდან მშობლიური ენა გვესმოდეს. როგორც მოგახსენეთ, სადუბლიაჟო ფილმების გაერთიანება იმისთვის შეიქმნა, რომ ფილმების გახმოვანების საქმე უკეთ წარმართულიყო. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ერთგვარად „კურიოზულიც“ იყო, რადგან სწორედ იმ 1975 წლიდან აიკრძალა უცხოური ფილმების ქართულად გახმოვანება. ოფიციალურად რამდენადაც ვიცი, აკრძალვა არ გაფორმებულა. უბრალოდ, მოსკოვიდან აღარ გვიგზავნიდნენ უცხოური ფილმების საწყის მასალებს. მათ გარეშე კი გახმოვანება, ბუნებრივია, ვერ ხერხდებოდა. მოგვიანებით, 1979 წლის 28 აგვისტოს, სსრკ სახკინოს კოლეგიის № 42 დადგენილებით დაკანონდა არსებული მდგომარეობა. აი, ამ დადგენილების ძირითადი დებულება:

— «Полнометражные художественные кинофильмы, созданные киностудиями на русском языке или дублированные на русский язык (აქ უცხოური ფილმები იგულისხმება. — პ. ი.) могут дублироваться и озвучиваться закадровым переводом на национальные языки союзных и автономных республик».

ამ დადგენილებით, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაშვებულ იქნა მხოლოდ სადიქტორო ტექსტის გამოყენება, რაც დუბლირების ერთი სახეობაა. ამასთან, იქმნებოდა გარკვეული უხერხულობაც და უაზრობაც, იმიტომ, რომ მაგალითად ინგლისური ფილმი ისევ რუსულად დუბლირებული უნდა გვენახა, ოღონდ ქართული სადიქტორო ტექსტის თანხლებით. სადიქტორო ტექსტს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ორიგინალის ენა შენარჩუნებულია, ე. ი. ეკრანიდან ინგლისურიც ისმის და ქართულიც. აქ კი ეს პრინციპი დარღვეულია და ამიტომ, ვიმეორებ, უაზრობა გამოდის. ამ დოკუმენტმა საბოლოოდ აღკვეთა უცხოური ფილმების ეროვნულ ენებზე გახმოვანება და დიდად შეაფერხა სადუბლიაჟო საქმის განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოში. როცა ამ დადგენილების ტექსტს ვეცნობოდი, უნებლიეთ გამახსენდა სტანისლავ ლეცის ნათქვამი, რომ: „ყოველთვის შეიძლება ისეთი ესკიმოსის პოვნა, რომელიც კონგოს მცხოვრებთათვის ინსტრუქციას შეიმუშავებდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი პაპანაქებაში“. ჭეშმარიტად ესკიმოსური გულმოდგინების შედეგია ეს დოკუმენტი და სანამ ის არ გაუქმდება, მანამდე სადუბლიაჟო საქმეს ჩვენში არაფერი ეშველება.

გასული წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „ქართული ენის შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტი“, რომლის მეორე თავის მეორე პარაგრაფი სადუბლიაჟო საქმეს შეეხება და რომლის მიხედვითაც ნაგულისხმევია „რუსულ და უცხო ენებზე გახმოვანებული კინოფილმებისათვის ქართულენოვანი სუბტიტრების შესაქმნელად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოება“. ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ მხოლოდ ასე დუბლირებულ ფილმებს ჩვენში წარმატება არ ექნება, რადგან სუბტიტრებიც მხოლოდ ერთი ხერხია და არ არის უნივერსალური. საერთოდ, ფილმების დუბლირების სამ საშუალებას მიმართავენ: პირველი გახმოვანება გახლავთ. ყველაზე გავრცელებული და, ჩემი აზრით, ოპტიმალური ფორმა; შემდეგ სადიქტორო ტექსტი — ამას, როგორც მოგახსენეთ, ძირითადად ორენოვნების შესანარჩუნებლად იყენებენ, და ბოლოს, სუბტიტრები. ეს უკანასკნელი სანახაობრივი თვალსაზრისით ერთობ მოუხერხებელია, რადგან ერთდროულად გამოსახულების აღქმა და წარწერების კითხვაა საჭირო.

ჩემი აზრით, ფილმის დუბლირების არც ერთ ფორმაზე უარი არ უნდა ვთქვათ, უპირატესობა, რა თქმა უნდა, გახმოვანებას უნდა მივანიჭოთ.

უპირველესად, უნდა გაუქმდეს საკავშირო სახკინოს კოლეგიის 1979 წლის 28 აგვისტოს ხსენებული დადგენილება, რომელიც უცხოური ფილმების ქართულად გახმოვანებას კრძალავს. ვიმეორებ, ეს უპირველესი ამოცანაა და მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი დუბლირების სრულფასოვან ხასიათზე სერიოზული ლაპარაკი. დღეს ქართულად ახმოვანებენ მხოლოდ საბჭოთა ფილმებს და მათაც მხოლოდ პროვინციებში უჩვენებენ. მე კი მგონია, რომ გახმოვანებულ ფილმებს ყველგან უნდა უჩვენებდნენ — თბილისის კინოთეატრებშიც და პროვინციაშიც. ამას სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და საქართველოში ნებისმიერი ფილმი ქართულად უნდა ჟღერდეს.

და ბოლოს, ნება რომ მოგვცეს, შევძლებთ სრულფასოვნად გავახმოვანოთ უცხოური ფილმები? ვფიქრობ, შევძლებთ. ჯერ ერთი, არსებობს სადუბლიაჟო ფილმების გაერთიანება. რომლის მუშაკებსაც გარკვეული გამოცდილება აქვთ. მეორე — საქართველოში ბევრი ბრწყინვალე მთარგმნელი გვყავს. ბევრი ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი. ასე რომ ამათი ერთობლივი მუშაობით (თუკი რა თქმა უნდა ამ საქმეს სერიოზულად მოკიდებენ ხელს), ეს საკითხი მოგვარდება და მოისპობა ჩვენს ცნობიერებაში იმ სტერეოტიპების დამკვიდრების საშიშროება, რაზეც მრავალგზის მოგახსენეთ.

პაატა იაკაშვილი

პრემიერა თეატრში

5 აპრილს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა სეზონის ახალი წარმოდგენა ირაკლი ლომოურისა და ალექსი ჭაველის პიესა „ნეტარ არიან...“ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ალექსი ჭაველი. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მარლენ ეგუტია, ჯემალ მონიავა, მალხაზ გოგილაძე, იოსებ ბაკურაძე, კოტე თოლორაია; აგრეთვე მსახიობები ლია პიტავა, მარინე ბეალავა, თემურ კილაძე და მაია ტურიაშვილი. სპექტაკლი გააფორმეს მხატვარმა ფრიდონ გოცირიძემ და კომპოზიტორმა დავით ტურიაშვილმა.

ახალგაზრდა დრამატურგების ნამუშევარი ეხება დღევანდელობის ისეთ მწვავე პრობლემებს, როგორიცაა ადამიანში სულიერი საწყისის მოშლა და საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისი.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

მურმან ჩაჩუას ფოტოები.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 3

ნომერი იხსნება ვ. აბაშიძის, ქ. ტოაპარიძისა და გ. ცქიტიშვილის რეპორტაჟით — „არა მხოლოდ სიტყვით“.

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მტკივნეულ პრობლემებს ეხება ჯ. სამხარაულისა და გ. გორდელაძის წერილები.

მკითხველი გაეცნობა გრ. რობაქიძის პირად წერილებს ს. ფანჩულიძისადმი და ვ. კიკნაძის წერილს „თეატრი დამოუკიდებელ საქართველოში“.

ნომერში ქვეყნდება ინტერვიუ მხატვარ ნ. ჩიქოვანთან, — „მთავარია იყო გულწრფელი“, ფერად ჩანართში კი წარმოდგენილია მხატვრის ნამუშევრების ილუსტრაციები.

ჟურნალში დაბეჭდილია თ. დაფქვიაშვილის „ანა თულაშვილი“, ნ. ფირცხალავას „მუსიკალური ანალოგიების შესახებ იოანე პეტრიწის „განმარტებაში“, ნ. შალუტაშვილის „თავისუფალი რაიმდი“, ნ. ეროშიძის „თეატრის მოკარნახე“, ნაწყვეტი ნ. გურაბანიძის წიგნიდან „რეჟისორი რობერტ სტურუა“, კ. მაჩაბლის „დავითის სტელის ადგილი შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სისტემაში“, ნ. ასათიანის „პეტრე ოცხელის გახსენება“, ი. აბესაძის „მუზეუმის მოამაგე მხატვარი“, გ. გვახარიას „მუსიკა, მუსიკა გვინდა, მაესტრო!“ „ფრანგული წიგნი ქართულ კინოზე“ — ჟან რადვანის „შესავალი სიტყვა მკითხველისადმი და საქართველოს გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა“, ბ. ურიდიას „შ. ნუცუბიძის ხელოვნების თეორიის ერთი პრინციპული საკითხის გაგებისათვის“, „საუბარი სენ ჯონ გილგუდთან“ (შესავალი წერილი და თარგმანი ინგლისურიდან გ. ჯაბაშვილისა).

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მწერალ როსტომ ბეჟანიშვილს მამის

ტიტე ბეჟანიშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოდის
პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

ლიტერატურული საქართველო
რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი,
ლერმონტოვის ქუჩა № 1
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის — 99-84-04
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 93-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ამაშუკელი, თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ გურეშიძე, ივანე თარბა, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, დავით მჭედლური, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, მამუკა წიკლაური, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 ~~15~~ 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00237

ეროვნული ბიბლიოთეკა